

საქმიანობის
შესახებ ანგარიში

2020 წელი



**იურიდიული
დახმარების
სამსახური**

სარჩევი

1. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მიმართვა
2. იურიდიული დახმარების სამსახური
3. სამსახურის მანდატი 2020 წელს
4. სამსახურის სტრუქტურა
5. საზოგადოებრივი ადვოკატები და სპეციალიზაცია
6. გლობალური პანდემიის (Covid-19) ფარგლებში სამსახურის შეუფერხებლად საქმიანობის, კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და თანამშრომელთა, ბენეფიციართა და სხვა პირთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით განხორციელებული აქტივობები
7. სამსახურის ხელმისაწვდომობის გაზრდა
8. სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასება
9. მხარდამჭერთა ჯგუფი
10. განგრძობადი განათლება
11. სამსახურში დაგეგმილი და მიმდინარე რეფორმები
12. იურიდიული დახმარების ბიუროებისა და მათი თანამშრომლების საქმიანობის შესწავლა და ანალიზი
13. სამსახურის მიერ განხორციელებული გასვლითი საკონსულტაციო-საინფორმაციო ღონისძიებები
14. სამსახურის სამართლებრივი ხასიათის აქტივობები
15. სამსახურის მიერ განხორციელებული სხვა აქტივობები
16. სამსახურის მიერ მომზადებული პროექტები და კვლევები
17. ჟურნალი „საზოგადოებრივი ადვოკატი“
18. საერთაშორისო ურთიერთობები
19. საერთაშორისო პარტნიორები და მხარდაჭერა
20. იურიდიული დახმარების საბჭოს საქმიანობა
21. სამსახურის ცნობადობის გაზრდა
22. სამსახურის მიერ გაფორმებული მემორანდუმები
23. სამთავრობო გეგმები
24. სამსახურის მიერ 2020 წელს ნაწარმოები საქმეების სტატისტიკური მონაცემები
25. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი
26. სამსახურის დოკუმენტბრუნვა
27. საჯარო ინფორმაციის გაცემა
28. სამსახურის ფინანსური ანგარიში
29. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება
30. სამსახურში სტაჟირება, იურიდიული კლინიკა
31. დისციპლინური წარმოებები და სასამართლოში მიმდინარე დავები
32. საქველმოქმედო ღონისძიებები
33. წარმატებული საქმეები
34. მადლობის წერილები
35. სამსახურის ოფისები და საკონტაქტო ინფორმაცია

1. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მიმართვა

2020 წელი, იურიდიული დახმარების სამსახურისა და მთელი მსოფლიოსათვის იყო განსაკუთრებული გამოწვევების წელი.

პანდემიამ წარმოუდგენელი გამოცდა მოუწყო სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის, სოციალურ, მორალურ ღირებულებებს, ადამიანური ცხოვრების თანამედროვე წესსა და დღევანდელი ცხოვრების გლობალიზაციის მასშტაბებს.

გლობალურმა პანდემიამ მართალია სრულიად შეცვალა ჩვენი ცხოვრების წესი და სამუშაო რეჟიმი, თუმცა კიდევ უფრო ნათლად დაგვანახა ადამიანის უფლებების დაცვის აქტუალურობა.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არსებობს როგორც მშვიდობის ისე გამოწვევების დროს და სწორედ ისინი გვიჩვენებს სწორ მიმართულებას და ამ გამოწვევების დაძლევის გზებსა და საშუალებებს. მსგავსი სიტუაციები და გამოცდები ქმნიან შესაძლებლობას დავინახოთ დემოკრატიული ღირებულებები მთელი თავისი სიდიადითა და მოცულობით და ის მძიმე რეალობა, რომელსაც მათ გარეშე მივიღებთ.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებების განუხრელი დაცვა, მათ შორის თანასწორობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ა.შ. არის გამოწვევებთან გამკლავების ყველაზე ეფექტური საშუალება.

როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა მიშელ ბაჩლეტმა გლობალურ პანდემიასთან მიმართებით განაცხადა, „ადამიანის ღირსება და უფლებები ამ ძალისხმევაში უნდა იყოს ფუძემდებლური და მთავარი და არა მეორე ხარისხოვანი“.

იურიდიული დახმარების სამსახური და ყველა მისი თანამშრომელი გლობალური პანდემიის მიუხედავად იდგა წინა ხაზზე და ხშირად საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების ჯანმრთელობის რისკის ფასად უზრუნველყოფდა, რომ არცერთი ბენეფიციარი არ დარჩენილიყო სამართლებრივი დაცვის მიღმა.

2020 წელს სამსახურმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ბენეფიციარებისათვის სამართლებრივი მომსახურების ხელმისაწვდომობის, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და სამსახურის ინსტიტუციური განვითარებისათვის.

2020 წელს, სამსახურში დაიწყო ფართომასშტაბიანი რეფორმირების პროცესი, რომელიც გააძლიერებს იურიდიული დახმარების სამსახურს და ბენეფიციარებისათვის მაღალი ხარისხის სამართლებრივ მომსახურებას გახდის უფრო ხელმისაწვდომს.

რეჟდენ კუპრაშვილი

2. იურიდიული დახმარების სამსახური

იურიდიული დახმარების სამსახური არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას საქართველოს კონსტიტუციის, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და სამსახურის დებულების საფუძველზე.

იურიდიული დახმარების სამსახური არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო ორგანოს და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამსახური დამოუკიდებლად ასრულებს მისთვის დაკისრებულ ამოცანებს. დაუშვებელია მის საქმიანობაზე ზემოქმედება.

იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურების სახეებია: ა) სამართლებრივი დოკუმენტების (განცხადება, სარჩელი, საჩივარი, შესაგებელი, შუამდგომლობა და სხვა დოკუმენტები) შედგენა; ბ) ბრალდებულის, მსჯავრდებულისა და გამართლებულის ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის პროცესში; გ) დაზარალებულის დაცვა სისხლის სამართლის პროცესში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ, სახელმწიფოს ხარჯზე დაცვის განხორციელების შემთხვევებში; დ) წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით; ე) წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ ორგანოში.

იურიდიული კონსულტაცია ხელმისაწვდომია ყველასთვის ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე, ხოლო იურიდიული დახმარება – სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა, წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით და ადმინისტრაციულ ორგანოში, აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესში სახელმწიფოს ხარჯზე ხელმისაწვდომია „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

სამსახური შედგება სამსახურის აპარატისაგან, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი იურიდიული დახმარების ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრებისაგან.

სამსახურის დაფინანსების წყაროებია: ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები; ბ) შემოწირულებები და გრანტები; გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3. სამსახურის მანდატი 2020 წელს

იურიდიული დახმარების სამსახური, იურიდიული დახმარების ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფს მართლსაჯულებაზე კვალიფიციურ ხელმისაწვდომობას მოწყვლადი პირებისათვის იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების სახით.

იურიდიული კონსულტაცია არის ყველასთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი რჩევა, ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე, ხოლო იურიდიული დახმარება - სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა, წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით და ადმინისტრაციულ ორგანოში, აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესში სახელმწიფოს ხარჯზე;

იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი 2007 – 2020 წლებში ეტაპობრივად გაფართოვდა. კერძოდ:

სისხლის სამართალწარმოებისას ბრალდებულს/მსჯავრდებულს/გამართლებულს საზოგადოებრივი ადვოკატი ენიშნება თუ პირი გადახდისუუნაროა ან სახეზე გვაქვს სავალდებულო დაცვის შემთხვევა.

ადვოკატი სავალდებულო წესით ენიშნება ბრალდებულს:

- თუ არასრულწლოვანია;
- თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;
- თუ აქვს შესაძლებლობის იმგვარი შეზღუდვა, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას;
- თუ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;
- თუ ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით;
- თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე;
- თუ სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;
- თუ თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას;
- თუ გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;
- თუ არაიდენტიფიცირებული პირია;
- თუ განიხილება მისი გამარტივებული პროცედურის გამოყენებით უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციის საკითხი;
- ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

არასრულწლოვანთა დაცვა

2020 წლის 1 სექტემბრიდან არასრულწლოვანი სარგებლობს უფასო იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების უფლებით, თუ საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით);

იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ყველა არასრულწლოვანისთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების, აგრეთვე ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების საშუალებით.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე 18 წლიდან 21 წლამდე ბრალდებული/მსჯავრდებული სარგებლობს იურიდიული დახმარების უფლებით, თუ საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით).

იურიდიული დახმარება თავისუფლება აღკვეთილი პირებისათვის

პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, უფასო იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომია იმ ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისათვის, რომელთა მიმართ პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება.

კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, დისციპლინური სახდელის შეფარდებისას, ბრალდებულს/მსჯავრდებულს ეძლევა უფლება ისარგებლოს თარჯიმნის და ადვოკატის მომსახურებით. ხოლო, თუ ბრალდებული/მსჯავრდებული გადახდისუუნაროა და არა აქვს საშუალება საკუთარი ხარჯებით მოიწვიოს დამცველი, მას დაენიშნება საზოგადოებრივი ადვოკატი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები

2011 წლის 1 მარტიდან სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს საადვოკატო მომსახურებას იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, რომლის სახდელის სახედ გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა.

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარება

2010 წლის აგვისტოდან სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური უფასო საადვოკატო მომსახურებას უზრუნველყოფს თუ არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების ან/და ვადის გაგრძელების შესახებ საქმეს განიხილავს სასამართლო.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები

2015 წლის 15 აპრილიდან სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური უფასო საადვოკატო მომსახურებას უზრუნველყოფს საქმის სირთულისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, თუ კი პირი გადახდისუუნაროა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის შემდეგ საკითხებზე:

- საოჯახო სამართლიდან გამომდინარე დავები (განქორწინება, ალიმენტის დაკისრება, არასრულწლოვნის ინტერესების დაცვა და სხვ.);
- მემკვიდრეობის სამართლიდან გამომდინარე დავები;
- სოციალური დახმარება და პენსია;
- დევნილთა უფლებები;
- ჯანმრთელობის დაცვა და პაციენტთა უფლებები;
- ვეტერანთა და საომარ მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახის სოციალური დაცვა;
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სოციალური დაცვა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა

2018 წლის 1 მარტიდან სამსახურის მანდატი სამოქალაქო ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით გაფართოვდა უძრავ ნივთებთან და შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ დავებზე.

2021 წლის 1 იანვრიდან იურიდიული დახმარების სამსახური ბენეფიციართათვის უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ადვოკატების მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევას სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე, საქმის სირთულისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, თუ კი პირი გადახდისუუნაროა.

ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა დაცვა

2015 წლის 1 აპრილიდან სსიპ იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია იმ ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთათვის, რომელთა მხარდამჭერის მიძღვრად ცნობის საკითხსაც განიხილავს სასამართლო.

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა

2015 წლის 1 იანვრიდან სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს გადახდისუუნარო ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის უფასო საადვოკატო მომსახურებას, თუ იგი მოითხოვს ადვოკატის დანიშვნას.

2017 წლის 1 ივნისიდან კი სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს გადახდისუუნარო ძალადობის მსხვერპლ ქალთა უფასო საადვოკატო მომსახურებას, თუ იგი მოითხოვს ადვოკატის დანიშვნას.

2018 წლის 1 მარტიდან, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს ძალადობის მსხვერპლ ქალთა უფასო საადვოკატო მომსახურებას, როდესაც ქალთა მიმართ

ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის/სავარაუდო მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად დამცავი ორდერის გამოცემის საკითხი განიხილება სასამართლოს მიერ, მიუხედავად ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის გადახდისუნარიანობისა. ასევე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლს, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23¹ მუხლით გათვალისწინებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის ფაქტთან, მიუხედავად მსხვერპლის გადახდისუნარიანობისა.“

თავშესაფრის მამიებელთა დაცვა

2016 წლის 1 იანვრიდან სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს საადვოკატო მომსახურებას იმ თავშესაფრის მამიებლისათვის, რომლის საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის ან გაუქმების ან თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებული დავაც უნდა განიხილოს სასამართლომ მიუხედავად პირის გადახდისუნარიანობისა.

„ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის არანებაყოფლობით იზოლაციასთან დაკავშირებით პაციენტის დაცვა

2017 წლის 1 იანვრიდან სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური უფასო საადვოკატო მომსახურებას უზრუნველყოფს თუ არანებაყოფლობითი იზოლაციის მიზნით პირის შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოთავსების ან/და ვადის გაგრძელების შესახებ საქმეს განიხილავს სასამართლო.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვა

2021 წლის 1 იანვრიდან იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ადვოკატების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევას სასამართლოში სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის, წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოში და სამართლებრივ კონსულტაციას.

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეზე ადვოკატი სავალდებულო წესით ენიშნება პირს, თუ:

- არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარება უტარდება;
- მხარდაჭერის მიმღებ პირად საცნობია;
- თავშესაფრის მამიებელია;
- პაციენტია, „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

- ბავშვია;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია;

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება იმ პირისთვის იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

4. სამსახურის სტრუქტურა

იურიდიული დახმარების სამსახურის მენეჯმენტი

სამსახურის დირექტორი - რაჭდენ კუპრაშვილი;
 დირექტორის პირველი მოადგილე - ნინო მელაძე;
 დირექტორის მოადგილე - სულხან გველესიანი;
 დირექტორის მოადგილე - ირაკლი შონია.

იურიდიული დახმარების საბჭო

1. რამაზ ჩინჩალაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;
2. თეა ჭეიშვილი - იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;
3. ესმა ნორაკია - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური;
4. პავლე აბაიაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;
5. სოფო ჩაჩავა - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებისაგან შერჩეული წევრი);
6. ირაკლი გვარამაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. (ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარმომადგენლებისგან შერჩეული წევრი);
7. თამარ გვარამაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;
8. ბექა ძამაშვილი - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
9. ზაზა ხარებავა - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის სტრუქტურა

1. ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო;
2. საქმისწარმოების სამმართველო;
3. ფინანსური, შესყიდვების, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველო;
4. შიდა აუდიტის სამმართველო;
5. მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო;

6. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველო;
7. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრისა და იურიდიული საქმისწარმოების პროგრამის მართვის სამმართველო;
8. სისხლის სამართლის საქმეებზე, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველო;
9. იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი;
10. სამდივნო.

იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები 2020 წელს

13 იურიდიული დახმარების ბიურო

1. თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო;
2. ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო;
3. ბათუმის იურიდიული დახმარების ბიურო;
4. ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო;
5. ახალციხის იურიდიული დახმარების ბიურო;
6. გორის იურიდიული დახმარების ბიურო;
7. ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო;
8. თელავის იურიდიული დახმარების ბიურო;
9. მცხეთის იურიდიული დახმარების ბიურო;
10. ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიურო;
11. რუსთავის იურიდიული დახმარების ბიურო;
12. სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიურო;
13. ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო.

25 საკონსულტაციო ცენტრი

1. ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი;
2. მესტიის საკონსულტაციო ცენტრი;
3. საჩხერის საკონსულტაციო ცენტრი;
4. ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი;
5. წალკის საკონსულტაციო ცენტრი;
6. მარნეულის საკონსულტაციო ცენტრი;
7. დმანისის საკონსულტაციო ცენტრი;
8. დუისის საკონსულტაციო ცენტრი;
9. დუშეთის საკონსულტაციო ცენტრი;
10. ყვარლის საკონსულტაციო ცენტრი;
11. ლაგოდეხის საკონსულტაციო ცენტრი;

12. შუახევის საკონსულტაციო ცენტრი;
13. ხულოს საკონსულტაციო ცენტრი;
14. ქობულეთის საკონსულტაციო ცენტრი;
15. წალენჯიხის საკონსულტაციო ცენტრი;
16. აბაშის საკონსულტაციო ცენტრი;
17. ჩხოროწყუს საკონსულტაციო ცენტრი;
18. სენაკის საკონსულტაციო ცენტრი;
19. მარტვილის საკონსულტაციო ცენტრი;
20. ხობის საკონსულტაციო ცენტრი;
21. ბაღდათის საკონსულტაციო ცენტრი;
22. წყალტუბოს საკონსულტაციო ცენტრი;
23. ჭიათურის საკონსულტაციო ცენტრი;
24. ქედის საკონსულტაციო ცენტრი;
25. ცაგერის საკონსულტაციო ცენტრი.

1 დისტანციური მომსახურების ცენტრი წეროვანში, დევნილთა დასახლებაში.

სამსახურის თანამშრომლები

საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 225 საშტატო ერთეულს. საშტატო ნუსხით განსაზღვრულ პოზიციებზე დასაქმებულია 180 თანამშრომელი;

შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულია 103 თანამშრომელი (მათ შორის 24 მძღოლი და 15 ბიუროს სპეციალისტი). აქედან, დროებითი ფუნქციების შესრულების მიზნით დასაქმებულ იქნა 57 თანამშრომელი;

2020 წელს, ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს მიერ გამოცხადებულ იქნა 12 გამარტივებული და 13 ღია კონკუსი. 21 ვაკანსიაზე კონკურსის შედეგად შერჩეულ იქნენ კანდიდატები.

სამსახურის აპარატში გამოცხადებული კონკურსის შედეგად კანდიდატები შერჩეულ იქნა შემდეგ პოზიციებზე:

- შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი;
- ფინანსური, შესყიდვებისა და საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს მთავარი ბუღალტერი;
- სასწავლო ცენტრის უფროსი;
- ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს სპეციალისტი;

- სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოს იურისტი;
- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს სამეურნეო უზრუნველყოფის სპეციალისტი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;
- ანალიტიკური სამმართველოს სპეციალისტი;
- ანალიტიკური სამმართველოს უფროსი;
- რეგიონალური მენეჯერი;

იურიდიული დახმარების ბიუროებში გამოცხადებული კონკურსის შედეგად კანდიდატები შერჩეულ იქნენ შემდეგ პოზიციებზე:

- საზოგადოებრივი ადვოკატი - 11 პოზიცია;

5. საზოგადოებრივი ადვოკატები და სპეციალიზაცია

საზოგადოებრივი ადვოკატები ბიუროების მიხედვით

იურიდიული დახმარების ბიუროები	საზოგადოებრივი ადვოკატები	ბიუროს უფროსი
თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო	44	1
ახალციხის იურიდიული დახმარების ბიურო	6	1
ბათუმის იურიდიული დახმარების ბიურო	9	1
გორის იურიდიული დახმარების ბიურო	5	1
ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო	6	1
ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო	6	1
თელავის იურიდიული დახმარების ბიურო	6	1
მცხეთის იურიდიული დახმარების ბიურო	5	1
ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიურო	2	1
რუსთავის იურიდიული დახმარების ბიურო	13	1
სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიურო	3	1
ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო	4	1
ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო	10	1

საზოგადოებრივი ადვოკატების სპეციალიზაცია

	სისხლის სამართალი	სამოქალაქო სამართალი	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	ბავშვის უფლებათა კოდექსი
თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო	39	14	38	24
მცხეთის იურიდიული დახმარების ბიურო	4	2	5	6
რუსთავის იურიდიული დახმარების ბიურო	12	2	13	4
გორის იურიდიული დახმარების ბიურო	4	2	5	3

თელავის იურიდიული დახმარების ბიურო	5	2	6	6
სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიურო	3	1	4	2
ახალციხის იურიდიული დახმარების ბიურო	5	2	3	7
ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო	5	2	5	3
ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო	9	2	11	4
ბათუმის იურიდიული დახმარების ბიურო	8	2	3	3
ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო	3	2	6	4
ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიურო	1	2		2
ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო	6	1	6	2

6. გლობალური პანდემიის (COVID-19) ფარგლებში სამსახურის შეუფერხებლად საქმიანობის, კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და თანამშრომელთა, ბენეფიციართა და სხვა პირთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით განხორციელებული აქტივობები

- ❖ 2020 წლის 2 მარტს, საკონსულტაციო ცენტრები გადავიდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე.
- ❖ 2020 წლის 13 მარტიდან სამსახური სრულად გადავიდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე;
- ❖ პანდემიის დაწყებისთანავე, დაუყოვნებლივ იქნა მიღებული გადაწყვეტილება სამსახურის სამი თანამშრომლის თვითიზოლაციაში ყოფნის შესახებ, ვინაიდან ისინი 12 მარტამდე 2 კვირით ადრე იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ ან/და ჰქონდათ კომუნიკაცია საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ პირებთან;
- ❖ მაღალი რისკის ჯგუფში შემავალ 9 თანამშრომელთან მიმართებით დადგინდა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების განსხვავებული წესი. აღნიშნული პირებისათვის დადგინდა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება ისეთ საქმეებზე, რომლებიც შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სახლიდან. აღნიშნული 9 ადვოკატის ის საქმეები, რომლებიც საჭიროებდა სასწრაფო რეაგირებას გადაეცა საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ ადვოკატებს.
- ❖ იურიდიული დახმარების სამსახურის ვებ ბგვერდზე გამოქვეყნდა სამსახურის დირექტორის 4 განცხადება:
 - 2020 წლის 12 მარტს - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის განცხადება დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით;
 - 2020 წლის 16 მარტს - რეკომენდაციები იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისათვის კორონავირუსის (COVID_19) გავრცელების პრევენციის მიზნით;
 - 2020 წლის 16 მარტს - განცხადება უფასო სამართლებრივი დახმარების შეთავაზების შესახებ საზღვარგარეთ მყოფ ქართველი ემიგრანტებსა და ჩვენი თანამემამულეებისადმი, რომლებიც კორონავირუსით (COVID_19) გამოწვეული მდგომარეობიდან გამომდინარე, ევროპის სხვადასხვა ქალაქებში იმყოფებოდნენ.
 - 2020 წლის 31 მარტს - განცხადება კომენდანტის საათის დროს თანამშრომელთა გადაადგილების პრობემების შესახებ;

- ❖ დადგინდა დოკუმენტების (სამსახურებრივი ბარათი, განცხადება, წერილი და ა.შ.) ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემასთან (eflow) ერთად, ელექტრონული ფოსტის საშუალებებით მიწოდების შესაძლებლობა, მათ შორის მივლინებების, შვებულებების და ა.შ.;
- ❖ ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) თანამშრომლების მიერ უზრუნველყოფილ იქნა საზოგადოებრივი ადვოკატებისათვის ZOOM-ისა და WEBEX-ის პროგრამების დაინსტალირების მხარდაჭერა, სამსახურებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე და სასამართლოს პროცესებზე დისტანციურად ჩართვის მიზნით.
- ❖ ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) თანამშრომლების მიერ უზრუნველყოფილ იქნა იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაზე (case-bank) წვდომა დისტანციურად სახლიდან, რათა თანამშრომლებისათვის შესაძლებელი ყოფილიყო საქმეებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება;
- ❖ კომუნიკაციის უწყვეტად განხორციელებისათვის შეიქმნა „WhatsApp“-ის ჯგუფები.
- ❖ პენიტენციურ დაწესებულებებთან, დროებითი მოთავსების იზოლატორებთან კომუნიკაციით შესაძლებელი გახდა ციხეებში ბრალდებულებთან სატელეფონო კომუნიკაცია;
- ❖ სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა თბილისის, რუსთავის, მცხეთის, ფოთის ბიუროებში, ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრსა და ადმინისტრაციულ ოფისში;
- ❖ სამსახურმა შეიძინა და თანამშრომლებს გადასცა სახის დამცავი ნიღბები, რეზინის ხელთათმანები, სახის დამცავი ფარები, ხელისა და ავეჯის სადეზინფექციო ხსნარები;

სამსახურის მიერ შესყიდულ იქნა:

სახის დამცავი (ფარი)	250 ცალი
პირბადე (სხვადასხვა სახის)	2250 ცალი
სადეზინფექციო ხსნარი	180 ცალი (1 ლიტრიანები)
ერთჯერადი ხელთათმანი	90 კოლოფი (100 ცალიანი)

სამსახურს უსასყიდლოდ გადმოეცა:

სადეზინფექციო ხსნარი	234 ცალი	ბადაგონი
სადეზინფექციო ხსნარი	100 ლიტრი	შპს სითი 12
პირბადე	300 ცალი	შპს ნიუ სთაილ გრუპი
სადეზინფექციო ხსნარი	180 ლიტრი	UNICEF
ერთჯერადი ხელთათმანი	4500 ცალი	UNICEF
პირბადე	1600 ცალი	UNICEF

- ❖ ქალაქების ჩაკეტვისა და კომენდანტის საათის დაწესებიდან გამომდინარე, სამსახურმა განახორციელა სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, ადვოკატებისა და მძღოლების თავისუფლად გადაადგილებისათვის საშვებით უზრუნველყოფა;
- ❖ მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნით, შემუშავდა კონსულტაციის აღრიცხვის და საზოგადოებრივი ადვოკატის წარმოებაში არსებულ საქმეთა მიმდინარეობისა და სამუშაო გრაფიკის თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის ფორმები, გაიწერა შევსების ინსტრუქცია და დადგინდა ამ ფორმების სისხლის სამართლის საქმეებზე, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარებისა და სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოებისათვის მიწოდების ვადლებულება;
- ❖ ყოველკვირეულად, USAID-Prolog-თან “კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში” თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობდა სამოქალაქო/ადმინისტრაციული სპეციალიზაციით მომუშავე ადვოკატთა გამოკითხვა დისტანციური პროცესების მიმდინარეობისა და გამოვლენილი ხარვეზების შესახებ და მზადდებოდა შესაბამისი ანგარიში;
- ❖ ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) თანამშრომლების მიერ განხორციელდა ქოლ-ცენტრის კონსულტანტების მიერ სამსახურის ცხელ ხაზზე შემოსულ ზარებზე დისტანციურ რეჟიმში სახლიდან პასუხის გაცემის უზრუნველყოფა.
- ❖ ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) თანამშრომლების მიერ განხორციელდა იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსებისთვის და აპარატის თანამშრომლებისათვის სამსახურის ქსელში VPN დამკვიდრების და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაში (eflow) დისტანციურად, სახლიდან მუშაობის უზრუნველყოფა;
- ❖ დადგინდა სამსახურში დაგეგმილი გადამზადების პროგრამების დისტანციურად ჩატარების წესი. 2020 წელს ჩატარებული ტრენინგების უმრავლესობა (ტრენინგების 80%) ჩატარდა დისტანციურად zoom.us-ის პლატფორმაზე. სამსახურის თანამშრომლებს მიეწოდათ ინფორმაცია და გაეწიათ ტექნიკური დახმარება დისტანციური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით; ტრენინგებზე რეგისტრაცია, ტრენინგებზე მონაწილეობა და ტრენინგის შემდგომი შეფასება განხორციელდა დისტანციური საშუალებებით;
- ❖ საკონკურსო კომისიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამსახურში გამოცხადებულ კონკურსებთან დაკავშირებით გასაუბრებების დისტანციურ რეჟიმში ჩატარების შესახებ. ამისათვის, ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოსა და ინფორმაციული

ტექნოლოგიების (IT) თანამშრომლების მიერ განხორციელდა კონკურსანტების ტექნიკური მხარდაჭერა.

❖ იურიდიული დახმარების სამსახურის სტაჟიორებისა და კლინიკის ფარგლებში მიღებული სტუდენტებისათვის დადგინდა დისტანციური სამუშაო რეჟიმი და შემუშავდა მათი შეფასების შესაბამისი სისტემა. სტუდენტებისათვის დადგინდა მენტორ ადვოკატებთან კომუნიკაციის ონლაინ პლატფორმა.

❖ დამუშავდა გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს ნარკომანიისა და დანაშაულის ოფისის მიერ მომზადებული სახელმძღვანელო COVID-19-ის ფარგლებში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა იმ ბენეფიციართა წრე, რომლებიც პანდემიიდან გამომდინარე შესაძლოა აღმოჩნდნენ კიდევ უფრო მოწყვლად მდგომარეობაში. განხორციელდა იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც აქტუალურია პანდემიის პირობებში და განისაზღვრა სამსახურისა და ადვოკატების დამატებითი ვალდებულებები, განსაკუთრებით საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისა და საინფორმაციო/საკონსულტაციო ღონისძიებების დაგეგმვისა და რეალიზაციის კუთხით.

7. სამსახურის ხელმისაწვდომობის გაზრდა

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ტერიტორიული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტებთან წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად, 2020 წლისათვის სამსახურს გადმოეცა 37 საოფისე ფართი საკონსულტაციო ცენტრების მოსაწყობად. კერძოდ: აბაშაში, მარტვილში, სენაკში, ჩხოროწყუში, ქედაში, შუახევში, წალენჯიხაში, ხულოში, ქობულეთში, ტყიბულში, წყალტუბოში, ხონში, ბაღდათში, ვანში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, ონში, ლენტეხში, ცაგერში, ბოლნისში, თეთრიწყაროში, გარდაბანში, დედოფლისწყაროში, ახმეტაში, დუისში, გურჯაანში, თიანეთში, ადიგენში, ხაშურში, ქარელში, ჭიათურაში, ლაგოდეხში, ხობში, დუშეთში, დმანისში, ხარაგაულში და ყვარელში.

2020 წელს გაიხსნა 1 ბიურო და 16 საკონსულტაციო ცენტრი. კერძოდ:

- ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო,
- ჭიათურის საკონსულტაციო ცენტრი, ლაგოდეხის საკონსულტაციო ცენტრი, ხობის საკონსულტაციო ცენტრი, დუშეთის საკონსულტაციო ცენტრი, დმანისის საკონსულტაციო ცენტრი, ყვარლის საკონსულტაციო ცენტრი, აბაშის საკონსულტაციო ცენტრი, მარტვილის საკონსულტაციო ცენტრი, სენაკის საკონსულტაციო ცენტრი, ჩხოროწყუს საკონსულტაციო ცენტრი, წალენჯიხის საკონსულტაციო ცენტრი, ქედას საკონსულტაციო ცენტრი, ხულოს საკონსულტაციო ცენტრი, ქობულეთის საკონსულტაციო ცენტრი, წყალტუბოს საკონსულტაციო ცენტრი, ბაღდათის საკონსულტაციო ცენტრი.

2020 წლის 25 სექტემბერს, ქ. ზუგდიდში, ნარმანიას ქ. # 3-ში გაიხსნა იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს ახალი ოფისი.

ბიუროს გახსნამდე შენობას ჩაუტარდა კაპიტალური სარემონტო სამუშაოები. გახსნის ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანი და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლები. ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს ახალი ოფისი განთავსებულია ქალაქის ცენტრში მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. ახალი ოფისის გახსნით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბიუროს თანამშრომელთა სამუშაო პირობები.

2020 წლის 8 ოქტომბერს, დუისში, იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრში, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) დახმარებით მოეწყო ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სივრცე.

ბავშვზე ადაპტირებული ოთახის გახსნის ღონისძიებას ესწრებოდნენ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენელი საქართველოში დასან ხალილი და საქართველოში გაეროს

მუდმივი წარმომადგენელი საბინე მახლი. ბავშვზე ადაპტირებულ ოთახში, სპეციალური ავეჯისა და ნივთების საშუალებით, შექმნილია სივრცე, რომელიც სრულად არის მორგებული მოზარდის ემოციურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და განვითარებაზე.

საკონსულტაციო ცენტრების გახსნის ღონისძიებებთან დაკავშირებით შედგა 18 შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან. საკონსულტაციო ცენტრების გახსნების ღონისძიებებს დაესწრო 700-ზე მეტი პირი.

საკონსულტაციო ცენტრების გახსნის თარიღები:

1. ჭიათურის საკონსულტაციო ცენტრი - 2020 წლის 25 თებერვალი;
2. ლაგოდეხის საკონსულტაციო ცენტრი - 2020 წლის 24 ივნისი;
3. დუშეთის საკონსულტაციო ცენტრი - 2020 წლის 7 ივლისი;
4. დმანისის საკონსულტაციო ცენტრი - 2020 წლის 15 ივლისი;
5. ყვარლის საკონსულტაციო ცენტრი - 2020 წლის 21 ივლისი;
6. ბაღდათის საკონსულტაციო ცენტრი - 2020 წლის 4 აგვისტო;
7. წყალტუბოს საკონსულტაციო ცენტრი - 2020 წლის 7 აგვისტო;
8. ხულოს საკონსულტაციო ცენტრი - 2020 წლის 13 აგვისტო;
9. ქედას საკონსულტაციო ცენტრი - 2020 წლის 14 აგვისტო;
10. ქობულეთის საკონსულტაციო ცენტრი - 2020 წლის 15 აგვისტო;
11. აბაშის საკონსულტაციო ცენტრი - 2020 წლის 22 სექტემბერი;
12. მარტვილის საკონსულტაციო ცენტრი - 2020 წლის 22 სექტემბერი;
13. წალენჯიხის საკონსულტაციო ცენტრი - 2020 წლის 23 სექტემბერი;
14. ჩხოროწყუს საკონსულტაციო ცენტრი - 2020 წლის 23 სექტემბერი;
15. სენაკის საკონსულტაციო ცენტრი - 2020 წლის 24 სექტემბერი;
16. ხობის საკონსულტაციო ცენტრი - 2020 წლის 24 სექტემბერი.

საკონსულტაციო ცენტრების გახსნის ღონისძიებების შემდგომ სოციალური დისტანციის დაცვით, ღია სივრცეებში, დამცავი საშუალებების გამოყენებით განხორციელდა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები მოსახლეობისათვის ასევე მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციის, სოციალური სამსახურების წარმომადგენლების, სოფლების რწმუნებულებისათვის.

თითოეულ შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა, როგორც 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს, ასევე მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან სხვა სამართლებრივ საკითხებზე მიმოხილვებს. კერძოდ,

1. უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა საქართველოში და დახმარების მიღების კრიტერიუმები;
2. მიწის რეგისტრაცია;
3. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები;
4. ბავშვთა უფლებები;

5. სექსუალური შევიწროება.

სამსახურის ცნობადობის გაზრდისა და საკონსულტაციო ცენტრების გახსნის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისათვის ინფორმაცია გავრცელდა ადგილობრივი მედია საშუალებებით.

8. სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასება

იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 04 ივლისის #75 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები.

შეფასების წესი და კრიტერიუმები ეფუძნება და იცავს ადვოკატის დამოუკიდებლობის, პროფესიული საიდუმლოების (კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების დაუშვებლობა) და პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპებს.

იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N 75 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების მიხედვით:

1. შეფასებას ექვემდებარება ადვოკატის დასრულებული საქმე;
2. შეფასებას ექვემდებარება საქმე, რომელშიც არის ბენეფიციარის თანხმობა შეფასების მიზნებისათვის მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ;
3. არ ხდება ადვოკატის მიერ ბენეფიციართან შეთანხმებული საქმის წარმართვის სტრატეგიის შეფასება (საქმის წარმართვის სტრატეგიას განსაზღვრავს ადვოკატი ბენეფიციართან შეთანხმებით). შესაბამისად, არ ხდება ბენეფიციარისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის დამუშავება (ადვოკატს კანონით აქვს აკრძალული გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია);
4. შეფასების სისტემა არ არის მიმართული ადვოკატის მიმართ რაიმე სახის დასჯის მექანიზმის გამოყენებისაკენ. სამართლებრივი მომსახურების ხარვეზების შემთხვევაში, ადვოკატს წარმოეშობა გადამზადების კურსების გავლის ვალდებულება;
5. შეფასების მეთოდები მისაღები და აპრობირებულია ყველა სახის სამართლებრივი მომსახურების შეფასებისას, მათ შორის როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე ევროპის განვითარებული ქვეყნების კერძო იურიდიულ ფირმებსა თუ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სამართლებრივი დახმარების სისტემებში, მათ შორის სასამართლო სისტემაში.

იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N 75 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები უზრუნველყოფს, რომ

1. ბენეფიციარმა იცოდეს მისი უფლებები და საქმის გარემოებები, საქმის განვითარების შესაძლო მიმართულებები და შედეგები;
2. ადვოკატს ჰქონდეს ბენეფიციართან საკმარისი და სათანადო კომუნიკაცია;

3. ადვოკატი იცნობდეს საქმის მასალებს და მომზადებული გამოცხადდეს სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ და სხვა ორგანოებში სასამართლოს სხდომებზე, საგამომიებო თუ სხვა მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად;
4. ადვოკატმა განახორციელოს ბენეფიციართან შეთანხმებული მოქმედებები/საქმის წარმართვის სტრატეგია, რომლის შერჩევა სრულად ადვოკატისა და ბენეფიციარის დისკრეციას განეკუთვნება;
5. ადვოკატმა იცოდეს ბენეფიციართან, სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ ორგანოებში და ა.შ. სათანადო კომუნიკაციის წესები;
6. ადვოკატი იყოს ორგანიზებული და დროულად გამოცხადდეს სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ და სხვა ორგანოებში სასამართლოს სხდომებზე, საგამომიებო თუ სხვა მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად;
7. ადვოკატს ჰქონდეს საპროცესო და მატერიალური სამართლის ცოდნა და ასევე მხარდაჭერა იმ შემთხვევაში, თუ მას სხვადასხვა სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით ექნება კონსულტაციის მიღების საჭიროება.

ადვოკატის განგრძობად განათლებასა და სამართლებრივი მომსახურების ხარვეზებზე დროულ რეაგირებას უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს სამსახურის მიერ გაწეული სამართლებრივი მომსახურების ხარისხის შეფასებას 2 კრიტერიუმის ფარგლებში:

პრაქტიკული კომპეტენცია - ადვოკატის/კონსულტანტის მიერ საქმის დროულად და ორგანიზებულად წარმართვა/კონსულტაციის გაწევა:

- ✓ იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირის (ბენეფიციარის) საქმის მასალების გაცნობა;
- ✓ საქმის გასაცნობად საკმარისი დროის დათმობა და სათანადოდ მომზადება;
- ✓ ბენეფიციართან სათანადო კომუნიკაცია;
- ✓ ბენეფიციარისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება;
- ✓ ბენეფიციარისათვის უფლებების განმარტება;
- ✓ ბენეფიციართან შეთანხმებული ქმედებების განხორციელება;
- ✓ სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ/საგამომიებო ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანოში და წარმომადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით სხვა ორგანოებში დროულად გამოცხადება,

და

პროფესიული უნარები:

- ✓ ბენეფიციართან კომუნიკაციისას ადვოკატის/კონსულტანტის მიერ ემპათიის გამოჩენა;
- ✓ ბენეფიციარისათვის ინფორმაციის მარტივად და გასაგებად გადაცემის უნარი;

- ✓ სამართლებრივი ცოდნის პროაქტიულად გამოყენების უნარი;
- ✓ სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ/საგამომიებო ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანოში და წარმომადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით სხვა ორგანოებთან თუ სხვა ნებისმიერ პირთან სათანადო კომუნიკაცია.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს სამსახურის მიერ გაწეული სამართლებრივი მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფას **პროფესიულ კომპეტენციაში**, რომელიც მოიცავს:

- ✓ მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ცოდნას;
- ✓ საკანონდებლო სფეროში განხორციელებული ცვლილებების ცოდნას;
- ✓ საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ცოდნას;
- ✓ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ცოდნას;
- ✓ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ცოდნას;
- ✓ სხვა საერთაშორისო აქტების ცოდნას;

შეფასების სისტემის მიხედვით, სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასება და უზრუნველყოფა ხორციელდება შემდეგი **საშუალებებით**:

- ✓ ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარი;
- ✓ იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (Case-bank) ჩანაწერები;
- ✓ ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევა;
- ✓ მხარდამჭერთა ჯგუფი;
- ✓ სასამართლო პროცესზე დასწრება;
- ✓ იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი.

შეფასების წესი და კრიტერიუმების შემუშავებისას, სამსახურის ხარისხის შეფასების სამმართველოების ფარგლებში, შესწავლილ იქნა ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი, ევროპული, ამერიკული და სხვა ქვეყნების გამოცდილება, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

კერძოდ, შესწავლილ და გამოყენებულ იქნა:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები:

- CASE OF ALTAY v. TURKEY (No. 2), CASE OF ARTICO v. ITALY, CASE OF BELES AND OTHERS v. THE CZECH REPUBLIC, CASE OF CAMPBELL v. THE UNITED KINGDOM, CASE OF CZEKALLA v. PORTUGAL, CASE OF DAUD v. PORTUGAL, CASE OF GNAHORE v. FRANCE, CASE OF IMBRIOSCIA v. SWITZERLAND, CASE OF KAMASINSKI v. AUSTRIA, CASE OF KREMZOW v. AUSTRIA, CASE OF LOBZHANIDZE AND PERADZE v. GEORGIA (1), CASE OF MICHAUD v. FRANCE, CASE OF NA_T-LIMAN v. SWITZERLAND, CASE OF

NIKULA v. FINLAND, CASE OF R.D. v. POLAND, CASE OF RUTKOWSKI AND OTHERS v. POLAND, CASE OF SAKHNOVSKIY v. RUSSIA, CASE OF SANNINO v. ITALY, CASE OF SATAKUNNAN MARKKINAP_RSSI OY AND SATAMEDIA OY v. FINLAND, CASE OF SIALKOWSKA v. POLAND, CASE OF TRIPODI v. ITALY, CASE OF VAMVAKAS v. GREECE (No. 2), Běleš and Others v. the Czech Republic; Naït-Liman v. Switzerland, Tuziński v. Poland.

2. საერთაშორისო აქტები/დოკუმენტები:

- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია;
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტი;
- ადვოკატთა როლის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები;
- სისხლის სამართლის პროცესში ექვმიტანილი ან ბრალდებული პირებისთვის იურიდიული დახმარების უფლების შესახებ ევრო კომისიის 2013 წლის 27 ნოემბრის რეკომენდაცია;
- ევრო პარლამენტისა და ევროსაბჭოს 2016 წლის 26 ოქტომბრის #2016/1919 დირექტივა;
- გაეროს პრინციპები და სახელმძღვანელო წესები (იურიდიული დახმარების სფეროში სისხლის სამართალში);
- ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM / Rec (2010) 12;
- ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა #16 მოსამართლეთა და ადვოკატთა ურთიერთობის შესახებ (Opinion No. (2013) 16 On the relations between Judges and Lawyers adopted at the 14th plenary meeting of the CCJE (Strasbourg, 13-15 November 2013);
- ევრო საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის რეკომენდაცია (Recommendation CM/Rec (2010)12);
- ევრო საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2000 წლის რეკომენდაცია (ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლად განხორციელების შესახებ, Recommendation Rec(2000)21 of the Council of Europe’s Committee of Ministers to member States on the freedom of exercise of the profession of lawyer (adopted on 25 October 2000);
- ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) 2008 წელს მიღებული იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების ქარტია (“Charter of Core Principles of the European Legal Profession and Code of Conduct for European Lawyers”);
- ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა No1 (2001);
- ევროპელი იურისტების ქცევის კოდექსი (The Council of Bars and Law Societies of Europe (CCBE));
- ევროკავშირის იურისტთა ქცევის კოდექსი (Code of Conduct for European Lawyers);
- იურიდიული დახმარების შესახებ გაეროს განვითარების პროგრამის გლობალური კვლევა Global Study on Legal Aid, Country Profiles, United Nations Development Programme (UNDP), United Nations Office on Drugs and Crime (UNODC);
- გაეროს (გაეროს ნარკომანიისა და დანაშაულის ოფისი United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) სისხლის სამართლის პროცესებში იურიდიული დახმარების ხარისხის

უზრუნველყოფის სახელმძღვანელო (Handbook on Ensuring Quality of Legal Aid Services in Criminal Justice Processes Practical Guidance and Promising Practices);

- ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა, „მართლმსაჯულებაზე წვდომის შეფასების საშუალება, სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის მართლმსაჯულების ანალიზისათვის 2012 წ. (The American Bar Association Rule of Law Initiative, Access to Justice Assessment Tool, A guide to analyzing justice for civil society organizations, 2012);
- ეროვნული იურიდიული დახმარებისა და დამცველის ეროვნული ასოციაცია, საერთაშორისო იურიდიული დახმარებისა და დამცველის სისტემის განვითარების სახელმძღვანელო: განვითარებად ქვეყნებში, მოწყვლადი ჯგუფებისათვის იურიდიული დახმარების პროგრამის შექმნა და იმპლემენტაცია, 2010 წ. (National Legal Aid & Defender Association, International Legal Aid & Defender System Development Manual: Designing and Implementing Legal Assistance Programs for the Indigent in Developing Countries, 2010);
- გაეროს განვითარების პროგრამა, მართლმსაჯულებაზე წვდომის შეფასება აზიაში: რეგიონის გამოცდილებისა და ინსტრუმენტების მიმოხილვა, 2011 წ. (UNDP, Access to Justice Assessments in the Asia Pacific: A Review of Experiences and Tools from the Region, 2011);
- გაეროს განვითარების პროგრამა, ინსტიტუციური და შინაარსობრივი ანალიზი: სახელმძღვანელო შენიშვნა, 2014 (UNDP, Institutional and Context Analysis: Guidance Note, 2014);
- გაეროს განვითარების პროგრამა, პროგრამირება მართლმსაჯულებისათვის: ხელმისაწვდომობა ყველასთვის, 2005 წ.(UNDP, Programming for Justice: Access for All, 2005);
- გაეროს განვითარების პროგრამა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შეფასების ინსტრუმენტები - მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა: სამართლებრივი დაცვა და იურიდიული დახმარება, 2006 წ. (აგრეთვე იხილეთ UNODC, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შეფასების სისტემა ეთიოპიაში, 2014, UNODC, The Criminal Justice Assessment Toolkit – Access to Justice: Legal Defence and Legal Aid, 2006. (See also UNODC, Assessment of the Criminal Justice System in Ethiopia, 2014);
- მსოფლიო ბანკი, მართლმსაჯულების სექტორის შეფასებები: სახელმძღვანელო, 2007 წ (The World Bank, Justice Sector Assessments: A Handbook, 2007);
- უფასო იურიდიული დახმარების სისტემის შეფასება უკრაინაში, ევრო საბჭოს სტანდარტების ჭრილში და საუკეთესო პრაქტიკა, ევრო საბჭო 2016, (ASSESSMENT OF THE FREE SECONDARY LEGAL AID SYSTEM IN UKRAINE IN THE LIGHT OF COUNCIL OF EUROPE STANDARDS AND BEST PRACTICES);
- ევროკავშირის მხარდაჭერით მომზადებული დოკუმენტი - ”იურიდიული დახმარების ხარისხის გაზომვის ინსტრუმენტები და კრიტერიუმები: სახელმძღვანელო მითითებები ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის” (“Tools and Criteria for Measuring Legal Aid Quality: Guidelines for EU Member States” 2018);
- კომენტარები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საპილოტე განაჩენის შესახებ CCBE (CCBE COMMENTS ON THE PILOT-JUDGMENT PROCEDURE OF THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS);

- ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის სახელმძღვანელო წესები https://www.americanbar.org/groups/professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_conduct/model_rules_of_professional_conduct_table_of_contents/;
- ამერიკის სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება - In Re Smith, 659 N.E.2d 896 (Ill. 1995), Illinois Supreme Court);

3. სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა:

- ინგლისი (<https://www.gov.uk/guidance/legal-aid-agency-quality-standards>), შოტლანდია (<https://www.slac.org.uk/solicitors/quality-assurance-scheme/>), უკრაინა (<https://rm.coe.int/16806ff4a8>); ჰოლანდია (<https://rm.coe.int/16806ff4a8>), მოლდოვეთი (https://cnajgs.md/uploads/asset/file/en/326/Final_Report_Moldova_Legal_Aid_final_April_2013_EN.pdf), ამერიკის შეერთებული შტატები (ლუიზიანას სამართლის მიმოხილვა, იურიდიული დახმარება, მისი კონცეფცია, ორგანიზაცია და მნიშვნელობა, ჯონ ბრედვეი, LOUISIANA LAW REVIEW, Legal Aid, ITS CONCEPT, ORGANIZATION AND IMPORTANCE, John S. Bradway, ოჰაიოს პრაქტიკა (https://kb.osu.edu/bitstream/handle/1811/80799/OSJCL_V14N2_431.pdf)), აფრიკა (https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/Handbook_on_improving_access_to_legal_aid_in_Africa.pdf), კანადა (გადავდგათ ნაბიჭი წინ უფასო იურიდიული დახმარებაში, Moving Forward on Legal Aid, https://www.cba.org/CBAMediaLibrary/cba_na/images/Equal%20Justice%20-%20Microsite/PDFs/Moving-Forward-on-Legal-Aid.pdf), ევროპის სხვადასხვა ქვეყნების (იურიდიული დახმარება ევროპაში: ცხრა განსხვავებული გზა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად? Legal Aid in Europe: Nine Different Ways to Guarantee Access to Justice?).

2020 წელს, მომსახურების ხარისხის შეფასებისათვის:

- სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოს იურისტების მიერ განხორციელდა ბენეფიციართა კმაყოფილების კვლევა სატელეფონო გასაუბრების გზით, სულ გამოკითხულ იქნა - 98 ბენეფიციარი.
- სისხლის სამართლის საქმეებზე იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოს იურისტების მიერ განხორციელდა ბენეფიციართა კმაყოფილების კვლევა სატელეფონო გასაუბრების გზით, სულ გამოკითხულ იქნა - 91 ბენეფიციარი. 224 ბრალდებულთან პენიტენციურ დაწესებულებაში გაიგზავნა ბენეფიციართა კმაყოფილების კვლევის დოკუმენტი.

2020 წლის 1 სექტემბრიდან - 19 ოქტომბრამდე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის

შეფასების სამმართველოს მიერ განხორციელდა იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ონლაინ (facebook) გაწეული კონსულტაციების მონიტორინგი.

აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, **2020 წელს, მომსახურების საბჭოს** მიერ მომზადდა რეკომენდაციები ქოლ-ცენტრის კონსულტანტების მიერ კონსულტაციის გაწევისათვის;

2020 წლის ივნისში, მომსახურების საბჭოს მიერ მომზადდა დოკუმენტი: იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული სამართლებრივი მომსახურების ხარვეზები და შეფასების სისტემის საჭიროების ანალიზი.

დოკუმენტში მიმოხილულ იქნა:

- ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ არსებული საქმეები;
- 2015-2020 წლებში იურიდიული დახმარების სამსახურში წარმოებული დისციპლინური საჩივრები;
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის N12 ანგარიში (მონიტორინგის პერიოდი: 2017 თებერვალი - 2018 თებერვალი);
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის N13 ანგარიში (სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის შესახებ (2018 მარტი - 2019 წლის თებერვალი)),
- საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში (სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა);
- იურიდიული დახმარების შესახებ გაეროს განვითარების პროგრამის 2016 წლის გლობალური კვლევა Global Study on Legal Aid, Country Profiles, United Nations Development Programme (UNDP), United Nations Office on Drugs and Crime (UNODC).

აღნიშნულის საფუძველზე გაანალიზდა შეფასების სისტემის არსებობის საჭიროება და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების პროექტის შესაბამისობა არსებულ გამოწვევებთან.

სამსახურის დირექტორის 2020 წლის 7 სექტემბრის LA 3 20 0000965 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის შინაგანაწესში და დეტალურად მოწესრიგდა დისციპლინური სამართალწარმოება.

9. მხარდამჭერთა ჯგუფი

იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N 75 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების საფუძველზე შეიქმნა მხარდამჭერთა ჯგუფი.

იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 22 აგვისტოს N77 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა მხარდამჭერთა ჯგუფის დებულება.

მხარდამჭერთა ჯგუფი შედგება იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებრივი ადვოკატებისაგან. მხარდამჭერთა ჯგუფი ახორციელებს საზოგადოებრივი ადვოკატების სამართლებრივ მხარდაჭერას. მხარდამჭერთა ჯგუფისათვის მიმართვა არის ნებაყოფლობითი.

მხარდამჭერთა ჯგუფს, საქმის შესახებ ინფორმაცია ადვოკატის მიერ მიეწოდება დეპერსონალიზებული ფორმით.

მხარდამჭერთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ადვოკატისათვის და აქვს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი.

მხარდამჭერთა ჯგუფი უზრუნველყოფს, რომ ადვოკატს ჰქონდეს შესაძლებლობა მისი კოლეგებისაგან მიიღოს გარკვეული განმარტებები და გაიგოს მათი მოსაზრება რთული, კომპლექსური და განსხვავებული საქმეების წარმოებისას.

სამსახურის დირექტორის 2020 წლის 26 ოქტომბრის ბრძანებით LA 5 20 00001236, მხარდამჭერთა ჯგუფები სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, სისხლის სამართლის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, არასრულწლოვანთა და ნაფიც მსაჯულთა განსჯადი საქმეების მიმართულებით შეიქმნა შემდეგი შემადგენლობით:

სისხლის სამართლის მიმართულებით:

- ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი დავით გოგუა;
- ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი გელა ბერაძე;
- ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი გვანცა თურმანიძე;
- ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი მამუკა ზოიძე;
- თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი იასონ კანდელაკი;
- ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი პავლე კაკაბაძე;
- ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი მერაბ წულაია;
- ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი ვალერი კვანტალიანი;
- თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი სულხან კომახიძე;
- ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი გელა სიორდია;

სამოქალაქო სამართლის მიმართულებით:

- ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი ხვიჩა თავაძე;
- ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი მათა დარასელია;
- თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი თამარ კუპატაძე;
- ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი მათა ქათამაძე;
- თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი თეა ყაულაშვილი;

ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით:

- ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი ელისო ბოგვერაძე;
- თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი თეა ყაულაშვილი;
- ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი მათა დარასელია;
- თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი თამარ კუპატაძე;
- ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი მათა ქათამაძე;

ნაფიც მსაჯულთა განსჯადი საქმეების მიმართულებით:

- თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი სულხან კომახიძე;
- ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი გელა სიორდია;

არასრულწლოვანთა მიმართულებით:

- თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი გიორგი მდინარაძე;
- ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი ნათია ბოჯგუა;

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით:

- რუსთავის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი მათა პაიჭაძე;

2020 წელს, მხარდამჭერთა ჯგუფის მიერ გაიმართა ოთხი შეხვედრა, აქედან ორი დაეთმო ადვოკატთა მიმართების განხილვას, ხოლო ორი შეხვედრა წარიმართა ღია სხდომის სახით.

2020 წლის 19 ნოემბერს, თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის მიერ განხორციელდა მხარდამჭერთა ჯგუფისათვის პირველი მიმართვა. საკითხი ეხებოდა პრივატიზაციით საკუთრების მოპოვებისა და მემკვიდრეობის საკითხებს. 2020 წლის 24 ნოემბერს, ფოთის, თბილისისა და რუსთავის იურიდიული დახმარების ბიუროს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სპეციალიზაციის ადვოკატების - მხარდამჭერთა ჯგუფის წევრების მიერ მომზადდა პირველი რეკომენდაცია.

2020 წლის 15 დეკემბერს, თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ბათუმის, ზესტაფონისა და რუსთავის იურიდიული დახმარების ბიუროთა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატების - მხარდამჭერთა ჯგუფის წევრების მიერ განხილულ იქნა ადვოკატის მეორე მომართვა და 2020 წლის 16 დეკემბერს გაიცა მეორე რეკომენდაცია.

2020 წლის 22 დეკემბერს, გაიმართა მხარდამჭერთა ჯგუფის მესამე შეხვედრა თემაზე „საკომლო ქონების რეგისტრაციის, განაწილებისა და მემკვიდრეობის პრობლემური საკითხები“. მოხსენება წარადგინა იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატმა მაია დარასელიამ. შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ასევე სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატები თბილისის, ფოთის, ბათუმის, ქუთაისის, ზესტაფონისა და რუსთავის იურიდიული დახმარების ბიუროებიდან.

2020 წლის 29 დეკემბერს, გაიმართა მხარდამჭერთა ჯგუფის მეოთხე შეხვედრა ბავშვის უფლებათა კოდექსზე. შეხვედრას ესწრებოდნენ თბილისის, ფოთის, ზესტაფონისა და რუსთავის იურიდიული დახმარების ბიუროების ადვოკატები. 2020 წლის 29 დეკემბერს, მომზადდა დასკვნა, სადაც აისახა ადვოკატების მოსაზრებები და ჩამოყალიბდა საერთო მიდგომები.

10. სამსახურის თანამშრომელთა გადაზიდვა, განგრძობადი განათლება

2020 წელს სამსახურის თანამშრომლებისათვის ჩატარდა 33 ტრენინგი.

ტრენინგ-მოდულები შეირჩა ბენეფიციართა მომართვიანობის მაჩვენებლისა და ადვოკატთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით.

ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლებმა, საზოგადოებრივმა ადვოკატებმა და კონსულტანტებმა (გენდერული ბალანსი: 64% – ქალი, 36% – კაცი).

ტრენინგები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- მემკვიდრეობითი სამართალი - კომლის საკუთრება (USAID-PROLOG) – 3 ტრენინგი;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოყენება (მე-5 და მე-8 მუხლები) (USAID-PROLOG) – 3 ტრენინგი;
- ბავშვთა ბუღინგი, ბავშვთა მიმართ და ოჯახში ძალადობა (USAID-PROLOG) – 3 ტრენინგი;
- აუცილებელი მოგერიება და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი დანაშაული (USAID-PROLOG) – 3 ტრენინგი;
- არასრულწლოვნების უფლებების დაცვა (USAID-PROLOG) – 3 ტრენინგი;
- პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა (USAID-PROLOG) – 3 ტრენინგი;
- ეფექტიანი კომუნიკაციის უნარები (USAID-PROLOG) – 1 ტრენინგი;
- ტესტის შედგენის მეთოდოლოგია (USAID-PROLOG) – 1 ტრენინგი;
- არასრულწლოვნების უფლებების დაცვა - ტრენერთა ტრენინგი (USAID-PROLOG; UNICEF) – 1 ტრენინგი;
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება: იძულებითი და წინასასამართლო ზომების გამოყენება (Council of Europe) – 2 ტრენინგი;
- ბრძოლა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ (Council of Europe) – 2 ტრენინგი;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები (Council of Europe) – 1 ტრენინგი;
- ტრენინგის ციკლის მართვა (Council of Europe) – 1 ტრენინგი;
- მოქალაქეობის არქონის საკითხები და თავშესაფრის მაძიებლები (UNHCR) – 1 ტრენინგი;
- მოქალაქეობის არქონის საკითხები (UNHCR/IRC) – 2 ტრენინგი;
- მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები – 1 ტრენინგი;
- ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები და თანამედროვე ტენდენციები – 1 ტრენინგი;

- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის საკითხებზე ამერიკის შეერთებული შტატების ვისკონსინის ადვოკატების ექსპერტიზის ტრენინგი საპროცესო უნარების შესახებ;

2020 წლის 14-15 იანვარს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის, ქ. თბილისში ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება: იძულებითი და წინასასამართლო ზომების გამოყენება“. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - ივანა როანა და ბესარიონ ბოხაშვილი. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 18 თანამშრომელი.

2020 წლის 16-17 იანვარს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის, ქ. თბილისში ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ბრძოლა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ“. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - ივანა როანა და თინათინ უფლისაშვილი. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 12 თანამშრომელი.

2020 წლის 18-19 თებერვალს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის, ქ. ქუთაისში ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება: იძულებითი და წინასასამართლო ზომების გამოყენება“. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - ივანა როანა და ლევან მესხორაძე. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 15 თანამშრომელი.

2020 წლის 18-19 თებერვალს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრის თანამშრომლებისთვის ქ. თბილისში ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ტრენინგის ციკლის მართვა“. ტრენინგს უძღვებოდა მოწვეული ექსპერტი - ნინო ბერუაშვილი. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 4 თანამშრომელი.

2020 წლის 20-21 თებერვალს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის ქ. ქუთაისში ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ბრძოლა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ“. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - ივანა როანა და ლევან მესხორაძე. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 15 თანამშრომელი.

2020 წლის 25-26 თებერვალს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოსა და UNDP-ს მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგიები და სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშების მომზადების საკითხები“. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს თანამშრომლები;

2020 წლის 27-28 თებერვალსა და 9-11 მარტს, იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისთვის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, დაიწყო ტრენინგი თემაზე: „ტექსტის შედგენის მეთოდოლოგია“. ტრენინგს უძღვებოდნენ შეფასებისა და ეროვნული ცენტრის თანამშრომლები. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 5 თანამშრომელი.

2020 წლის 27-29 აპრილს და 3 მაისს, პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, ჩატარდა ოთხ დღიანი დისტანციური ტრენინგითა ტრენინგი თემაზე: „არასრულწლოვნების უფლებების დაცვა“. განახლებული სასწავლო მოდულით ტრენინგად გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 3 თანამშრომელი. ტრენინგითა ტრენინგში ჩართულები იყვნენ ადგილობრივი ექსპერტები, ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები.

2020 წლის 30 აპრილს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, ჩატარდა დისტანციური ტრენინგი თემაზე: „მემკვიდრეობითი სამართალი-კომლის საკუთრება“. ტრენინგს უძღვებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე - თამარ ხაჟომია. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 14 თანამშრომელი.

2020 წლის 5 მაისს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, ჩატარდა დისტანციური ტრენინგი თემაზე: „მემკვიდრეობითი სამართალი-კომლის საკუთრება“. ტრენინგს უძღვებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე - თამარ ხაჟომია. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 18 თანამშრომელი.

2020 წლის 15 მაისს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, ჩატარდა დისტანციური ტრენინგი თემაზე: „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოყენება (მე-5 და მე-8 მუხლები)“. ტრენინგს უძღვებოდა ადვოკატი - ირაკლი ადეიშვილი. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 20 თანამშრომელი.

2020 წლის 22 მაისს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, გაიმართა დისტანციური ტრენინგი თემაზე: „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოყენება (მე-5 და მე-8 მუხლები)“. ტრენინგს უძღვებოდა ადვოკატი - ირაკლი ადეიშვილი. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 20 თანამშრომელი.

2020 წლის 28 მაისს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, გაიმართა დისტანციური ტრენინგი თემაზე: „ბავშვთა ბულინგი, ბავშვთა მიმართ და ოჯახში ძალადობა“. ტრენინგს უძღვებოდა ადვოკატი თამარ გაბოძე. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 16 თანამშრომელი.

2020 წლის 2 ივნისს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, გაიმართა დისტანციური ტრენინგი თემაზე: „აუცილებელი მოგერიება და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი დანაშაული“. ტრენინგს უძღვებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე - ბადრი კოჭლამაზაშვილი. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 17 თანამშრომელი.

2020 წლის 4 ივნისს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, გაიმართა დისტანციური ტრენინგი თემაზე: „ბავშვთა ბულინგი, ბავშვთა მიმართ და ოჯახში ძალადობა“. ტრენინგს უძღვებოდა ადვოკატი თამარ გაბოძე. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 19 თანამშრომელი.

2020 წლის 11 ივნისს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, გაიმართა დისტანციური ტრენინგი თემაზე: „აუცილებელი მოგერიება და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი დანაშაული“. ტრენინგს უძღვებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე - ბადრი კოჭლამაზაშვილი. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 19 თანამშრომელი.

2020 წლის 18 ივნისს, იურიდიული დახმარების სამსახურმა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან (UNHCR) და ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრთან (IRC) თანამშრომლობით ადვოკატებისთვის გამართა დისტანციური ტრენინგი თემაზე - „მოქალაქეობის არმქონე პირები“. ტრენინგს უძღვებოდნენ: ნატო გაგნიძე - ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი, პროექტის „მოქალაქეობის არმქონეობის დასრულება საქართველოში“ დირექტორი, ია ბიგანიშვილი - სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი, ნინო რთველაძე და დავით ობოლაძე - ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის, პროექტის „მოქალაქეობის არმქონეობის დასრულება საქართველოში“ იურისტები. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 8 თანამშრომელი.

2020 წლის 19 ივნისს, იურიდიული დახმარების სამსახურმა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან (UNHCR) და ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრთან (IRC) თანამშრომლობით ადვოკატებისთვის გამართა დისტანციური ტრენინგი თემაზე - „მოქალაქეობის არმქონე პირები“. ტრენინგს უძღვებოდნენ: ნატო გაგნიძე - ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი, პროექტის „მოქალაქეობის არმქონეობის დასრულება საქართველოში“ დირექტორი, ია ბიგანიშვილი - სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს

წარმომადგენელი, ნინო რთველაძე და დავით ობოლაძე - ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის, პროექტის „მოქალაქეობის არმქონეობის დასრულება საქართველოში“ იურისტები. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 13 თანამშრომელი.

2020 წლის 8-11 ივლისს, 22-25 ივლისს, 29 ივლისს -1 აგვისტოს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, ჩატარდა სამი ოთხ დღიანი დისტანციური ტრენინგი თემაზე: „არასრულწლოვნების უფლებების დაცვა“. ადვოკატებს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სფეროში სპეციალიზაცია მიენიჭათ სპეციალიზებული კურსის სრულად და კურსის ტესტირების წარმატებით გავლის საფუძველზე. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 87 თანამშრომელი.

2020 წლის 20-21 ივლისს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მხარდაჭერით, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის ჩატარდა გასვლითი ტრენინგი თემაზე - „მოქალაქეობის არქონის საკითხები და თავშესაფრის მაძიებლები“. ტრენინგს უძღვებოდნენ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) თანამშრომლები, მოხსენებები წარადგინეს იურიდიული დახმარების სამსახურის, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ წარმომადგენლებმა. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 13 თანამშრომელი.

2020 წლის 30 სექტემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, გაიმართა დისტანციური ტრენინგი თემაზე: „პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა“. ტრენინგს უძღვებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე - ირაკლი კოპალიანი. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 18 თანამშრომელი.

2020 წლის 8-9 ოქტომბერს, იურიდიული დახმარების სამსახურმა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტებისთვის ჩატარა დისტანციური ტრენინგი თემაზე - „მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები“. ტრენინგს უძღვებოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურისტი - ირინე კვაჭანტირაძე. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 23 კონსულტანტი.

2020 წლის 16 ოქტომბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, გაიმართა დისტანციური ტრენინგი თემაზე: „ბავშვთა ბულინგი, ბავშვთა მიმართ და ოჯახში

ძალადობა“. ტრენინგს უძღვებოდა ადვოკატი - თამარ გაბოძე. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 19 თანამშრომელი.

2020 წლის 22 ოქტომბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, გაიმართა დისტანციური ტრენინგი თემაზე: „აუცილებელი მოგერიება და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი დანაშაული“. ტრენინგს უძღვებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე - ბადრი კოჭლამაზაშვილი. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 31 თანამშრომელი.

2020 წლის 6 ნოემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, გაიმართა დისტანციური ტრენინგი თემაზე: „პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა“. ტრენინგს უძღვებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე - ირაკლი კოპალიანი. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 21 თანამშრომელი.

2020 წლის 12 ნოემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, გაიმართა დისტანციური ტრენინგი თემაზე: „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოყენება (მე-5 და მე-8 მუხლები)“. ტრენინგს უძღვებოდა ადვოკატი - ირაკლი ადეიშვილი. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 23 თანამშრომელი.

2020 წლის 27 ნოემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, გაიმართა დისტანციური ტრენინგი თემაზე: „პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა“. ტრენინგს უძღვებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე - ირაკლი კოპალიანი. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 15 თანამშრომელი.

2020 წლის 2-4 დეკემბერს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ჩატარდა დისტანციური ტრენინგი იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის თემაზე - „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები“. ტრენინგს უძღვებოდა ეროვნული ექსპერტი გენდერის საკითხებში - ბაია პატარაია. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 15 თანამშრომელი.

2020 წლის 10 დეკემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, გაიმართა დისტანციური ტრენინგი თემაზე: „მემკვიდრეობითი სამართალი-კომლის საკუთრება“. ტრენინგს უძღვებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე - თამარ ხაყოშია.

ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 24 თანამშრომელი.

2020 წლის 9-12 დეკემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის სისხლის სამართლის საქმეებზე, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარებისა და სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოს თანამშრომლებისთვის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, გაიმართა დისტანციური ტრენინგი თემაზე: „ეფექტიანი კომუნიკაციის უნარები“. აღნიშნული ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა იურიდიული დახმარების სამსახურის ბენეფიციარების კმაყოფილების კვლევის ჩატარების მიზნებისათვის ხარისხის შეფასების სამმართველოს თანამშრომელთა გადამზადება ეფექტიანი კომუნიკაციის უნარებში. ტრენინგს უძღვებოდა კომუნიკაციის ექსპერტი - ვლადიმერ მკერვალიშვილი. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 12 თანამშრომელი.

2020 წლის 14 დეკემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა დისტანციური ტრენინგი თემაზე - „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები და თანამედროვე ტენდენციები“. ტრენინგზე მომხსენებლები იყვნენ იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლები. ტრენინგი ჩატარდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 31 თანამშრომელი.

2020 წლის აგვისტო - დეკემბრის პერიოდში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების ვისკონსინის ადვოკატების მიერ ჩატარდა ექვსკვირიანი ტრენინგი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტთან დაკავშირებით საპროცესო უნარებში. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ შექმნილ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში ასევე შევიდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებიც. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 8 ადვოკატი.

იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლების, საზოგადოებრივი ადვოკატებისა და კონსულტანტების მონაწილეობით ჩატარდა 12 სამუშაო შეხვედრა. თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 1 კონფერენციაში. კერძოდ:

- ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმის ახალი პოლიტიკის დაგეგმვის მოთხოვნებისა და პროცედურების განხორციელების შესახებ - 1 შეხვედრა;
- ISO სერტიფიცირების საკითხებთან დაკავშირებით – 1 შეხვედრა;

- იურიდიული დახმარების ბიუროებისა და მათი თანამშრომლების საქმიანობის შესწავლისა და ანალიზის საკითხებთან დაკავშირებით -5 შეხვედრა;
- კონფერენცია „გზა დანაშაულის ჩადენიდან საზოგადოებაში დაბრუნებამდე“ – 1 შეხვედრა;
- დევნილთა საკითხებში (UNHCR) – 1 შეხვედრა (კახეთი);
- დევნილთა საკითხებში (UNHCR) – 1 შეხვედრა (ქუთაისი);
- „სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეგულირების მექანიზმის“ (USAID PROLoG)- 1 შეხვედრა;
- ქმედუნარიანობის რეფორმასთან დაკავშირებით კვლევის შედეგების გაზიარება (PHR, EMC, GASW, GIP-Tbilisi (დისტანციური) – 1 შეხვედრა;
- კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრთან (CRRC) (დისტანციური) – 1 შეხვედრა.

ინფორმაცია სამუშაო შეხვედრებთან დაკავშირებით:

2020 წლის 25 თებერვალს, ყვარელში გაიმართა შეხვედრა ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმის ახალი პოლიტიკის დაგეგმვის მოთხოვნებისა და პროცედურების განხორციელების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდა დირექტორის პირველი მოადგილე ნინო მელაძე;

2020 წლის 20 იანვარს, შედგა სამუშაო შეხვედრა ISO სერთიფიკატის მიღების მიზნით სამსახურის სამომავლო გეგმების განხილვასთან დაკავშირებით. შეხვედრაში მონაწილეობდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი, პირველი მოადგილე, მოადგილეები და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები.

2020 წლის 21 იანვარს, 12 თებერვალს, 11 და 18 მარტსა და 2 აპრილს, ჩატარდა შეხვედრების ციკლი იურიდიული დახმარების ბიუროებისა და მათი თანამშრომლების საქმიანობის შესწავლისა და ანალიზის საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრაში მონაწილეობდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი, დირექტორის პირველი მოადგილე და აპარატის თანამშრომლები.

2020 წლის 20-21 თებერვალს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მხარდაჭერით, ქ. თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ ჩატარდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენელთათვის კონფერენცია თემაზე - „გზა დანაშაულის ჩადენიდან საზოგადოებაში დაბრუნებამდე“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ სისხლის სამართლის საქმეებზე იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოს თანამშრომლები.

2020 წლის 21-22 ივლისს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა (UNHCR) გამართა სამუშაო შეხვედრა აღმოსავლეთ საქართველოს მოხალისეებთან დევნილთა საკითხებში. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო და მოხსენებით გამოვიდა იურიდიული

დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი - თეა ყაულაშვილი.

2020 წლის 9-10 სექტემბერს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა (UNHCR) გამართა სამუშაო შეხვედრა დასავლეთ საქართველოს მოხალისეებთან დევნილთა საკითხებში. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო და მოხსენებით გამოვიდა იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი - თეა ყაულაშვილი.

2020 წლის 26 ოქტომბერს, USAID-PROLoG-ის მხარდაჭერით შედგა შეხვედრა - თემაზე „იურიდიული დახმარების სამსახურის სექსუალური შევიწროების პრევენციის და რეგულირების მექანიზმის“ განხილვა. ექსპერტი - მარიამ გაიპარაშვილი. შეხვედრაში მონაწილეობდნენ დირექტორის პირველი მოადგილე ნინო მელაძე და იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლები.

2020 წლის 2 ნოემბერს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებმა: „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR), ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (GASW) და გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში-თბილისი (GIP-Tbilisi) გამართეს დისტანციური შეხვედრა იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებთან მხარდაჭერის რეფორმის განხორციელების პროცესში არსებული ბარიერების კვლევასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების ანალიზის შესახებ. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო იურიდიული დახმარების სამსახურის 18-მა ადვოკატმა.

2020 წლის 24 ნოემბერს, USAID PROLoG-ის მხარდაჭერით, იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებსა და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრს (CRRC) შორის გაიმართა დისტანციური შეხვედრა სამსახურის ბენეფიციართა კმაყოფილების კვლევასთან დაკავშირებით. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა ონლაინ კითხვარის დამუშავებასთან და ინტერვიუს შეფასების ფორმის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის 12-მა თანამშრომელმა.

11. სამსახურში დაგეგმილი და მიმდინარე რეფორმები

2019 წლიდან დაიწყო სამსახურის საქმიანობის ანალიზი საჭირო რეფორმირების საკითხების გამოკვლევის მიზნით. 2020 წელს რეფორმების განხორციელება დაიგეგმა სხვადასხვა მიმართულებით.

იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმის პრიორიტეტული მიმართულებები:

1. ფინანსური რეფორმა: საადრიცხვო პოლიტიკის შემუშავება;
2. სამსახურის ხელმისაწვდომობის გაზრდა;
3. სამსახურის ცნობადობის გაზრდა/რებრენდინგი;
4. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება:
 - შეფასების სისტემის იმპლემენტაცია;
 - სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;
 - საზოგადოებრივი ადვოკატების სპეციალიზაცია;
 - ადვოკატების თანაბარი დატვირთულობის უზრუნველყოფა;
 - საზოგადოებრივი ადვოკატების/კონსულტანტების საქმისწარმოების დახვეწა;
5. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
6. იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარება;
7. რეესტრის ადვოკატების საქმიანობის მოწესრიგება;
8. დოკუმენტბრუნვის ერთიანი მექანიზმის შექმნა;
9. დისტანციური საქმისწარმოების დანერგვა;
10. რეფერალური სისტემის განვითარება;

რეფორმის შედეგად:

- ფინანსური რესურსების ხარჯვა გახდება უფრო გამჭვირვალე და ეფექტური;
- გაიზრდება სამსახურის ხელმისაწვდომობა;
- გაიზრდება სამსახურის ცნობადობა;
- ამაღლდება თანამშრომელთა კვალიფიკაცია;
- გაუმჯობესდება სამსახურის მიერ განხორციელებული სამსახურებრივი მომსახურების ხარისხი;
- უზრუნველყოფილი იქნება ადვოკატების თანაბარი დატვირთულობა;
- მოწესრიგდება ადვოკატების, მათ შორის რეესტრის ადვოკატების, კონსულტანტების საქმისწარმოება და მათი ანგარიშგება გახდება უფრო ეფექტური;
- გაუმჯობესდება სამსახურის საქმისწარმოება და დოკუმენტბრუნვა;
- დაინერგება დისტანციური საქმისწარმოება და მტკიცებულებების გაცვლის ელექტრონული რეჟიმი;
- დაინერგება სამსახურის მიერ გასვლითი საინფორმაციო/საკონსულტაციო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების ერთიანი წესი;
- განვითარდება რეფერალური სისტემა;

სააღრიცხვო პოლიტიკის დანერგვა

2009 წელს, საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და ევროკავშირთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობამ იკისრა ვალდებულება საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს) დანერგვის თაობაზე. აღნიშნული რეფორმის სტრატეგია აისახა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრით დამტკიცებულ N701 ბრძანებაში „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებას სსბასს-ი შესაბამისად. რეფორმის მიზანია, რომ საჯარო სექტორის ერთეულების მიერ გამოყენებული რესურსების შესახებ ინფორმაცია აღქმადი იყოს ნებისმიერი მოქალაქეებისათვის.

2020 წელს, სამსახურის სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისათვის გადამზადდა თანამშრომელი, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და მოეწყო სამუშაო შეხვედრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან. აღნიშნულის საფუძველზე შემუშავდა სამსახურის სააღრიცხვო პოლიტიკა.

სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოადგენს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ფინანსური ანგარიშგების (ბალანსის) მომზადებისა და წარდგენის დროს გამოყენებული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობას.

სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება მიმდინარეობდა საერთაშორისო სტანდარტების დამდგენი სხვა უწყების უკანასკნელი ოფიციალური გამოცემების მხედველობაში მიღებით და საჯარო და კერძო სექტორში მიღებული პრაქტიკის გათვალისწინებით მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

პოლიტიკის შემუშავებისას შეხვედრები და კონსულტაციები გაიმართა სამსახურის სხვადასხვა სამმართველოებთან, რათა სიღრმისეულად ყოფილიყო გათვალისწინებული სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სპეციფიკა და თავისებურება.

სამსახურს სააღრიცხვო პოლიტიკაში გაიწერა შემდეგი საკითხები:

1. ბიუჯეტის შედგენის პროცედურები;
2. შესყიდვების პროცედურები;
3. ძირითადი საშუალებების აღრიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები;
4. არამატერიალური აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები;
5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები;

6. არაგაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები;
7. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურში ინვესტიციების განმახორციელებელ (დონორები) ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხები;
8. ხარჯების აღრიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები;
9. ინვენტარიზაციის ჩატარებასთან დაკავშირებული პროცედურები;
10. და სხვა.

სამსახურის სააღრიცხვო პოლიტიკით შემუშვებული და დანერგილი იქნა ბუღალტრული აღრიცხვის ისეთი პირველადი დოკუმენტაცია, როგორცაა ინდივიდუალური და ნაერთი (კრებსითი) დოკუმენტები, აგრეთვე მაგროვებელი დოკუმენტები, რომლებიც სრულად ასახავენ სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ სპეციფიკასა და თავისებურებებს და ამავე დროს სრულ შესაბამისობაში არის მოქმედ კანონმდებლობასთან.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ შემუშვებული სააღრიცხვო პოლიტიკა ასახვას პოულობს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსში), რომელიც შეიცავს საიმედო და შესაბამის ინფორმაციას, იმ ოპერაციების, სხვა ეკონომიკური მოვლენების ან პირობების შესახებ, რომლებისთვისაც იგი გამოიყენება.

სააღრიცხვო პოლიტიკაში გადმოცემული ინფორმაცია არის მარტივი და აღქმადი, რათა ნებისმიერმა მოქალაქემ შეძლოს ძირითად ფინანსურ ინფორმაციაზე აქცენტის გაკეთება.

სამსახურის მიერ შემუშვებული სააღრიცხვო პოლიტიკით შესაძლებელია სრულყოფილად და გამჭვირვალედ წარმოჩინდეს რამდენად ეკონომიურად შეიძინა და ეფექტურად მოიხმარა სამსახურმა რესურსები და რამდენად იცავდა სამსახური კანონმდებლობას და სხვა აქტებს.

სამსახურის ტერიტორიული ხელმისაწვდომობა

სამსახურის მიერ დამუშავდა:

- სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში უფასო სამართლებრივ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაეროს პრინციპებისა და სახელმძღვანელო წესები (67/187);
- გაეროს ნარკომანიისა და დანაშაულის ოფისის (UNODC) მიერ მომზადებულ 2016 წლის გლობალური კვლევა.

განხორციელდა ამ დოკუმენტებში მითითებული რეკომენდაციების ანალიზი და დაიგეგმა ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაფართოვების გეგმა.

ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის სამსახურმა 2020 წელს, საქართველოს მასშტაბით გახსნა 16 ახალი საკონსულტაციო ცენტრი და 2021 წელს იგეგმება დამატებით 21 საკონსულტაციო ცენტრის გახსნა, რაც სრულად გადაჭრის საქართველოს მასშტაბით სამსახურის ტერიტორიული ხელმისაწვდომობის საკითხს.

სამსახურის ცნობადობა

2020 წელს, საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით დაიწყო სამსახურის ახალი ლოგოს შემუშავების პროცესი.

სამსახურის ცნობადობის გაზრდისათვის 2020 წელს დაიწყო სამსახურის ახალი საიტის შექმნა, რომელიც მორგებული იქნება ბენეფიციართა, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციართა საჭიროებებზე.

გარდა ამისა, ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედებასთან ერთად სამსახურმა დაიწყო ბავშვთა საჭიროებაზე მორგებული ახალი საიტის შექმნა, რომლის დასრულება დაგეგმილია 2021 წლის პირველი ნახევრისათვის.

ბავშვთა საიტის შექმნისათვის სამსახურის მიერ გაანალიზებულ იქნა:

- სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში უფასო სამართლებრივ დახმარებაზე ხელმსაწვდომობის გაეროს პრინციპები და სახელმძღვანელო წესები (67/187), უფასო იურიდიულ დახმარებაზე ბავშვების წვდომისა და სპეციალური ზომების მიღების ვალდებულების ასევე ხელმისაწვდომობის კრიტერიუმების შესახებ;
- გაეროს გენერალური მდივნის სახელმძღვანელო შენიშვნა, მართლმსაჯულება ბავშვებისთვის (2008 წ.), სადაც მითითებულია ბავშვზე მორგებული პროცედურების და მეთოდების მიზანშეწონილობაზე, რაც უზრუნველყოფს ბავშვის სრულფასოვან მონაწილეობას სასამართლო, ადმინისტრაციულ და საზოგადოებაზე დაფუძნებულ პროცესებში;
- აფრიკაში, ბავშვისათვის მეგობრული იურიდიული დახმარების შესახებ UNICEF-ის 2011 წლის ანგარიში;

აღნიშნული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა საიტის შექმნის კონცეფცია, ინფორმაციის განთავსების წესები და ფორმა. კერძოდ, განისაზღვრა, რომ ვებ-გვერდზე ინფორმაცია უნდა იყოს მარტივი, გასაგები და თვალსაჩინო ფორმით ასახული.

კონცეფციის მიხედვით ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს ინფორმაცია:

- სამსახურის, მისი სერვისებისა და არასრულწლონებთან დაკავშირებით სამსახურის მანდატის შესახებ.
- ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის შრომის, განათლების და ა.შ. უფლებებზე;
- ბულინგისა და ბულინგის შემთხვევაში ბავშვის დაცვის ღონისძიებებზე;
- ოჯახში ძალადობაზე, ბავშვთა სექსუალურ ძალადობასა და დაცვის ღონისძიებებზე;

- სასამართლოსათვის/ადმინისტრაციული ორგანოებისათვის მიმართვის წესსა და პირობებზე;
- არასრულწლოვნებისათვის მნიშვნელოვან სხვა სამართლებრივ საკითხებზე;

კონცეფციით განისაზღვრა ვიდეო-რგოლებისა და გასართობი სასწავლო თამაშების განთავსების შესაძლებლობებიც.

მომსახურების ხარისხის ამაღლება

სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლება წარმოადგენს სამსახურის უმთავრეს პრიორიტეტს, რომლის მიღწევაც ხორციელდება სამსახურის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებების რეფორმირებით.

მომსახურების ხარისხის ამაღლება მოიცავს სამსახურის სასწავლო ცენტრის გაძლიერებას, შეფასების სისტემის იმპლემენტაციას, სამსახურის შიდა დოკუმენტების განახლებას, სადაც დეტალურად მოწესრიგდება სამსახურის საქმისწარმოების, მათ შორის ადვოკატებისა და კონსულტანტების საქმისწარმოების წესები, ბენეფიციარებთან, სხვადასხვა ორგანოებთან თუ მესამე პირებთან კომუნიკაციის სტანდარტები, უზრუნველყოფილ იქნება ადვოკატთა თანაბარი დატვირთულობა და სპეციალიზაცია. მოწესრიგდება ადვოკატების/კონსულტანტების, მათ შორის რეესტრის ადვოკატების ანგარიშგების წესები, განვითარდება დისტანციური კომუნიკაციისა და სამართალწარმოებაში დისტანციურად მონაწილეობის შესაძლებლობები.

მომსახურების ხარისხის ამაღლებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამსახურის სასწავლო ცენტრს. რეფორმის ფარგლებში განისაზღვრა ტრენინგ საჭიროებათა კვლევის მეთოდები, რომლის მიხედვითაც, სასწავლო ცენტრის მიერ ტრენინგების საჭიროებათა კვლევა განხორციელდება შემდეგი მეთოდების გათვალისწინებით:

- ადვოკატებისა და კონსულტანტებისაგან ინფორმაციის მიღება;
- სამსახურის სტატისტიკური (იურიდიული კონსულტაციებისა და იურიდიული დახმარების შესახებ) ინფორმაციის ანალიზი;
- საკანონმდებლო სიახლეების ანალიზი;
- სამთავრობო გეგმებით სამსახურისადმი დადგენილი ვალდებულებების ანალიზი/სამსახურის სხვა უწყებათშორისი ვალდებულებები;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების ანალიზი;
- უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების ანალიზი;
- სამსახურის მანდატის გაფართოებიდან გამომდინარე საჭიროებების ანალიზი;
- სისხლის სამართლის საქმეებზე, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარებისა და სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოების მიერ მომზადებული რეკომენდაციების ანალიზი;
- ბენეფიციართა საჩივრების ანალიზი;

- საქართველოს სახალხო დამცველისა და სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზი;
- გასვლით საკონსულტაციო/საინფორმაციო შეხვედრებზე გამოვლენილი საკითხების ანალიზი;
- ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგების ანალიზი;
- განვითარებულ სახელმწიფოებში იურიდიული სწავლების სფეროში არსებული სიახლეებისა და მიმართულებების ანალიზი;

კონცეფციით დადგინდა, რომ ტრენინგები უნდა დაინერგოს არა მხოლოდ სამართლებრივ საკითხებზე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, არამედ, საჭირო უნარების ათვისებისა და გაღრმავებისათვის.

ამასთან, სასწავლო ცენტრმა უნდა უზრუნველყოს:

- საორიენტაციო ტრენინგები ახალი თანამშრომლებისათვის,
- ტრენინგები საინფორმაციო ტექნოლოგიებში.

კონცეფციით განისაზღვრა, რომ მითითებული ტრენინგები მომზადდება ვიდეო ტრენინგების ფორმატით და გამოყენებულ იქნება საჭიროებებიდან გამომდინარე.

ადვოკატების საქმისწარმოების წესების განახლებისა და კომუნიკაციის სტანდარტების განსაზღვრის მიზნით სამსახურის ხარისხის შეფასების სამმართველოების ფარგლებში, სამსახურის მიერ დამუშავებულ იქნა:

- ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის სახელმძღვანელო წესების („სიკვდილით დასჯის საქმეებზე დაცვის მხარის ადვოკატის დანიშვნისა და საქმიანობის შესახებ“), კომენტარებთან ერთად;
- ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის მოდელური წესები ადვოკატთა დისციპლინური წარმოების შესახებ;
- ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიას შტატის ადვოკატთა ასოციაციის სამართლებრივი პრაქტიკის მენეჯმენტის ფორმები;
- ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის საქმეებზე დაცვის მხარის ფუნქციონირების სტანდარტები;
- ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის მოსაზრებები;
- ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ქცევის მოდელური წესები;
- ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ იორკის პროფესიული ქცევის წესები;
- ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ იორკის ადვოკატთა ასოციაციის სავაჭრო და ფედერალური სამართალწარმოების განყოფილების სოციალური მედიის ეთიკის სახელმძღვანელო წესები;
- ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოს CCBE-ს ევროპული იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების ქარტია;

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები - Nikula v. Finland, Schöpfer v. Switzerland, Amihalachioaie v. Moldova, André and Another v. France, Kyprianou v. Cyprus, Van der Mussele v. Belgium, Foglia v Switzerland, Amihalachioaie v. Moldova, Karpetas v. Greece.

აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, 2020 წელს, სამსახურმა დაიწყო მუშაობა შიდა აქტების განახლებისათვის, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოაწესრიგებს სამსახურისა და განსაკუთრებით ადვოკატის საქმიანობასა და საქმისწარმოებას;

საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება

საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების რეფორმის დაგეგმვის მიზნით სამსახურის მიერ გაანალიზებულ იქნა:

- სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში უფასო სამართლებრივ დახმარებაზე ხელმსაწვდომობის გაეროს პრინციპები და სახელმძღვანელო წესები; (67/187);
- გაეროს ნარკომანიისა და დანაშაულის ოფისის (UNODC) მიერ მომზადებულ 2016 წლის გლობალური კვლევა;

მომზადდა გასვლითი საინფორმაციო, საკონსულტაციო ღონისძიებების დაგეგმვისა და უნიფიცირებული პრეზენტაციების შემუშავების კონცეფცია:

გასვლითი საინფორმაციო, საკონსულტაციო ღონისძიებების დაგეგმვისათვის დადგინდა შემდეგი საკითხების გათვალისწინების ვალდებულება:

- სამთავრობო გეგმებიდან გამომდინარე ვალდებულებები;
- საზოგადოებაში მიმდინარე აქტუალური საკითხები (მაგ. ოჯახში ძალადობა, ბულინგი და ა.შ.);
- თითოეული რეგიონებისათვის აქტუალური სამართლებრივი საკითხები;
- განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები;
- გასული წლის გასვლითი ღონისძიებებიდან გამომდინარე სტატისტიკა და საკითხები;
- საკონსულტაციო ცენტრების მიმართვიანობის სტატისტიკა;
- სხვა რელევანტური ინფორმაცია, მათ შორის სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დასკვნები და ა.შ.

კონცეფციით განისაზღვრა ინფორმაციის მიწოდებისა და პრეზენტაციების უნიფიცირებული ფორმების შემუშავება.

კონცეფციის თანახმად, პრეზენტაცია/მოხსენება მოსახლეობას უნდა აძლევდეს ინფორმაციას ამა თუ იმ უფლებისა და მისი რეალიზაციისათვის საჭირო სამართლებრივი ინსტიტუტის შესახებ.

კონცეფციით დადგინდა, რომ პრეზენტაცია/მოხსენება:

- უნდა უზრუნველყოფდეს კონკრეტული სამართლებრივი საკითხის აქტუალურობის, მნიშვნელობისა და არსის განმარტებას (მაგ., რა არის მიწის რეგისტრაცია და რა შედეგებს წარმოშობს ის, ვინაიდან, მაგ. მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობისათვის გაურკვეველია რა მნიშვნელობა აქვს და რატომ არის მიწის საკუთრებაში აღრიცხვა საჭირო);
- უნდა უზრუნველყოფდეს პრობლემის თვალსაჩინოდ წარმოჩენას (მაგ. ხშირად მოსახლეობა ვერ აცნობიერებს რომ ოჯახში ძალადობის ფაქტის დაფარვამ შესაძლოა უფრო მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანოს);
- უნდა იყოს თვალსაჩინო და აქცენტები გაკეთდეს საკითხის მნიშვნელოვან ასპექტებზე (მაგ. მნიშვნელოვანია მიწის რეგისტრაცია სახელმწიფო პროექტებში მონაწილეობისათვის, მიწის გასხვისებისათვის და ა.შ. მიწის რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალის დამახსოვრება მოსახლეობისათვის რთულია და შესაბამისად მსგავსი ფორმალური საკითხები არ უნდა იქნეს მოცემული პრეზენტაციაში/მოხსენებაში);
- შეძლებისდაგვარად უნდა იყოს თავისუფალი სამართლებრივი ტერმინებისაგან;
- უნდა შეიცავდეს მასში გამოყენებული ტერმინების განმარტებას (მაგ. რა არის დამცავი ორდერი, შემაკავებელი ორდერი და რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან და რა სამართლებრივ შედეგს წარმოშობს თითოეული);
- უნდა შეიცავდეს სამართლებრივი საკითხის რეგულირებისას სამსახურის როლს (მაგ. კონკრეტულ სამართლებრივ დავაში აქვს თუ არა სამსახურს სამართლებრივი დოკუმენტის შედგენისა და წარმომადგენლობის მანდატი, თუ შემოიფარგლება მხოლოდ კონსულტაციით);
- უნდა შეიცავდეს სამსახურის შესაბამისი რეგიონის ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრის საკონტაქტო მონაცემებსა და მიმართვის ფორმებს;
- უნდა შეიცავდეს სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შესახებ მითითებას (მაგ. ოჯახში ძალადობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმები, ადმინისტრაციული სამართლით გათვალისწინებული მექანიზმები (დამცავი, შემაკავებელი ორდერი), სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული მექანიზმები (განქორწინება, ქონების გაყოფა, ბავშვების მიკუთვნება));
- უნდა შეიცავდეს თითოეული სამართლებრივი მექანიზმის გამოყენების წინაპირობებსა და შედეგებს;
- უნდა შეიცავდეს სათანადო ორგანოების საკონტაქტო მონაცემებსა და მათ როლს (მაგ. ოჯახში ძალადობის საკითხებზე მაგ. კრიზისული ცენტრის როლს და მიმართვის წესს ან თავშესაფრის როლს და მიმართვის წესს და შედეგებს);

- უნდა შეიცავდეს სამართლებრივი საკითხის მოწესრიგების გარკვეულ ალტერნატივებს (მაგ. პოლიციისათვის მიმართვა, სასამართლოსათვის მიმართვა, საჯარო რეესტრისათვის მიმართვა და კონკრეტული შედეგები);

იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (CASE-BANK) განვითარება მოიცავს:

- იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Case-bank) კანონმდებლობიდან, სამთავრობო გეგმებიდან, ხარისხის შეფასების მიზნებიდან და სამსახურის სხვა საჭიროებებიდან გამომდინარე სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაციის/მონაცემების დამუშავებისათვის მოქნილი მოდულების შექმნას/დამატებას და ინფორმაციის დამუშავების არსებული სისტემის დახვეწას;
- სამსახურის თანამშრომელთა მიერ საქმეებთან დაკავშირებული ინფორმაციის დროულად შეყვანის კონტროლის ეფექტური მექანიზმის შექმნას, ინფორმაციის/მონაცემების შეყვანის მოდულის განახლებას და გამარტივებას;
- სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეთა მოძრაობის მოდულის (სხვა ბიუროსათვის/რეესტრის ადვოკატისთვის გადაცემა) შექმნას;
- თანამშრომელთა მიერ სამსახურის შენობის გარეთ განხორციელებული სამუშაოს დადასტურების, საქმეზე ინფორმაციის შეყვანის გამარტივებისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს გამოთვლის მიზნით აპლიკაციის შექმნას ლოკაციის ფიქსირების ფუნქციით;
- იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Case-bank) რეესტრის ადვოკატების ანაზღაურების სისტემის ინტეგრაციას;
- ადვოკატებს შორის საქმეთა ავტომატური განაწილების მოდულის შექმნას;
- ადვოკატთა რეალური დატვირთულობის განსაზღვრისათვის სპეციალური მოდულის შექმნას;

12. იურიდიული დახმარების ბიუროებისა და მათი თანამშრომლების საქმიანობის შესწავლა და ანალიზი

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის №75 გადაწყვეტილებისა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის 2020 წლის 22 ივლისის LA 2 20 00000603 ბრძანების შესაბამისად იურიდიული დახმარების ბიუროებისა და მათი თანამშრომლების საქმიანობის შესწავლისა და ანალიზის მიზნით შეიქმნა კომისია და სამუშაო ჯგუფი;

ბიუროებისა და მათი თანამშრომლების საქმიანობის შესწავლისა და ანალიზის მიზანს წარმოადგენდა სამსახურის საქმიანობისას არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება და რეფორმის სწორი კურსის დაგეგმვა.

ბიუროების და მათი თანამშრომლების საქმიანობის შესწავლისა და ანალიზის მიზნით კომისიის მიერ იურიდიული დახმარების ბიუროებში განხორციელდა შესაბამისი ვიზიტები. კერძოდ,

- 22 ივლისი – ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიურო;
- 23–24 ივლისი – ბათუმის იურიდიული დახმარების ბიურო;
- 27–28 ივლისი – ახალციხის იურიდიული დახმარების ბიურო;
- 29 ივლისი – ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო;
- 30 ივლისი – ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო;
- 31 ივლისი – ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო;
- 17 აგვისტო – სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიურო;
- 18 აგვისტო – თელავის იურიდიული დახმარების ბიურო;
- 19–20 აგვისტო – რუსთავის იურიდიული დახმარების ბიურო;
- 21 აგვისტო – მცხეთის იურიდიული დახმარების ბიურო;
- 24–25 აგვისტო – ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო;
- 26 აგვისტო – გორის იურიდიული დახმარების ბიურო.

პანდემიიდან გამომდინარე, თბილისისა და რუსთავის იურიდიული დახმარების ბიუროების საქმიანობის შესწავლა განხორციელდება პანდემიიდან გამომდინარე სიტუაციის შესაბამისად.

კომისიის და სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა შემდეგი საკითხები:

1. სამსახურში გამოცხადება;
2. შვებულები, მივლინების საკითხები;
3. ადვოკატთა დატვირთულობა;
4. კორესპონდენციის საკითხები;
5. ადვოკატის დანიშვნის/ადვოკატის დანიშვნაზე უარის საფუძვლიანობა;
6. ორდერის გაცემის, გაუქმების საკითხები;

7. ადვოკატის მიერ საქმის დასრულების საფუძვლიანობა;
8. ადვოკატების მიერ ბენეფიციარის საქმეების წარმოების საკითხები;
9. კონსულტაციების აღრიცხვები;
10. ნომენკლატურის შესაბამისად დოკუმენტების ფორმირება/აღრიცხვა;
11. ავტომობილის საგზურის ფურცლების შესაბამისობა დადგენილ აქტებთან, მოქმედ კანონმდებლობასა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის საჭიროებებთან;
12. იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank) მონაცემების შევსების სრულყოფილება და დროულობა;
13. კვარტალური ანგარიშის შესწავლა;
14. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაში დადგენილი აქტებით მუშაობის საკითხები;

კომისიის მიერ მომზადებული წინასწარი მონაცემების გაანალიზების შედეგად დაიწყო შრომის შინაგანაწესის, სამსახურის დებულებისა და ხელშეკრულებების გადახედვა და ცვლილებების მომზადება.

13. სამსახურის მიერ განხორციელებული გასვლითი საკონსულტაციო-საინფორმაციო ღონისძიებები

2020 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩაატარა 31 გასვლითი საინფორმაციო, საკონსულტაციო ღონისძიება.

შეხვედრებს საერთო ჯამში დაესწრო 1200 -მდე პირი.

საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართა:

- **18 ქალაქში:** თბილისში (სამი შეხვედრა), ახალციხეში, ქუთაისში, დმანისში, დუშეთში, ყვარელში, ლაგოდეხში, ქობულეთში, წალენჯიხაში, აბაშაში, ჩხოროწყუში, სენაკში (სამი შეხვედრა), მარტვილში, ხობში, ბაღდათში, წყალტუბოში, ჭიათურასა (ორი შეხვედრა) და ცაგერში;
- **4 სოფელში:** დუისში (ორი შეხვედრა), კასპის რაიონის სოფელ ზარდიაანთკარში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორსანტიაში;
- **3 დაბაში:** შუახევში, ქედასა და ხულოში;

საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართა მოსახლეობასთან, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან, დევნილებთან ასევე საჯარო სკოლებში (2 სკოლა: ჭიათურის მე-2 და მე - 5 სკოლები) და უნივერსიტეტებში (3 უნივერსიტეტი: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტსა და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი);

შეხვედრებზე დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდა შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე:

- უფასო სამართლებრივი დახმარების მოქმედი სისტემა და დახმარების მიღების კრიტერიუმები - 26 შეხვედრა;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა - 9 შეხვედრა. შეხვედრა განხორციელდა ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში. შეხვედრის პარტნიორები: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის

დეპარტამენტი, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო;

- მიწის რეგისტრაციის საკითხები - 8 შეხვედრა;
- ბავშვის უფლებათა დაცვა - 4 შეხვედრა;
- სამართლებრივი რჩევები სტრატაპერებისთვის - 1 შეხვედრა;
- დევნილთა უფლებები და საკუთრების საკითხები - 2 შეხვედრა.

საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები:

- საკონსულტაციო ცენტრების გახსნის შემდგომ სამსახურის თანამშრომლების მიერ ხორციელდებოდა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები;
- **2020 წლის 27 თებერვალს**, იურიდიული დახმარების სამსახურის ახალციხის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი დავით თელიაშვილი ქ. ახალციხეში, არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიულობის ჩართულობის ცენტრში“ შეხვდა ადგილობრივ მოსახლეობას. შეხვედრის თემა იყო „ოჯახში ძალადობა/ქალთა მიმართ ძალადობა“. შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია, თუ რა ითვლება ოჯახში ძალადობად, რა საკანონმდებლო ბაზა და საშუალებები არსებობს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის;
- **2020 წლის 3 ივლისს**, კასპის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა ზონის სოფელ ზარდიანთკარში, შედგა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. შეხვედრა გაიმართა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამომიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლების მონაწილეობით, სადაც დისკუსიის რეჟიმში მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია მათთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე;
- **2020 წლის 9 ოქტომბერს**, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორსანტიაში გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა რომან კვიციანი შეკრებილ საზოგადოებას გააცნო იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით. შეხვედრა ორგანიზებული იყო შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა

დაცვის დეპარტამენტისა და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლები.

- **2020 წლის 22-24 სექტემბერს**, შეხვედრები გაიმართა სამეგრელოს რეგიონში კერძოდ, აბაშაში, სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, მარტვილსა და ხობში. მოსახლეობისთვის წარმოდგენილი იყო პრეზენტაცია „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სამართლებრივი საკითხების“ შესახებ. სამსახურის აპარატის თანამშრომლებმა პასუხი გასცეს დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს მათთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე;
- **2020 წლის 7 ივლისს**, დუშეთში, გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან სადაც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას, სოფლის წარმომადგენლებსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებს წარედგინათ პრეზენტაცია მიწის რეგისტრაციის საკითხებზე და გაეწიათ ინდივიდუალური კონსულტაციები.
- **2020 წლის 15 ივლისს**, დმანისში, გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან სადაც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას, სოფლის წარმომადგენლებსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებს წარედგინათ პრეზენტაცია მიწის რეგისტრაციის საკითხებზე და გაეწიათ ინდივიდუალური კონსულტაციები.
- **2020 წლის 21 ივლისს**, ყვარელში, გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან სადაც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას, სოფლის წარმომადგენლებსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებს წარედგინათ პრეზენტაცია მიწის რეგისტრაციის საკითხებზე და გაეწიათ ინდივიდუალური კონსულტაციები.
- **2020 წლის 4 აგვისტოს**, ბაღდათში, გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან სადაც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას, სოფლის წარმომადგენლებსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებს წარედგინათ პრეზენტაცია მიწის რეგისტრაციის საკითხებზე და გაეწიათ ინდივიდუალური კონსულტაციები.
- **2020 წლის 7 აგვისტოს**, წყალტუბოში, გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან სადაც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას, სოფლის წარმომადგენლებსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებს წარედგინათ პრეზენტაცია მიწის რეგისტრაციის საკითხებზე და გაეწიათ ინდივიდუალური კონსულტაციები.
- **2020 წლის 13 აგვისტოს**, ხულოში, გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან სადაც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას, სოფლის წარმომადგენლებსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებს წარედგინათ პრეზენტაცია მიწის რეგისტრაციის საკითხებზე და გაეწიათ ინდივიდუალური კონსულტაციები. შეხვედრას ესწრებოდა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში დასან ხალილი.

- **2020 წლის 14 აგვისტოს**, ქედაში, გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან სადაც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას, სოფლის წარმომადგენლებსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებს წარედგინათ პრეზენტაცია მიწის რეგისტრაციის საკითხებზე და გაეწიათ ინდივიდუალური კონსულტაციები.
- **2020 წლის 15 აგვისტოს**, ქობულეთში გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან სადაც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას, სოფლის წარმომადგენლებსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებს წარედგინათ პრეზენტაცია მიწის რეგისტრაციის საკითხებზე და გაეწიათ ინდივიდუალური კონსულტაციები.
- **2020 წლის 6 თებერვალს**, გაიმართა შეხვედრა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტუდენტებთან. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა სტუდენტებს გააცნო საქართველოში მოქმედი უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა და სამსახურის სერვისები.
- **2020 წლის 24 თებერვალს**, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი შეხვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტებს, რომელთაც არჩეული აქვთ სამართლის კლინიკის იურიდიული დახმარების სამსახურში გავლა. შეხვედრაზე გაიმართა დისკუსია და სტუდენტები გაეცნენ სამსახურის შესახებ ინფორმაციას და მომავალი თანამშრომლობის დეტალებს.
- **2020 წლის 29 აგვისტოს**, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი და სამსახურის წარმომადგენლები შეხვდნენ სენაკის დევნილთა დასახლებაში მცხოვრებ მოსახლეობას და მიაწოდეს ინფორმაცია სამსახურის სერვისებსა და პროექტებზე. შეხვედრაზე განიხილეს ასევე დევნილთა სამართლებრივი პრობლემები.
- **2020 წლის 8 ოქტომბერს**, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი, გაეროს მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში საბინე მახლი და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი ღასან ხალილი შეხვდნენ დუისში ადგილობრივი სკოლის მოსწავლეებს. შეხვედრაზე მოეწყო ასევე ფოტოგამოფენა სამსახურის პროექტებთან დაკავშირებით;
- **2020 წლის 11 აგვისტოს**, ქუთაისში, „ოქროს ჩარდახის“ ისტორიულ კომპლექსში გაიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის ონლაინ პროექტის „საუბრები ბავშვის უფლებებზე“ პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი ღასან ხალილი. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა შეკრებილ საზოგადოებას გააცნო საქართველოში მოქმედი უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა და ვრცლად ისაუბრა საზოგადოებრივი ადვოკატების როლსა და მნიშვნელობაზე არასრულწლოვანთა დაცვის საქმეში. შეხვედრას

ესწრებოდნენ ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სკოლა „იმედის“, სკოლა „ღონე ქვეყნისას“ და სასწავლო ცენტრ „მერმისის“ მოსწავლეები და მასწავლებლები.

საინფორმაციო კამპანია „შენი უფლება 18 წლამდე“

- **2020 წლის 12 თებერვალს**, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის დიდ დარბაზში იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი და სამსახურის აპარატის წარმომადგენლები შეხვდნენ თბილისისა და რეგიონების სკოლების 200-მდე მოსწავლეს. შეხვედრის მიზანი იყო მოზარდების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით. შეხვედრაზე არასრულწლოვნებს მიეწოდათ ინფორმაცია ბულინგის, დისკრიმინაციის, ტოლერანტობის, გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობის, განრიდების და მედიაციის საკითხებზე.
- **2020 წლის 25 თებერვალს**, გაიმართა შეხვედრა ჭიათურის მე-2 საჯარო სკოლაში. იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებთან ერთად შემუშავდა მოზარდების წინაშე წარსადგენი პრეზენტაციები. შეხვედრაზე არასრულწლოვნებს მიეწოდათ ინფორმაცია ბავშვთა უფლებების, ბულინგის, დისკრიმინაციის, ტოლერანტობის, გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობის, განრიდების და მედიაციის შესახებ. პრეზენტაციის შემდეგ სკოლის მოსწავლეებთან გაიმართა დისკუსია მათთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე.
- **2020 წლის 25 თებერვალს**, გაიმართა შეხვედრა ჭიათურის მე-5 საჯარო სკოლაში. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტებმა და სამსახურის წარმომადგენლებმა სკოლის მოსწავლეებს მიაწოდეს ინფორმაცია ბავშვთა უფლებების, ბულინგის, დისკრიმინაციის, ტოლერანტობის, გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობის, განრიდების და მედიაციის შესახებ.

14. სამსახურის სამართლებრივი ხასიათის აქტივობები

2020 წელს, სამსახურის აპარატის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს:

- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს მიერ ორგანიზებულ სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში თემაზე: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის საბიუჯეტო პროგრამებში გენდერული ასპექტების ასახვა (GRB);
- „არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოს“ შეხვედრებში;
- ევროპის საბჭოს მიერ ადვოკატებისთვის ორგანიზებულ რეგიონალურ პროექტში თემაზე: „შედარებითი მიმოხილვა ადვოკატთა ფუნქციონირების პროცედურებსა და ინსტიტუციური მოწყობების შესახებ“;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კანონისა და ამ პირთა უფლებების უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ დებულების მომზადების პროცესში;
- რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CERD) კონვენციის შესრულების შესახებ საქართველოს მე-9 და მე-10 პერიოდული ანგარიშის განხილვასა და შესაბამისი შენიშვნების წარდგენაში;
- გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისის „World Program on Human Rights Education“ მესამე ფაზის (2015-2019 წწ) შესრულების შესახებ ეროვნული ანგარიშის განხილვასა და შესაბამისი შენიშვნების წარდგენაში;
- ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) შესრულების მეექვსე პერიოდული ანგარიშის მომზადებაში, სტრუქტურირებასა და რედაქტირებაში;
- ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) ანგარიშის განხილვასა და შესაბამისი შენიშვნების წარდგენაში;
- ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფციის შექმნაში (ბარნაჰუსი);

2020 წელს, სამსახურის მიერ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს ახალი და უნიკალური მექანიზმის ფარგლებში დაფუძნებული უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისათვის (UPR) წარდგენილ იქნა საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში

განხორციელებული რეფორმებისა თუ სიახლეების შესახებ ინფორმაცია. ინფორმაცია მომზადდა უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-2 ციკლის ფარგლებში წარდგენილი ანგარიშის საკითხების მიხედვით;

2020 წელს, სამსახურის მიერ კომპეტენციის ფარგლებში, მომზადდა კომენტარები, რომელიც ასახული იქნა საქართველოს შეფასების შესახებ, ევროპის საბჭოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) ანგარიშში.

2020 წლის 13-20 ნოემბერს, სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) კვლევაში: მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე კორონა ვირუსის პანდემიის გავლენის შეფასება;

15. სამსახურის მიერ განხორციელებული სხვა აქტივობები

2020 წელს, სამსახური ჩართული იყო სხვადასხვა აქტივობებში, შეხვედრებსა და ღონისძიებებში:

- **2020 წლის იანვარ-თებერვალში**, ჩატარდა ფოტოსესია სამსახურის ბიუროებისა და საკონულტაციო ცენტრების თანამშრომლებისათვის, სამსახურის ვებგვერდზე თანამშრომელთა პირადი გვერდების განახლების მიზნით;
- **2020 წლის 21 იანვარს**, სასტუმროში „ჰოლიდი ინ თბილისი“ გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ევროკავშირის დახმარების პროგრამებისა და ინსტრუმენტების თაობაზე. შეხვედრა მიზნად ისახავდა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისთვის ევროკავშირის დახმარების 2020 წლის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებისა და საპროექტო განაცხადების მომზადების პროცედურების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას. შეხვედრის საფუძველზე, სამსახურის მიერ განხორციელდა საპროექტო განაცხადის მომზადება და წარდგენა;
- **2020 წლის 10 თებერვალს**, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი შეხვდა არასამთავრობო ორგანიზაციის “საფარის” დირექტორ ბაია პატარაიას. შეხვედრაზე განიხილეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები ასევე ისაუბრეს მომავალი თანამშრომლობის შესახებ;
- **2020 წლის 20 თებერვალს**, სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს შვედეთის ინსტიტუტის (Si) მიერ დაფინანსებულ მიკრო საგრანტო პროექტში, რომელიც ეხებოდა საქართველოში მცხოვრები ბოშა მოსახლეობის წვდომას ფულად სოციალურ დახმარებასა და საარსებო შემწეობაზე და ბავშვთა ზრუნვის სერვისებზე. პროექტის ფარგლებში სამსახურის ანალიტიკურმა სამმართველომ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია და მიაწოდა ინფორმაცია სამსახურის სერვისებთან დაკავშირებით;
- **2020 წლის 20-21 თებერვალს**, სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს The EU4Justice: მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერის პროექტით განხორციელებულ კონფერენციაში თემაზე: „გზა დანაშაულის ჩადენიდან საზოგადოებაში დაბრუნებამდე“.
- **2020 წლის 8 ივნისს**, თბილისში, ევროპის მოედანზე შედგა იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებისათვის ახალი ავტომობილების გადაცემის ცერემონია. სამსახურმა ავტოპარკის განახლებაზე ზრუნვა 2019 წლის ბოლოდან დაიწყო;
- **2020 წლის 10 ივლისს**, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული „კანონის უზენაესობის მხარდაჭერის“ პროექტის (USAID/PROLoG) მხარდაჭერით, გაიმართა შეხვედრა საერთაშორისო დონორი

ორგანიზაციების (USAID/PROLoG, UNHCR, OHCHR, UNICEF, UNDP, COE) წარმომადგენლებთან, სადაც სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა წარადგინა მიმდინარე ცამეტი რეფორმის პრეზენტაცია. შეხვედრას ესწრებოდნენ იურიდიული დახმარების საბჭოს წევრები, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ევროპის საბჭოს, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის, გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლები. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის - „კანონის უზენაესობის მხარდაჭერის“ (USAID/PROLoG)-ის პროგრამის ხელმძღვანელმა გიორგი ჩხეიძემ დადებითად შეაფასა სამსახურში მიმდინარე რეფორმები და იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების დამტკიცება. დონორმა ორგანიზაციებმა გამოთქვეს მზადყოფნა სამსახურის მხარდაჭერისათვის, რათა მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი იყოს მაღალკვალიფიციური უფასო სამართლებრივი დახმარება;

- **2020 წლის 24 ივლისს**, იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში. შეხვედრის ფარგლებში განხილული იყო სხვადასხვა უწყებების მათ შორის იურიდიული დახმარების სამსახურის ჩართულობა უნივერსიტეტის სამართლის კლინიკის ფარგლებში;
- **2020 წლის 11 აგვისტოს**, ქუთაისში, ადგილობრივი სკოლის მოსწავლეებმა იურიდიული დახმარების სამსახურის ინიციატივითა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციულ ჰაბის“ ორგანიზებით, მონაწილეობა მიიღეს სამაგიდო თამაშში ბავშვის უფლებების შესახებ. თამაში მიზნად ისახავდა ბავშვების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას მათ უფლებებზე;
- **2020 წლის 20 აგვისტოს**, სამსახურის მიერ გავრცელდა განცხადება მთავრობის მიერ 0-17 წლის ჩათვლით ბავშვებისა და მოზარდებისთვის 200 ლარიანი დახმარების მიღებასთან დაკავშირებული სპეციალური ანკეტის შევსებაში დახმარების შესახებ, რის საფუძველზეც არაერთ ბენეფიციარს გაეწია შესაბამისი ტექნიკური დახმარება;
- **2020 წლის 1 სექტემბერს**, გაიმართა შეხვედრა უფასო სამართლებრივი დახმარების რეფერალის წევრი ორგანიზაციებთან. უფასო იურიდიული დახმარების პორტალი www.free.mylaw.ge შექმნილია იმ პირებისათვის, ვისზეც არ ვრცელდება იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი, თუმცა საჭიროებენ იურიდიულ დახმარებას. შეხვედრაზე განიხილეს რეფერალის სისტემის განვითარებისა და გადამისამართების მექანიზმის გადახედვის საკითხები;
- **2020 წლის 25 სექტემბერს**, ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში, შედგა შეხვედრა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სამეგრელოს რეგიონში მოღვაწე

ადვოკატებთან, სადაც განიხილეს უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის ხელმისაწვდომობისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საკითხები;

- **2020 წლის 25 სექტემბერს**, ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში, ფართო ეკრანზე წარმოდგენილი იყო იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის ამსახველი ფილმი, რომლის ჩვენებასაც დაესწრნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ასევე, რეგიონში მოღვაწე ადვოკატები და ზუგდიდის სხვა მცხოვრებლები. ღონისძიება სამსახურის დაარსების 15 წლისთავს მიეძღვნა და მას დაახლოებით 100 პირი დაესწრო;
- **2020 წლის 25 სექტემბერს**, ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში გაიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის 15 წლიანი მუშაობის ამსახველი ფოტოგამოფენა;
- **2020 წლის 22 ოქტომბერს**, სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლეთ პარტნიორობის პირველი პლატფორმის კანონის უზენაესობის პანელის შეხვედრაში; ევროკომისიის მიერ შემუშავებული „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ კომუნიკაციის თანახმად, ინიციატივის მთავარი მიზანია ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) განხორციელების ხელშეწყობა;
- **2020 წლის 28 ოქტომბერს**, სამსახურის წარმომადგენლებმა UNDP საქართველოს ოფისის ორგანიზებით, მონაწილეობა მიიღეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის უმცირესობის წევრების სოციალურ-ეკონომიკური ჩართვისთვის სახელმწიფო დახმარების პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ შეხვედრაში.
- **2020 წლის 19 ნოემბერს**, სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ონლაინ დისკუსიაში თემაზე: „ადვოკატის ანაზღაურება“;
- **2020 წლის 14-25 ნოემბერს**, ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და მგრძობელობის გაზრდის მიზნით, სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს, ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ 16 დღიან სამთავრობო კამპანიაში თემაზე: „საზოგადოების როლი და ჩართულობა ძალადობის აღმოფხვრაში“;
- **2020 წლის 25 ნოემბერს**, გავრცელდა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის რაჟდენ კუპრაშვილის განცხადება "ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“ გლობალურ კამპანიასთან (25 ნოემბერი-10 დეკემბერი) დაკავშირებით;
- **2020 წლის 10 დეკემბერს**, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სამსახურის დირექტორის რაჟდენ კუპრაშვილის მიერ გავრცელდა სპეციალური საჯარო განცხადება.

- 2020 წლის 15 დეკემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლების და საზოგადოებრივი ადვოკატების ჩართულობით გაიმართა დისტანციური შეხვედრა „უფლებები საქართველოს“ წარმომადგენლებთან. შეხვედრის ფარგლებში მხარეები შეთანხმდნენ, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის ვებ გვერდზე განათავსონ თავშესაფრის მაძიებლებთან/საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებთან დაკავშირებული კითხვარი, რომელიც ამ პირებს დაეხმარებათ სამართლებრივ საკითხებზე ინფორმაციის მარტივად მიღებაში.

16. სამსახურის მიერ მომზადებული პროექტები და კვლევები

2020 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ შეიქმნა 6 პროექტი და განხორციელდა 5 კვლევა:

- „სამართალი ბავშვებისთვის“

არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, სამსახურმა შეიმუშავა პროექტი სახელწოდებით - „სამართალი ბავშვებისთვის“, რომელიც სოციალურ ქსელში დისტანციური პლატფორმის, Zoom-ის მეშვეობით ხორციელდება.

აღნიშნული პროექტის მიზანია, არასრულწლოვანთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება, მათი უფლებების განმარტება და პრაქტიკაში სწორი რეალიზება.

პროექტის ფარგლებში არასრულწლოვნებს აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ პრეზენტაციების, ასევე ვიდეო რგოლების მომზადების პროცესში.

პროექტში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა აქვთ საქართველოში არსებული საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებს.

2020 წლის 1 სექტემბერს, ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედების დღეს, აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაიმართა ონლაინ შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე სულხან გველესიანი და საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე სოფიო კილაძე. მომხსენებლებმა განიხილეს როგორც, ბავშვის უფლებათა კოდექსი ასევე ბავშვის უფლებათა კონვენცია. შეხვედრის დასასრულს არასრულწლოვნებთან გაიმართა დისკუსია.

- „ზუმბარი“

პროექტი ემსახურება მართლმსაჯულების სისტემის მონაწილეების: საერთო სასამართლოების, პროკურატურის, იუსტიციის საბჭოს, იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენელთა მოსაზრებების გაცვლას აქტუალურ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე გამოცდილების გაზიარებას.

2020 წლის 20 ივნისს, Zoom-ის მეშვეობით გაიმართა დისტანციური შეხვედრა, იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს უფროსის დავით სიმონიას, გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლევან დარბაიძის, იურიდიული დახმარების სამსახურის გორის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსის გიორგი ჯეირანაშვილისა და გორის რაიონული პროკურატურის პროკურორის გიორგი კრავეიშვილის მონაწილეობით,

შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს დისტანციურ სამართალწარმოებასა და მის გამოწვევებზე.

- **“ონლაინ სამართლებრივი მხარდაჭერა უცხოეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისთვის საქართველოში არსებულ სამართლებრივ პრობლემებთან დაკავშირებით“**

იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იურიდიული კონსულტაცია არის ხელმისაწვდომი ყველასთვის ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე. იურიდიული დახმარების სამსახური ვალდებულია უზრუნველყოს იურიდიული კონსულტაციის ხელმისაწვდომობა ყველასათვის, მათ შორის საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ემიგრანტებისთვის.

საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ემიგრანტები სამართლებრივი, ენობრივი, კულტურული, სოციალური თუ სხვა ბარიერების გამო საჭიროებენ სამართლებრივ კონსულტაციას.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად იურიდიული დახმარების სამსახურმა შეიმუშავა პროექტი, რომლის ფარგლებში სამსახური დისტანციურ კონსულტაციას უწევს საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს.

2020 წელს, პროექტის ფარგლებში სამსახურის სერვისით ისარგებლა 80-მდე ემიგრანტმა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

- **„სამართლებრივი დახმარება უცხოეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისათვის უცხოეთში არსებულ სამართლებრივ პრობლემებთან დაკავშირებით“**

2020 წელს, სამსახურმა გამართა მოლაპარაკებები დიდ ბრიტანეთში, ლონდონში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ იორკში, საფრანგეთში, პარიზში და გერმანიაში, ბერლინში მოღვაწე ქართველ ადვოკატებთან, რომლებიც უცხოეთში ეწევიან საადვოკატო საქმიანობას.

მოლაპარაკების შედეგად მხარეები შეთანხმდნენ, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველი ადვოკატები სამსახურთან თანამშრომლობით გაუწევენ უფასო სამართლებრივი კონსულტაციას უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს უცხოეთში ცხოვრებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით. მხარეები შეთანხმდნენ თანამშრომლობის ფარგლებში მემორანდუმების გაფორმების შესახებ.

- **„სამართლებრივი რჩევები სტარტაპერებისთვის“**

პროექტი მიზნად ისახავს ბიზნესის დაწყების ან არსებული ბიზნესის გაფართოვების მსურველი პირებისათვის სამართლებრივი რჩევების მიცემას, რაც ბენეფიციარების

ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს და დაეხმარება მათ ბიზნესის წარმოებისას რისკების შემცირებაში.

პროექტი გულისხმობს უფასო სამართლებრივ კონსულტაციას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ბიზნეს გეგმის მომზადება და ბიზნესის დაფინანსების შესახებ შესაბამისი განაცხადის შევსებას. პროექტს ახორციელებს სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს თანამშრომლები.

2020 წლის 8 სექტემბერს, პროექტის ფარგლებში, ცაგერში მცხოვრებ მოსახლეობას გაეწია კონსულტაცია. ამასთან, არაერთმა სტარტაპერმა ისარგებლა იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ შეთავაზებული პროექტით და მოიპოვა დაფინანსება.

- **„სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა უცხოელი კოლეგების ჩართულობით“**

პროექტის ფარგლებში, სამსახურის მიზანია ითანამშრომლოს გამოცდილ პრაქტიკოს იურისტებთან, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან, რომლებთან ერთად მოხდება სამართლებრივ სფეროში პრაქტიკასა და თეორიაში არსებული სამართლებრივი საკითხების დამუშავება და შესაბამისი დოკუმენტების მომზადება. მომზადებული პროექტები წარედგინება სამსახურის ადვოკატებს, ასევე იურიდიული წრეების წარმომადგენლებს.

2020 წელს, პროექტის ფარგლებში, სამსახურსა და ბერლინის შტეინბეისის უნივერსიტეტის კვლევითი მიმართულების პრეზიდენტს გიორგი ხუბუას შორის შედგა შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ.

ვინაიდან, ქართული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ძირითადად აგებულია გერმანიის საკანონმდებლო მოდელზე და სასამართლოს გადაწყვეტილებებშიც ხშირად ხდება გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გადაწყვეტილებების მითითება, გერმანელ კოლეგებთან თანამშრომლობა და მათი პრაქტიკის გაცნობა მნიშვნელოვანი იქნება იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების და ზოგადად სამართლებრივი სფეროს წარმომადგენლებისათვის.

იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას აწყდებიან არაერთ სამართლებრივ საკითხს, რომელთა სწორად განმარტება და მიწოდება სასამართლოსათვის არის ბენეფიციარის უფლებების ეფექტურად დაცვის წინაპირობა. ამ მიზნით განვითარებული ქვეყნების სამართლის სფეროს, სამართლის პრაქტიკული რეალიზაციის, სასამართლოს პრაქტიკის გაცნობა და განსაკუთრებით აკადემიური სფეროს წარმომადგენლებთან დისკუსია და გამოცდილების გაზიარება ძალიან მნიშვნელოვანია.

თანამშრომლობის ფარგლებში მხარეები შეთანხმდნენ მემორანდუმის გაფორმების შესახებ.

პირველი სამართლებრივი საკითხი, რომელიც თანამშრომლობის ფარგლებში იქნება შეწავლილი და გაანალიზებული არის არასრულწლოვანთა საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების საკითხები.

2020 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა განახორციელა 5 კვლევა.

- **„ჭარბვალანობა“.** სამსახურმა განიხილა ფიზიკური პირის გაკოტრებულად გამოცხადების სამართლებრივი პროცესი სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის: გერმანიის, ისრაელის, დიდი ბრიტანეთის, კანადის და ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე და ჩამოაყალიბა სამართლებრივი ჩარჩო საქართველოში ამ ინსტიტუტის დასამკვიდრებლად;
- **„მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ადვოკატების ანაზღაურების ახალი მოდელი“.** დამუშავებულ იქნა ადვოკატთა გერმანული ანაზღაურების მოდელი და მის საფუძველზე შეიქმნა რეესტრის ანაზღაურების ახალი სისტემა;
- **„მტკიცებულებების ელექტრონულად გაცვლა“.** დამუშავდა პროკურატურასთან სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებათა ელექტრონული ფორმით გაცვლის სამართლებრივი საკითხები.
- **„ონლაინ ოთახის“ მოწყობა.** დამუშავდა პენიტენციურ დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში განთავსებულ ბენეფიციარებთან ადვოკატის ონლაინ კომუნიკაციის შესაძლებლობები და ამ მხრივ სამსახურში ე.წ. „ონლაინ ოთახის“ მოწყობის ტექნიკური და სამართლებრივი ასპექტები.

შესწავლილ იქნა:

- ✓ ელექტრონული მართლმსაჯულების შესახებ ევროკავშირის 2019-2023 სტრატეგია;
- ✓ დიდი ბრიტანეთის, ფინეთის, ავსტრალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, ბელგიის, იტალიის პრაქტიკა;
- ✓ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილები - ZAGARIA c. ITALIE, SAKHNOVSKIY v. RUSSIA, Marcello Viola v. Italy, Golubev v. Russia.

საერთაშორისო დოკუმენტებისა და პრაქტიკის ანალიზის შედეგად შემუშავდა შესაბამისი კონცეფცია.

- **„დისტანციური სამართალწარმოების დანერგვა“.** დამუშავდა დისტანციური სამართალწარმოების დანერგვის შესაძლებლობები, გამოწვევები და მისი დაძლევის გზები.

სამსახურის მიერ დამუშავებულ იქნა დიდი ბრიტანეთის, კანადის, ფინეთის, ავსტრალიის, გერმანიის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, ირლანდიის, ლატვიის, კანადის პრაქტიკა.

ასევე შესწავლილ იქნა სხვადასხვა საერთაშორისო აქტები. კერძოდ:

- ✓ ტრანსსასაზღვრო სამართალწარმოებაში ვიდეოკონფერენციის შესახებ (Guide on videoconferencing in cross-border proceedings) ევროსაბჭოს გენერალური სამდივნოს სახელმძღვანელო;
- ✓ COVID-19-ის ფარგლებში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს ნარკომანიისა და დანაშაულის ოფისის მიერ მომზადებულ სახელმძღვანელო;
- ✓ ელექტრონული მართლმსაჯულების შესახებ ევროკავშირის 2019-2023 წლების სტრატეგია;
- ✓ სამართალწარმოებასა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის: პოტენციური და გამოწვევები ევრო საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2015 წლის 10 ნოემბრის ანგარიში (Doc. 13918);
- ✓ ევრო პარლამენტისა და საბჭოს 2007 წლის 11 ივლისის No 861/2007 რეგულაცია;
- ✓ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება - MARCELLO VIOLA v. ITALY.

საერთაშორისო დოკუმენტებისა და პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოკვეთილ იქნა დისტანციური სამართალწარმოების განვითარების უპირატესობები და გამოწვევები

დოკუმენტში ყურადღება არის გამახვილებული დისტანციური სამართალწარმოების დანერგვის შემდეგ უპირატესობებსა და გამოწვევებზე:

დისტანციურ სამართალწარმოების უპირატესობები:

- ✓ ფინანსური რესურსის დაზოგვა;
- ✓ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- ✓ სამართალწარმოების დაჩაქრება;
- ✓ მოწმეების დაცვა;
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის სასამართლოზე ეფექტური წვდომა;
- ✓ უსაფრთხოება (პატიმართა გადაყვანისას).

დისტანციური სამართალწარმოების გამოწვევები:

- ✓ ტექნიკური საკითხები;
- ✓ ადამიანთა არაკომპეტენტურობა ონლაინ რესურსებზე წვდომის თვალსაზრისით;
- ✓ პერსონალური მონაცემების დაცვა;

- ✓ კონვენციის მე-5, მე-6 და მე-13 მუხლებთან დაკავშირებული უფლებების გათვალისწინება;
- ✓ კლიენტისა და ადვოკატის კომუნიკაციის კონფიდენციალობა სასამართლოს დაწყებამდე, მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ;
- ✓ საჯაროობა/ზეპირობის და უშუალობის პრინციპები;

საბოლოო დოკუმენტში განხილულ იქნა მითითებული გამოწვევების დაძლევის გზები და შემუშავდა რეკომენდაციები.

17. ჟურნალი „საზოგადოებრივი ადვოკატი“

2020 წლის ნოემბერ-დეკემბერში იურიდიული დახმარების სამსახურის ისტორიაში პირველად მომზადდა სამართლებრივი ჟურნალი „საზოგადოებრივი ადვოკატი“.

ჟურნალი 80 გვერდიანია. იგი განკუთვნილია როგორც იურიდიული წრეების წარმომადგენლებისათვის, ასევე ფართო საზოგადოებისათვის და მიზნად ისახავს საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას და სხვადასხვა მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხების დამუშავებას.

ჟურნალი „საზოგადოებრივი ადვოკატი“ პირველი ნომერი მოიცავს შემდეგ საკითხებს (სტატიები, ინტერვიუები, ინფორმაცია):

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის დავით ასათიანის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ნინო ქადაგიძის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მერაბ ტურავას, საქართველოს გენერალური პროკურორის ირაკლი შოთაძის, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ანრი ოხანაშვილის, საქართველოს სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თამარ ზარანდიას მილოცვა;
2. „გზა მომავლისკენ“- ინტერვიუ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორთან რაჟდენ კუპრაშვილთან სამსახურის რეფორმებსა და განვითარების გეგმებზე.
3. „ნომრის სტუმარი“ - ინტერვიუ „USAID-საქართველოს“ კანონის უზენაესობის პროგრამის მენეჯერთან რუსუდან ტაბატაძესთან, უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემაზე;
4. „ასე დაიწყო და ...“ - ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსის გელა ბერაძე სტატია იურიდიული დახმარების სამსახურის დაარსებაზე;
5. „დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ“- ინტერვიუ იურიდიული მეცნიერებათა დოქტორ, აკადემიკოს ჯონი ხეცურიანთან, ბოლო 30 წლის განმავლობაში, საქართველოში მართლმსაჯულების სისტემის განვითარებაზე.
6. „უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“ - სტატიის ავტორი: ლაშა კალანდაძე, შპს „სამართლებრივი და ფინანსურის კონსალტინგი-მეტრიკას“ დამფუძნებელი, პარტნიორი და დირექტორი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე;
7. „სასამართლო ახალ რეალობაში“ - ინტერვიუ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლესთან, სამართლის დოქტორთან, ალექსანდრე წულაძესთან, სასამართლო რეფორმის შესახებ.
8. „დისტანციური სამართალწარმოება, საერთაშორისო გამოცდილება, გამოწვევები და შესაძლებლობები“ - სტატიის ავტორი: ნინო მელაძე, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილე.

9. „დავის გადაწყვეტის ახალი მექანიზმი - მედიაცია“ - სტატიის ავტორი: ირაკლი ყანდაშვილი, სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, სამართლის დოქტორი პროფესორი.
10. „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ - სტატიის ავტორი: სულხან გველესიანი, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე;
11. „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო - პასუხისმგებლობის და ემოციების უდიდესი კონცენტრაციის ადგილი“ - ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი გელა სიორდია და თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი სულხან კომახიძე.
12. „რამ განარისხა მამაკაცები“ - ზაზა ჯღარკავას სტატია რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის სპექტაკლზე „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“;
13. „შარდენი ქართულ სამართალზე“- ზაზა ჯღარკავას სტატია მე-17 საუკუნის ფრანგი მწერლის ჟან შარდენის საქართველოში მოგზაურობისას აღწერილ სამართალწარმოების პროცესზე.
14. ფოტორეპორტაჟი ახალი ოფისების გახნის ღონისძიებებიდან;
15. „წერილიც და სიხარულიც“ - მაღლიერი ბენეფიციარების წერილები;
16. „როცა კანონიც ხუმრობს“ - სახალისო კანონები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში;
17. საკონტაქტო ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურის ოფისების შესახებ.

18. საერთაშორისო ურთიერთობები

2020 წლის 27 თებერვალს, იურიდიული დახმარების სამსახურს ესტუმრნენ ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიის შტატის სისხლის სამართლის ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები, რომლებსაც საქართველოში ჩატარებული აქვთ ტრენინგები ნაფიც მსაჯულთა უნარების შესახებ. შეხვედრაზე იმსჯელეს ნაფიც მსაჯულთა განსახილველ საქმეებზე მომუშავე საზოგადოებრივი ადვოკატების კვალიფიკაციის ამაღლება/გადამზადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამერიკელი კოლეგები აქტიურად ჩაერთვებიან საზოგადოებრივ ადვოკატების გადამზადების პროცესში;

2020 წლის 10 ივნისს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი, დირექტორის პირველი მოადგილე ნინო მელაძე, დირექტორის მოადგილე სულხან გველესიანი და ანალიტიკური სამმართველოს უფროსი დავით სიმონია ონლაინ რეჟიმში შეხვდნენ კანადის იურიდიული საზოგადოების კრიმინოლოგიის, ბარისტისა და ადვოკატების დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორ ნიკოლაი კოვალიოვს. პროფესორი ნიკოლაი კოვალიოვი აქტიურად არის ჩართული უზბეკეთში მიმდინარე იურიდიული დახმარების სისტემის ფორმირების პროცესში. სამსახურის წარმომადგენლებმა კანადელ კოლეგას დეტალურად გააცნეს იურიდიული დახმარების სამსახურის არსებული სტრუქტურა, უფასო სამართლებრივი დახმარების მოქმედი სისტემა და მიმდინარე რეფორმები. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ მხარს დაუჭერს უზბეკეთში მიმდინარე რეფორმას და დაეხმარება უზბეკ კოლეგებს უფასო სამართლებრივი დახმარების ეფექტური სისტემის შექმნაში. მხარეები შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობაზე.

2020 წლის 14 ივლისს, სასტუმრო „თბილისი მერიოტში“, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი, დირექტორის პირველი მოადგილე ნინო მელაძე და მოადგილე სულხან გველესიანი შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მრჩეველს იურიდიულ საკითხებში მაიკლ გრანტს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს INL დირექტორს რებეკა ჰანტს და ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს USAID-ის დემოკრატიის მმართველობისა და სოციალური განვითარების ოფისის დირექტორს ადამ შმიდტს. იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს უფროსმა დავით სიმონიამ, სტუმრებს წარუდგინა პრეზენტაცია მიმდინარე რეფორმების შესახებ. ამერიკელმა სტუმრებმა გამოთქვეს მზადყოფნა მხარი დაუჭირონ მიმდინარე რეფორმებს და უახლოეს მომავალში დაგეგმილი კონკრეტული, შედეგზე ორიენტირებული აქტივობები.

2020 წლის 25 აგვისტოს, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა შედგა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს რაჟდენ კუპრაშვილს, დირექტორის პირველ მოადგილეს ნინო მელაძეს, დირექტორის მოადგილეს სულხან გველესიანსა და გაეროს ლტოლვილთა

უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელ იოჰან ფრანცს შორის. სამსახურის მიერ წარდგენილ იქნა პრეზენტაცია მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების შესახებ და მხარეებმა განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის ღონისძიებები;

2020 წლის 17 სექტემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს რაჟდენ კუპრაშვილსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელ მარკ ჰულსტს შორის შედგა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა. შეხვედრაზე მხარეებმა იმსჯელეს სამსახურში მიმდინარე რეფორმებზე და სამომავლო თანამშრომლობის გეგმებზე;

2020 წლის 19 ნოემბერს, „საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის“ ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე: „ადვოკატთა ანაზღაურების გერმანული მოდელი“. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ფრანქ ჰუპფელდი - სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის პროექტების ხელმძღვანელი (IRZ), ხათუნა დიასამიძე - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი, რაჟდენ კუპრაშვილი - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი და დაგმარ ბექ-ბევერი - ადვოკატი და ნოტარიუსი, გერმანიის სამედიცინო სამართლის სპეციალიზებული ადვოკატი.

19. საერთაშორისო პარტნიორობი და მხარდაჭერა

2020 წელს, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურმა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR), გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLOG, USAID-PROLOG – PROMOTING RULE OF LAW IN GEORGIA) მხარდაჭერით განახორციელა მნიშვნელოვანი აქტივობები.

საერთაშორისო პარტნიორობთან თანამშრომლობა და მათი მხარდაჭერა მნიშვნელოვანია სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის შემდგომი ინსტიტუციური განვითარებისთვის.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR)

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მხარდაჭერით იურიდიული დახმარების სამსახურმა 2020 წელს დაგეგმა და განახორციელა არა ერთი მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ღონისძიება (იხ. ტრენინგები და სასწავლო ღონისძიებები) და ამასთან, ერთად დასახა სამომავლოდ მატერიალურ-ტექნიკური გაძლიერების ღონისძიებები.

2020 წლის 25 ივნისს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა უზრუნველყო იურიდიული დახმარების სამსახურისთვის COI წარმოშობის ქვეყნის სპეციალისტის დაქირავება.

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)

2020 წლის 5 ნოემბერს, გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) იურიდიული დახმარების სამსახურისთვის შეიძინა 20 ლეპტოპი და ყურსასმენი. აღნიშნული ტექნიკა განაწილდა იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებსა და საკონსულტაციო ცენტრებში;

2020 წლის 15 დეკემბერს, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ გრანტის ფარგლებში დაფინანსდა იურიდიული დახმარების სამსახურის საბავშვო ვებ-გვერდის შექმნა.

გაეროს განვითარების პროგრამასა (UNDP)

2020 წლის 15 დეკემბერს, გაეროს განვითარების პროგრამასა (UNDP) და იურიდიული დახმარების სამსახურს შორის განხორციელდა შეთანხმება, იურიდიული დახმარების სამსახურისთვის ქსელური მოწყობილობების შეძენის შესახებ, რომელიც გააუმჯობესებს, იურიდიული დახმარების სამსახურის ოფისებს შორის ინფორმაციის მიმოცვლის სისწრაფეს და გაზრდის ინტერნეტის მიწოდების ხარისხს.

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR)

2020 წლის დეკემბერში, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით დაიწყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე სასწავლო მოდულების მომზადება, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც საერთაშორისო სტანდარტები და შიდა კანონმდებლობა, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის სტანდარტიც. მოდულებზე მუშაობის დასრულების შემდგომ განსაზღვრულია ტრენერთა ტრენინგი და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატთა გადამზადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკითხებზე.

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (USAID/PROLOG)

„კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით (საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში), იურიდიული დახმარების სამსახურმა 2020 წელს დაგეგმა და განახორციელა არა ერთი მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ღონისძიება (იხ. ტრენინგები და სასწავლო ღონისძიებები).

2020 წლის 2 აპრილს, სწრაფი რეაგირების გრანტის ფარგლებში „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ USAID/PROLoG-ის მიერ იურიდიული დახმარების სამსახურისთვის განხორციელდა Zoom-ის პლატფორმის 1 წლიანი ლიცენზიის შეძენა.

2020 წლის 7 ივლისს, „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ USAID/ PROLoG-ის სწრაფი რეაგირების გრანტის ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურს გაეწია დახმარება სერვერის გაუმჯობესებისთვის საჭირო ტექნიკით და პროგრამული ლიცენზიებით.

2020 წლის 7 აგვისტოს, იურიდიული დახმარების სამსახურს „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ USAID/PROLoG-ისგან გადაეცა პროექტორი, პროექტორის ეკრანი და ციფრული ინტერაქტიული ეკრანი. აღნიშნული ტექნიკა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრის საქმიანობას;

2020 წლის 8 დეკემბრის შეთანხმების საფუძველზე, „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ USAID/PROLoG -ის მიერ შესყიდულ იქნა და სამსახურს გადმოეცა პლანშეტები.

2020 წელს, „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით დაიწყო იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (Case-bank) განახლება.

2020 წელს, „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით შემუშავდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის სექსუალური შევიწროების პრევენციის და რეგულირების მექანიზმი და სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივრის ფორმა.

20. იურიდიული დახმარების საბჭოს საქმიანობა

2020 წელს გაიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის საბჭოს 11 სხდომა და მიღებულ იქნა 12 გადაწყვეტილება. კერძოდ:

- 2020 წლის 7 მაისს, N73 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა იურიდიული დახმარების სამსახურის სამტატო ნუსხა და თანამშრომელთა ანაზღაურებისთვის გამოყოფილი ზღვრული ოდენობები;
- 2020 წლის 4 ივლისს, N74 გადაწყვეტილებით, იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს თვმჯდომარედ არჩეულ იქნა რამაზ ჩინჩალაძე 1 წლის ვადით;
- 2020 წლის 4 ივლისს, N75 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები, სამსახურის სტრატეგია - სამსახურის განვითარებისა და რეფორმირების პროექტი და კვლევის განხორციელება; შეფასების წესისა და კრიტერიუმების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2021 წლის 31 მარტი.
- 2020 წლის 4 ივლისს, N76 გადაწყვეტილებით, სამსახურის დირექტორს მიეცა თანხმობა იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ;
- 2020 წლის 22 აგვისტოს, N77 გადაწყვეტილებით, საბჭომ დაამტკიცა იურიდიული დახმარების სამსახურის მხარდამჭერთა ჯგუფის დებულება, რომლითაც განისაზღვრა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების ფარგლებში ადვოკატის მხარდამჭერთა ჯგუფის ფორმირების, ჯგუფისათვის მიმართვისა და მხარდამჭერთა ჯგუფის მიერ რეკომენდაციების გაცემის წესი და პროცედურები.
- 2020 წლის 22 აგვისტოს, N78 გადაწყვეტილებით, საბჭომ შეითანხმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარსადგენი სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი;
- 2020 წლის 22 აგვისტოს, N79 გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დებულებაში, კერძოდ მე-3, მე-11 და 25-ე მუხლებში.

იურიდიული დახმარების საბჭოს N79-ე გადაწყვეტილებით, გაიზარდა საკონსულტაციო ცენტრების რაოდენობა, დადგინდა იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსების მიერ

ადვოკატის/კონსულტანტის დატვირთულობის არანაკლებ 30%-ის საქმეების წარმოების ვალდებულება, დაკონკრეტდა ადვოკატის საქმიდან ჩამოცილების, ადვოკატის წარმოებაში არსებული საქმეების მიმდინარეობისა და სამუშაო გრაფიკის თაობაზე სამსახურისათვის ინფორმაციის მიწოდების პროცედურები და რეესტრის ადვოკატის საქმეში ჩართვის წინაპირობები.

- **2020 წლის 22 აგვისტოს, N80** გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა საბჭოს 2019 წლის 02 დეკემბრის N70 გადაწყვეტილებაში და დაკონკრეტდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს სამოქმედო ტერიტორია. ამავე გადაწყვეტილებით, განისაზღვრა სხვა ბიუროს სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში იურიდიული დახმარების გაწევის წინაპირობები;

- **2020 წლის 22 აგვისტოს, N81** გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა „მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის N25 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში, ამოღებული იქნა დანართის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი და მე-10 მუხლის პირველ პუნქტში დაემატა „ზ“ ქვეპუნქტი;

იურიდიული დახმარების საბჭოს N81-ე გადაწყვეტილებით, დაკონკრეტდა სისხლის სამართლის მიმართულებით რეესტრის ადვოკატის საქმეში ჩართვის პროცედურა და დადგინდა რეესტრის ადვოკატების მიერ იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank) ინფორმაციის შეყვანის ვალდებულება.

- **2020 წლის 22 აგვისტოს, N82** გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა „მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 3 აპრილის N18 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში, ამოღებული იქნა მე-7 მუხლის პირველი პუნქტი და მე-10 მუხლის პირველ პუნქტში დაემატა „ზ“ ქვეპუნქტი;

იურიდიული დახმარების საბჭოს N82-ე გადაწყვეტილებით, დაკონკრეტდა სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით რეესტრს ადვოკატის საქმეში ჩართვის პროცედურა და დადგინდა რეესტრის ადვოკატების მიერ იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank) ინფორმაციის შეყვანის ვალდებულება.

- **2020 წლის 22 აგვისტოს, N83** გადაწყვეტილებით, სისხლის სამართლის საქმეებზე, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარებისა და სამოქალაქო და

ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოებს დაევალა მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული საზოგადოებრივი ადვოკატის მიერ წარმოდგენილი საქმიანობის ანგარიშის შესწავლა და შესაბამისი დასკვნის მომზადება გაწეული მომსახურების ანაზღაურების მიზნით.

21. სამსახურის ცნობადობის გაზრდა

2020 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის ცნობადობის გაზრდის მიზნით შეიქმნა 432 მედია პროდუქტი.

რადიო გადაცემა "სამართლებრივი რჩევები"

2020 წლის 6 ივლისიდან იურიდიული დახმარების სამსახური ახორციელებს რადიო პროექტს "სამართლებრივი რჩევები", რომლის მიზანია მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება.

გადაცემა ეთერში გადის ყოველ ორშაბათს, 11 საათიანი საინფორმაციო გამოშვების შემდეგ და მას უძღვება იურიდიული დახმარების სასახურის დირექტორი რაჭდენ კუპრაშვილი, რომელიც სტუმრებთან ერთად განიხილავს აქტუალურ სამართლებრივ საკითხებს. მოსახლეობას აქვს საშუალება პირდაპირ ეთერში დაუსვას კითხვები სტუმრებს და კვალიფიციური სპეციალისტისაგან მიიღოს შესაბამისი პასუხები.

2020 წელს, რადიო "იმედის" ეთერში გავიდა 22 გადაცემა, რომლის აუდიო/ვიდეო ჩანაწერები პერიოდულად ქვეყნდება როგორც რადიო „იმედის“ ვებ და ფეისბუკ-გვერდებზე, ასევე, იურიდიული დახმარების სამსახურის ფეისბუკ-გვერდზეც. გადაცემას ერთობლივად აქვს 350 000-ზე მეტი ნახვა და 315 გაზიარება.

გადაცემის თემები და სტუმრები:

- **2020 წლის 7 ივლისი** - დისტანციური სამართალწარმოება ახალი კორონავირუსის პირობებში, პანდემია: გამოცდა თუ გამოწვევა ადამიანის უფლებათა დაცვის პროცესში. გადაცემის სტუმრები: იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს სპეციალისტი ანა კვანტალიანი და საზოგადოებრივი ადვოკატი თეა ყაულაშვილი;
- **2020 წლის 13 ივლისი** - მიწის რეგისტრაციის რეფორმა და ნაკვეთებზე უფლებათა რეგისტრაცია. გადაცემის სტუმრები: საზოგადოებრივი ადვოკატი ნათია ბერძენიშვილი და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი ვახტანგ ბოხაშვილი.
- **2020 წლის 20 ივლისი** - რა უნდა ვიცოდეთ სესხის აღებისას და როგორ უნდა დავიცვათ ჩვენი უფლებები ბანკებთან ურთიერთობისას. გადაცემის სტუმრები: რუსთავის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტი დავით ჯიქია და იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს სპეციალისტი ანა კვანტალიანი;

- **2020 წლის 27 ივლისი** - ბავშვის უფლებათა კოდექსი. გადაცემის სტუმრები: იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს უფროსი დავით სიმონია და საზოგადოებრივი ადვოკატი თამარ გაბოძე;
- **2020 წლის 3 აგვისტო** - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. გადაცემის სტუმრები თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი სულხან კომახიძე, ფსიქოლოგი ქეთევან თავართქილაძე;
- **2020 წლის 10 აგვისტო** - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა. გადაცემის სტუმრები: გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი ირინა ჯაფარიძე და საზოგადოებრივი ადვოკატი გიორგი მდინარაძე;
- **2020 წლის 17 აგვისტო** - მხარდაჭერა ემიგრანტებისთვის. გადაცემის სტუმრები: იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს სპეციალისტები ანა კვანტალიანი და ნანო ვაჭარაძე;
- **2020 წლის 24 აგვისტო** - პაციენტის უფლებები. გადაცემის სტუმრები: იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილე ნინო მელაძე და საზოგადოებრივი ადვოკატი აკაკი ლომსაძე;
- **2020 წლის 31 აგვისტო** - ბიზნეს და საბანკო სესხები. გადაცემის სტუმრები: იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე სულხან გველესიანი და იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს სპეციალისტი მარიამ ტონია;
- **2020 წლის 9 სექტემბერი** - მედიაცია. გადაცემის სტუმარი - საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი;
- **2020 წლის 14 სექტემბერი** - ბავშვის უფლებათა კოდექსი. გადაცემის სტუმარი - ანა აბაშიძე, ბავშვის უფლებათა დამცველი;
- **2020 წლის 21 სექტემბერი** - შრომითი უფლებები. გადაცემის სტუმარი: პროფესორი სოფიო ჩაჩავა;
- **2020 წლის 28 სექტემბერი** - საადვოკატო საქმიანობა. გადაცემის სტუმარი: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ჭეხანი;
- **2020 წლის 12 ოქტომბერი** - მომხმარებლის უფლებები. გადაცემის სტუმრები: ენერგომომუდსმენი სალომე ვარდიაშვილი და სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოს უფროსი თამარ ჭოხონელიძე;

- **2020 წლის 19 ოქტომბერი** - დაზარალებულის უფლებები. გადაცემის სტუმრები: სისხლის სამართლის საქმეებზე, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოს იურისტი მაია ხუციშვილი და ანალიტიკური სამმართველოს უფროსი დავით სიმონია;
- **2020 წლის 26 ოქტომბერი** - ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. გადაცემის სტუმრები: თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი სულხან კომახიძე და ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი გელა სიორდია;
- **2020 წლის 16 ნოემბერი** - „პირის მხარდამჭერის მიმღებად“ ცნობა. გადაცემის სტუმრები: საზოგადოებრივი ადვოკატები თეა ყაულაშვილი და ლიანა კაჭაშვილი;
- **2020 წლის 30 ნოემბერი** - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული გლობალური კამპანია. გადაცემის სტუმარი: პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში ლელა აქიაშვილი;
- **2020 წლის 7 დეკემბერი** - მარიხუანის ლეგალიზაცია. გადაცემის სტუმრები: საზოგადოებრივი ადვოკატი ნათია პაჭკორია და იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე სულხან გველესიანი;
- **2020 წლის 14 დეკემბერი** - ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები პანდემიის დროს. გადაცემის სტუმარი: სახალხო დამცველის მოადგილე გიორგი ბურჯანაძე;
- **2020 წლის 21 დეკემბერი** - სამეზობლო სამართალი. გადაცემის სტუმრები: საზოგადოებრივი ადვოკატები მათიკო ხურციძე და აკაკი ლომსაძე.
- **2020 წლის 28 დეკემბერი** - საადვოკატო ცხოვრების შეჯამება 2020 წლის განმავლობაში, პრობლემები, გამოწვევები, გამოსავალი, შედეგები. გადაცემის სტუმარი: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანი.

2020 წელს, საქართველოს მთავარი პროკურორობის კანდიდატებად დასახელდნენ იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატები, რომელთა შესახებ მომზადდა სიუჟეტები:

- სიუჟეტი ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის დარიკო თოდრიას შესახებ;
- სიუჟეტი ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის ვალერი კვანტალიანის შესახებ;

2020 წელს, საზოგადოებრივი ადვოკატები, კონსულტანტები და სამსახურის აპარატის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა მედიაში გადაცემებში:

- ტელეკომპანია „პოს ტვ“ - გადაცემა „პოსტალიონი“. გადაცემის სტუმარი: იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი;
- პოლიციელზე თავდასხმა ზუგდიდში. გადაცემის სტუმარი: ადვოკატი ზვიად ქობალავა;
- მკვლელობა სურამში. გადაცემის სტუმარი: გორის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი გიორგი ჯეირანაშვილი;
- არასრულწლოვნის გატაცება. გადაცემის სტუმარი: ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი ესმა ნორაკია;
- ბავშვთა უფლებები. გადაცემის სტუმრები: საზოგადოებრივი ადვოკატები თამარ გაბომე, ნიკა გუჯაბიძე, ანა შიშნიაშვილი, თამარ გაჩეჩილაძე, ნათია ბოჯგუა, მაია დარასელია, ანა კვანტალიანი;
- ბავშვის უფლებათა კოდექსის მოქმედება. ტელეკომპანია „მეგატივი“. გადაცემის სტუმარი: ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი გელა სიორდია;
- 12 ივნისი ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღე. ტელეკომპანია „მეგატივი“. გადაცემის სტუმარი: ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი ხვიჩა თავაძე;
- “ჩვენი საზოგადოება არ არის ტოლერანტული ქალების მიმართ” – გადაცემა “შუადღე ქუთაისში”. გადაცემის სტუმარი: იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი გელა სიორდია;
- კარიერული სამუშაოები ღამის საათებში დასჯადია – გადაცემა “შუადღე ქუთაისში”. გადაცემის სტუმარი: იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი თამარ ობოლაძე;
- გახმაურებული საქმე (ხომასურიძის საქმე). გადაცემის სტუმარი: თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი მამუკა ბასილაშვილი;
- გახმაურებული საქმე (შაქარაშვილის საქმე). გადაცემის სტუმარი: მცხეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი მურმან ნიკოლეიშვილი;
- კარტოგრაფების საქმე. გადაცემის სტუმარი: თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი სულხან კომახიძე;

- ტელეკომპანია „ოდიში“. გადაცემის სტუმარი: ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს კონულტანტი ნინო მინჯია.
- ტელეკომპანია 1 არხი, გადაცემა „რეალური სივრცე“. გადაცემის თემა: ბავშვის უფლებები. გადაცემის სტუმარი: ანალიტიკური სამმართველოს უფროსი დავით სიმონია;
- ტელეკომპანია „პოსტივის“ გადაცემა „პოსტალიონი“, გადაცემის თემა: რეგულაციები პანდემიის პირობებში საქართველოში და საზღვარგარეთ. გადაცემის სტუმარი: იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს სპეციალისტი ანა კვანტალიანი.

ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსება

2020 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის ვებ გვერდზე www.legalaid.ge გამოქვეყნდა 113 სიახლე, 10 განცხადება და 24 ვიდეო. პერიოდულად მიმდინარეობდა ინფორმაციის განახლება სხვადასხვა განყოფილებაში.

სამსახურის ვებ გვერდს ეწვია 85 943 სტუმარი. დღეში საშუალოდ 236 პირი, რაც 42,1% -ით მეტია წინა წელთან შედარებით.

სამსახურის ვებგვერდზე www.legalaid.ge სტუმართა რაოდენობა თვეების მიხედვით:

- იანვარი - 6150;
- თებერვალი - 7108;
- მარტი - 6669;
- აპრილი - 6521;
- მაისი - 6103;
- ივნისი - 6166;
- ივლისი - 5823;
- აგვისტო - 5481;
- სექტემბერი - 6432;
- ოქტომბერი - 7980;
- ნოემბერი - 9449;
- დეკემბერი - 12012.

სამსახურის ვებგვერდზე www.legalaid.ge შემოსულ სტუმართა მდებარეობა (ქვეყნები):

- საქართველო - 90%;
- სომხეთი - 2,4%;
- ამერიკის შეერთებული შტატები - 1,4 %;
- აზერბაიჯანი - 1,2%;

- რუსეთი - 0,7%.

სამსახურის ვებ გვერდზე www.legalaid.ge სტუმრების მიერ დათვალიერებული გვერდების ათეული:

1. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა - 31,080;
2. მთავარი - 28,874;
3. მემკვიდრეობითი სამართალი - 18,560;
4. პენსიის საკითხები - 13,426;
5. იურიდიული კონსულტაცია - 13,018;
6. საოჯახო სამართალი - 12,100;
7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები - 8,960;
8. ოჯახში ძალადობა - 9,007;
9. ქალთა მიმართ ძალადობა - 7,337;
10. ჩვენს შესახებ - 5,312.

სამსახურის ვებგვერდზე www.legalaid.ge დასათვალიერებლად გამოყენებული მოწყობილობები:

- მობილური ტელეფონი - 60.1% (წინა წელთან შედარებით ზრდა 80.7%);
- კომპიუტერი - 39.1% (წინა წელთან შედარებით ზრდა 18,5%);
- პლანშეტი - 0.8% (წინა წელთან შედარებით ზრდა 12,1%).

სოციალური მედიის აქტივობები

2020 წელს სოციალურ ქსელში განთავსდა 97 ვიდეო პროდუქტი. ნახვების საერთო რაოდენობამ შეადგინა - 1 445 201.

2020 წლის ფეისისბუკ გვერდის <https://www.facebook.com/legalaid.ge> მონაცემები:

1. ფეისისბუკ გვერდზე გამოქვეყნდა 241 პოსტი;
2. გვერდის მოწონება - 23291; 2020 წლის 1 იანვრამდე იყო - 9797. 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გაიზარდა - 13494-ით;
3. გვერდის გამომწერები - 23,711. 2020 წლის 1 იანვრამდე იყო - 9125; ხოლო 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გაიზარდა - 14,586-ით.
4. უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც იურიდიული დახმარების სამსახურის „facebook“ გვერდი აქვს მოწონებული - 1061;
5. „facebook“ გვერდზე 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით შემოვიდა 2623 შეტყობინება;
6. რადიო გადაცემის „სამართლებრივი რჩევების“ შედეგად იურიდიული დახმარების სამსახურის გვერდს დაემატა - 936 მოწონება;
7. რადიო გადაცემის „სამართლებრივი რჩევების“ ნახვების რაოდენობა 2020 წლის 6 ივლისიდან 28 დეკემბრის ჩათვლით საერთო ჯამში შეადგენს - 298 045-ს;

8. საკონსულტაციო ცენტრების გახსნების შესახებ ინფორმაციების განთავსების შედეგად, იურიდიული დახმარების სამსახურის გვერდს დაემატა - 1197 მოწონება.
9. საკონსულტაციო ცენტრების გახსნის ნახვების რაოდენობა საერთო ჯამში შეადგენს - 297 050-ს;

იუთუბის არხზე https://studio.youtube.com/channel/UCUrm4V_jXCJw8nGs_Vn-low 2020 წლის განმავლობაში განთავსდა 23 ვიდეო, რომელიც ნახა 214-მა ადამიანმა.

უშუალოდ სამსახურის თანამშრომელთა რესურსებით მომზადდა 25 ვიდეო პროდუქტი. მათი ფეისბუქ ნახვების საერთო რაოდენობა - 949 438-ს.

2020 წელს, ინტენსიურად მიმდინარეობდა სამსახურის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების ვიდეოგადაღება, მონტაჟი და განთავსება როგორც სამსახურის ვებ გვერდზე, ასევე სოციალურ ქსელში. გარდა ამისა, აღნიშნული მასალა ვრცელდებოდა სხვადასხვა ტელეკომპანიებისა და ინტერნეტპორტალების მეშვეობით.

ვიდეო სიუჟეტები და ნახვების რაოდენობა:

1. 2020 წლის 26 ივნისი - ლაგოდეხის საკონსულტაციო ცენტრის გახსნა. 1 917 ნახვა;
2. 2020 წლის 1 ივლისი - რაჭდენ კუპრაშვილის წლიური ანგარიშის წარდგენა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში. 55 799 ნახვა;
3. 2020 წლის 7 ივლისი - დუშეთის საკონსულტაციო ცენტრის გახსნა. 39 310 ნახვა;
4. 2020 წლის 10 ივლისი - შეხვედრა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. 52 351 ნახვა;
5. 14 ივლისი - შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მრჩეველთან იურიდიულ საკითხებში მაიკლ გრანტთან. 46 509 ნახვა;
6. 2020 წლის 22 ივლისი - ყვარლის საკონსულტაციო ცენტრის გახსნა. 68 022 ნახვა;
7. 2020 წლის 24 ივლისი - დუისის საკონსულტაციო ცენტრი, ბავშვთა ფონდის ხელმძღვანელის დასან ხალილის სტუმრობა. 48 067 ნახვა;
8. 2020 წლის 4 აგვისტო - ბაღდათის საკონსულტაციო ცენტრის გახსნა. 37 453 ნახვა;
9. 2020 წლის 10 აგვისტო - წყალტუბოს საკონსულტაციო ცენტრის გახსნა. 33 165 ნახვა;
10. 2020 წლის 14 აგვისტო - ქედას საკონსულტაციო ცენტრის გახსნა. 62 974 ნახვა;
11. 2020 წლის 13 აგვისტო - ხულოს საკონსულტაციო ცენტრის გახსნა. 2 264 ნახვა;
12. 2020 წლის 11 აგვისტო - ონლაინ პროექტი „საუბარი ბავშვის უფლებებზე“ პრეზენტაცია. ქუთაისი, ოქროს ჩარდახი. 1 626 ნახვა;
13. 2020 წლის 15 აგვისტო - ქობულეთის საკონსულტაციო ცენტრის გახსნა. 2 674 ნახვა;
14. 2020 წლის 3 სექტემბერი - პროექტი „სამართალი ბავშვებისთვის“. 47 084 ნახვა;
15. 2020 წლის 8 სექტემბერი - შეხვედრა ცაგერში პროექტ „სამართლებრივი რჩევები სტარტაპერებისთვის“ ფარგლებში. 103 429 ნახვა;
16. 2020 წლის 15 სექტემბერი - ახალი ცხელი ხაზის ამოქმედება. 3 708 ნახვა;
17. 2020 წლის 15 სექტემბერი - პროექტი „დამწყები ადვოკატებისთვის“. 1860 ნახვა;
18. 2020 წლის 23 სექტემბერი - აბაშის საკონსულტაციო ცენტრის გახსნა. 34 100 ნახვა;

19. 2020 წლის 22 სექტემბერი - მარტვილის საკონსულტაციო ცენტრის გახსნა. 29 204 ნახვა;
20. 2020 წლის 24 სექტემბერი - ჩხოროწყუს საკონსულტაციო ცენტრის გახსნა. 33 776 ნახვა;
21. 2020 წლის 24 სექტემბერი - წალენჯიხის საკონსულტაციო ცენტრის გახსნა. 25 628 ნახვა;
22. 2020 წლის 25 სექტემბრის პოსტი - სენაკის საკონსულტაციო ცენტრის გახსნა. 31 544 ნახვა;
23. 2020 წლის 24 სექტემბერი - ხობის საკონსულტაციო ცენტრის გახსნა. 56 746 ნახვა;
24. 2020 წლის 9 ოქტომბერი - გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით დუისის საკონსულტაციო ცენტრში ბავშვზე მორგებული ოთახის მოწყობა. 2 199 ნახვა;
25. 2020 წლის 29 დეკემბერი - ქველმოქმედება სართიჭალაში. 128 029 ნახვა;

22. სამსახურის მიერ გაფორმებული მემორანდუმები

2020 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა გააფორმა 6 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმები ემსახურება სამართლებრივ ცხოვრებასა და მომავალი თაობების განათლებაში სამსახურის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას.

- **2020 წლის 6 თებერვალს**, იურიდიული დახმარების სამსახურსა და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის მიზანია, უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საგანმანათლებლო (საბაკალავრო/სამაგისტრო) პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული სასწავლო კურსის (კლინიკა) ჩამოყალიბება სტუდენტებისთვის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით ასევე მხარეთა მიერ ერთობლივად სოციალური და სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.
- **2020 წლის 1 აგვისტოს**, იურიდიული დახმარების სამსახურსა და სკოლა „ღონე ქვეყნისას“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის მიზანია, ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება.
- **2020 წლის 1 აგვისტოს**, იურიდიული დახმარების სამსახურსა და სკოლა „იმედს“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის მიზანია, ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება.
- **2020 წლის 1 აგვისტოს**, იურიდიული დახმარების სამსახურსა და სასწავლო ცენტრ „მერმისს“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის მიზანია, ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება.
- **2020 წლის 1 აგვისტოს**, იურიდიული დახმარების სამსახურსა და ააიპ „ინფორმაციულ დეველოპერულ ჰაბს“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის მიზანია, ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება.
- **2020 წლის 11 აგვისტოს**, იურიდიული დახმარების სამსახურსა და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა/სავარაუდო მსხვერპლთა დაცვასა და დახმარების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებში ასევე არასრულწლოვანთან მიმართებით, მათ შორის

ოჯახურ დავებში, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებში მხარეთა ერთობლივი მონაწილეობა;

23. სამთავრობო გეგმები

2020 წელს, იურიდიული დახმარების სამსახური იყო 11 სამთავრობო გეგმის მონაწილე. კერძოდ:

- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა;
- ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის;
- საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა;
- ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებათა საკომუნიკაციო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის;
- ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018- 2020 წლების სამოქმედო გეგმა;
- ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა;
- სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა (2019-2020 წლები);
- ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019-2021 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა;
- ნატო-საქართველოს ყოველწლიური ეროვნული პროგრამა (ANP);
- ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2019 –2020 წლების სამოქმედო გეგმა;
- ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა;

ეროვნულ სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებით იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებისა და საქართველოს მთავრობის, საქართველოს პარლამენტის, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სხვა პარტნიორების მონაწილეობით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- სამუშაო შეხვედრები;
- გასვლითი კონსულტაციები;
- საკანონმდებლო ცვლილებებისა და პროექტების მომზადება;
- სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და ანალიზი;
- საჭიროებების კვლევა;
- დისკუსია - მრგვალი მაგიდა;

2020 წელს, სამსახური ჩართული იყო შემდეგი სამოქმედო გეგმების შემუშავებაში:

1. ბავშვობის ასაკში ქორწინების სამოქმედო გეგმა და საკომუნიკაციო სტრატეგია;
2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა;
3. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურები;
4. ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა;
5. ადამიანის უფლებათა 2021-2030 წლების ახალი ეროვნული სტრატეგია.

24. სამსახურის მიერ 2020 წელს ნაწარმოები საქმეების სტატისტიკური მონაცემები

2020 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ წარმოებაში მიღებულ იქნა სულ 13 324 საქმე.

წარმოებაში მიღებული საქმეების რაოდენობა წლების მიხედვით

2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
11196	9291	10140	8633	7173	11764	10993	11682	12220	13878	16 086	18 044	13 324

წარმოებაში მიღებული საქმეების რაოდენობა დარგების მიხედვით
(სულ: 13 324 საქმე)

დარგი	რაოდენობა
სისხლისსამართლის საქმეები	10 496
სამოქალაქო სამართლის საქმეები	2 069
ადმინისტრაციული სამართლის საქმეები	759

წარმოებაში მიღებული საქმეების რაოდენობა ბიუროების / საკონსულტაციო ცენტრების მიხედვით
(სულ: 13 324 საქმე)

ბიურო	რაოდენობა
ბათუმი	1 468
თბილისი	4 817
ზესტაფონი	381
ქუთაისი	1 355
თელავი	599
სიღნაღი	227
მცხეთა	301
ზუგდიდი	814
ფოთი	519
ახალციხე	617
რუსთავი	1 212
გორი	663
ოზურგეთი	323
ამბროლაურის საკონსულტაციო	28

სისხლის სამართლის საქმეები კატეგორიების მიხედვით

სულ : 10 496

ნაკლებად მძიმე	6 364
მძიმე	2 349
განსაკუთრებით მძიმე	509
სხვა საქმეები	1 274

სისხლის სამართლის საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატის ჩართვის შესახებ მომართვების რაოდენობა

ფიზიკური პირი	637
გამომიება/პროკურატურა	8 579
სასამართლო	1 266
სასაჯელაღსრულება	7
ადმინისტრაციული ორგანო	7
სულ	10 496

საქმეზე დასაცავი პირის სტატუსი / საქმის წარმოებაში მიღების საფუძვლის მიხედვით

არასრულწლოვანი	1 845
არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა	1 687
აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას	447
გადახდისუნარო დასაცავი პირი(70000 ქულა)	662
დირექტორის საგამონაკლისო უფლება	100
ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობა	47
სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო	46
ჩადენილი ქმედებისათვის გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით	42

დასრულებულ სისხლის სამართლის საქმეებში საპროცესო შეთანხმებათა წილი

დასრულებული სისხლის სამართლის საქმეები სულ:	8 542
აქედან – საპროცესო შეთანხმებით დასრულებული	4 682

სხვა შედეგი	3 860
-------------	-------

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეების რაოდენობა

დარგი	რაოდენობა
სამოქალაქო სამართლის საქმეები	2 069
ადმინისტრაციული სამართლის საქმეები	759

სამოქალაქო სამართლის საქმეების რაოდენობა წლების მიხედვით

2015	2016	2017	2018	2019	2020
753	2048	2317	2 829	3 134	2 069

ადმინისტრაციული სამართლის საქმეების რაოდენობა წლების მიხედვით

2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
749	728	939	802	844	943	759

ბიუროების/ საკონსულტაციო ცენტრის მიერ წარმოებაში მიღებული სამოქალაქო საქმეების რაოდენობა საკითხების მიხედვით (სულ: 2 069 საქმე)

საკითხი	რაოდენობა
პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმეები	1 483
საოჯახო დავები	253
სამემკვიდრეო დავები	18
სამოქალაქო სამართლის სხვა საქმეები	315

ბიუროების/ საკონსულტაციო ცენტრის მიერ წარმოებაში მიღებული ადმინისტრაციული საქმეების რაოდენობა საკითხების მიხედვით (სულ: 759 საქმე)

საკითხი	რაოდენობა
ფსიქიატრიული მკურნალობის იძულებით შეფარდების საქმეები	337
თავშესაფრის მაძიებელთა დაცვა	229
სოციალური კანონმდებლობიდან გამომდინარე დავები	128
ადმინისტრაციული სამართლის სხვა საქმეები	65

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით“ განსაზღვრული ბენეფიციარების დაცვის საქმეების რაოდენობა
(სულ: 1 631)

არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული	343
18 დან 21 წლამდე ბრალდებული	128
არასრულწლოვანი მოწმე	139
არასრულწლოვანი დაზარალებული	1 002
არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი	19
სულ	1 631

„ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ბენეფიციარების დაცვის საქმეების რაოდენობა

ბავშვი	342
--------	-----

არასრულწლოვანთა დაცვის საქმეების რაოდენობა წლების მიხედვით

2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
486	604	685	505	284	368	459	482	1328	1005	1362	1745	1 845

ბენეფიციარების რაოდენობა სერვისებისა და სქესის მიხედვით
(სულ: 35 088)

დარგი	კაცი	ქალი
სისხლის სამართლის საქმეები	9 285	1 239
სამოქალაქო სამართლის საქმეები	1 028	1 041
ადმინისტრაციული სამართლის საქმეები	537	224
კონსულტაციები	7 815	13 919

წარმატებით დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა (სტადიების მიხედვით)

ბიურო	გამამართლებელი	ნაწილობრივ გამამართლებელი	დევნის შეწყვეტა	განრიდება
ბათუმი	11	6	4	2
თბილისი	24	23	43	23
ზესტაფონი	2	0	7	8

ქუთაისი	15	3	22	5
თელავი	9	1	3	8
სიღნაღი	1	2	0	1
მცხეთა	0	1	2	0
ზუგდიდი	3	0	5	2
ფოთი	4	0	3	4
ახალციხე	3	2	1	44
რუსთავი	20	6	9	1
გორი	6	1	9	7
ოზურგეთი	0	0	1	0
სულ	98	45	109	105

გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა წლების მიხედვით

2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
18	28	6	22	48	58	53	50	130	98

წარმატებით დასრულებული სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის საქმეების რაოდენობა (ბიუროების მიხედვით)

ბიურო	მხარის მოთხოვნა დაკმაყოფილდა (სასარჩელო)	მხარის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (სასარჩელო)	მხარის მოთხოვნა დაკმაყოფილდა (განმცხადებელი)	მხარის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (განმცხადებელი)
ახალციხე	5	0	19	0
ბათუმი	1	0	64	0
გორი	3	1	9	0
ზესტაფონი	4	0	50	0
ზუგდიდი	0	0	11	0
თბილისი	13	9	85	2
თელავი	1	0	20	0
მცხეთა	1	0	27	0
ოზურგეთი	2	0	55	2
რუსთავი	1	0	57	1
სიღნაღი	0	0	2	0
ფოთი	2	0	16	0
ქუთაისი	1	0	28	1
სულ	34	10	443	6

რეესტრის ადვოკატების მიერ წარმოებაში მიღებული საქმეების რაოდენობა დარგების მიხედვით
(სულ: 1 004)

დარგი	რაოდენობა
სისხლისსამართლის საქმეები	969
სამოქალაქო სამართლის საქმეები	20
ადმინისტრაციული სამართლის საქმეები	15

იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული კონსულტაციების რაოდენობა
(სულ: 28 430)

გაწეული კონსულტაციების რაოდენობა
(წლების მიხედვით)

2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
4 765	8 076	12 005	15 495	17 557	17 971	20 732	23 077	24 501	29 310	31 110	35 834	28 430

კონსულტაციების სახეობა

სახეობა	რაოდენობა
პირადი	5 718
სატელეფონო	10 097
ონლაინ	4 965
წერილობითი	32
სხვა (სამართლებრივი დოკუმენტის მომზადებით)	1291

კონსულტაციების თემატიკა

სახეობა	რაოდენობა
სამოქალაქო	10 779
სისხლი	1 042
ადმინისტრაციული	1 412
სოციალური	1 613
სხვა	7 257

კონსულტაციის მიმღებთა სტატუსი

სტატუსი	რაოდენობა
უმუშევარი	2 004
პენსიონერი	1 911
შშპ პირი	284
დევენილი	554
გადახდისუუნარო	2 680
ეროვნული უმცირესობა	410
სახელმწიფო ენის არმცოდნე	658
უცხო ქვეყნის მოქალაქე	273
სხვა	13 329

იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ კონსულტაციის გაწევისას შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტების რაოდენობა

სულ 1 291

შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტების რაოდენობა
(წლების მიხედვით)

2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
1134	2 279	2950	4 700	5 338	5 572	3 752	3 123	3 159	2 518	1 950	2159	1 291

25. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატი, იურიდიული დახმარების ბიუროს, მიმწოდებლის ან საკონსულტაციო ცენტრის მიმართვის საფუძველზე ახორციელებს იურიდიულ დახმარებას სახელმწიფოს ხარჯზე სამსახურის დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. რეესტრში ადვოკატის რეგისტრაცია ხორციელდება ადვოკატის განცხადების საფუძველზე, ღია კონკურსის გზით.

სამსახურის დებულების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რეესტრის ადვოკატის საქმეში ჩართვის საფუძველია:

ა) სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის რომელიმე შემთხვევა;

ბ) დებულების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამავე დებულების 24-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის საქმეში ჩართვის საფუძველი;

გ) სამსახურის დირექტორის გადაწყვეტილება, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევებში მიიღება, ბიუროს უფროსის, საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტის ან მიმწოდებლის დასაბუთებული მომართვის საფუძველზე;

ამავე მუხლის 3¹ პუნქტის თანახმად, რეესტრის ადვოკატისათვის საქმის გადაცემა ხდება დაზარალებულისათვის იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ მომართვის შემთხვევაში;

2020 წელს, საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ ადვოკატებს გადაეცათ 997 საქმე:

დარგი	რაოდენობა
სისხლის სამართლის საქმეები	964
სამოქალაქო სამართლის საქმეები	20
ადმინისტრაციული სამართლის საქმეები	13

2020 წელს, მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული იყო 62 ადვოკატი. მათ შორის - 31 ქალი და 31 კაცი.

2020 წელს, 2 ადვოკატი, პირადი განცხადებით ამორიცხულ იქნა რეესტრიდან.

რეესტრის ადვოკატების სპეციალიზაცია:

- 31 - სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი;
- 27 - საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი;
- 4 - სამოქალაქოს სპეციალიზაციის ადვოკატი;
- 60 - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი.

2020 წელს, 4 რეესტრის ადვოკატის მიმართ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ბენეფიციარის განცხადების საფუძველზე. თუმცა, არც ერთ შემთხვევაში არ დადგინდა ხელშეკრულების შეუსრულებლობის ფაქტი და არ მომხდარა ამ საფუძველით რეესტრის ადვოკატთან ხელშეკრულების შეწყვეტა.

2020 წელს, განხორციელდა რეესტრის ადვოკატების ნაწარმოები **875** საქმის ანაზღაურება მათ მიერ წარდგენილი ანგარიშების საფუძველზე. კერძოდ:

- ბათუმი – 40 საქმე – 7291 ლარი;
- ოზურგეთი – 235 საქმე – 25 892 ლარი;
- თბილისი – 301 საქმე – 48 770 ლარი;
- ზესტაფონი – 12 საქმე – 1 820 ლარი;
- ქუთაისი – 34 საქმე – 6 822 ლარი;
- თელავი – 33 საქმე – 5 399 ლარი;
- სიღნაღი – 21 საქმე – 2 585 ლარი;
- მცხეთა – 15 საქმე – 2 025 ლარი;
- ამბროლაური – 45 საქმე – 4 592 ლარი;
- ზუგდიდი – 13 საქმე – 1 818 ლარი;
- ფოთი – 8 საქმე – 763 ლარი;
- ახალციხე – 31 საქმე – 3 959 ლარი;
- რუსთავი – 71 საქმე – 16 066 ლარი;
- გორი – 16 საქმე – 2 155 ლარი.

2020 წელს, საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების საქმიანობის მარეგულირებელ აქტებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები, იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ 2020 წლის 22 აგვისტოს მიღებულ იქნა N81 და N82 გადაწყვეტილებები და დაკონკრეტდა რეესტრის ადვოკატის საქმეში ჩართვის პროცედურა და დადგინდა რეესტრის ადვოკატების მიერ იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank) ინფორმაციის შეყვანის ვალდებულება.

2020 წელს, განახლდა რეესტრის ადვოკატების ხელშეკრულებები და დეტალურად გაიწერა ადვოკატების ვალდებულებები სამსახურის მიმართ.

26. სამსახურის დოკუმენტბრუნვა

2020 წელს, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დოკუმენტბრუნვა შეადგენდა სულ 14 607 დოკუმენტს. მათ შორის,

- 3 187 შემოსული დოკუმენტი;
- 8 140 შიდა დოკუმენტი;
- 1 663 გასული დოკუმენტი;
- 1 617 მომზადებული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი.

საქართველოს პარლამენტიდან შემოსული წერილები

2020 წელს, სამსახურმა განახორციელა 143 მოქალაქის/ბრალდებულის/მსჯავრდებულის განცხადებაზე რეაგირება საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტსა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს შორის 2018 წლის 27 სექტემბრის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში.

2020 წელს, სამსახურმა განახორციელა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან შემოსულ 21 წერილზე და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 25 მომართვაზე რეაგირება.

27. საჯარო ინფორმაციის გაცემა

2020 წელს, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სამსახურში შემოვიდა 21 წერილი.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პირები:

- სახელმწიფო-ინსპექტორის აპარატი;
- საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (Transparency International Georgia, 2 წერილი);
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- საქართველოს პარლამენტის წევრი;
- საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი;
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (6 წერილი);
- ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC, 2 წერილი);
- იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმოვა“;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI);
- საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა;
- მოქალაქე (4 წერილი)

მოთხოვნილი და გაცემული ინფორმაცია:

სახელმწიფო-ინსპექტორის აპარატი

- პერსონალური მონაცემების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე განცხადებების/საჩივრის რაოდენობა;
- დისციპლინურ პასუხისმგებლობის სტატისტიკა;
- ტრენინგების ჩატარების შესახებ ინფორმაცია (პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელ კანონმდებლობაზე);
- პერსონალური მონაცემების დაცვის გაუმჯობესების მიზნით გატარებული ღონისძიებები;

ინფორმაცია მოთხოვნილ იქნა 2018 და 2019 წლების მიხედვით ცალ-ცალკე.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (Transparency International Georgia 2 წერილი)

- 2010-2019 წლებში საზოგადოებასთან/მედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის/სამსახურის თანამშრომელთა სრული ოდენობა, მათ შორის შტატგარეშე და მათ მიერ აღებული ხელფასის/პრემიის/ბონუსის/დანამატის სრული ოდენობა წლების და თვეების მიხედვით;

- 2020 წლის გეგმა საზოგადოებასთან/მედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის/სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობის და მათი ანაზღაურების შესახებ;
- 2010-2019 წწ ნებისმიერი სახის რეკლამის/სპონსორის/ტელეშოპინგის, პროგრამაში პროდუქტის, პიარ ღონისძიების წარმოების, განთავსებისა და გავრცელების ხარჯის რაოდენობები წლების და თვეების მიხედვით;
- 2020 წელს გასაწევი ნებისმიერი სახის რეკლამის/სპონსორის/ტელეშოპინგის, პროგრამაში პროდუქტის, პიარ ღონისძიების წარმოების, განთავსებისა და გავრცელების ხარჯი.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

- 2016-2019 წწ. იურიდიული დახმარების სამსახურის სტატისტიკა სისხლის სამართლის კოდექსის 150¹ ან/და ამ მუხლთან ერთობლიობით გათვალისწინებულ დანაშაულზე (წლების, ასაკის, სქესისა და რეგიონების მიხედვით).

საქართველოს პარლამენტის წევრი

- 2012 წლიდან 2020 წლის 16 ივნისის ჩათვლით შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ჯამური ხარჯი (წლების მიხედვით ცალ-ცალკე).

საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი

- 2010-2019 წწ - სტატისტიკური მონაცემები, საკენსიო ასაკის პირებთან მიმართებაში.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (6 წერილი)

- სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისა და სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
- შეხვედრებთან დაკავშირებული ინფორმაცია (სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე, საინფორმაციო საგანმანათლებლო, სპორტული ან/და შემოქმედებითი);
- ტრენინგებთან, სატრენინგო მოდულებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- ადვოკატთა გადამზადებასთან დაკავშირებული (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, ბავშვთა მიმართ ძალადობის და სხვა საკითხებთან დაკავშირებით) ინფორმაცია;
- იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების დოკუმენტთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- სტატისტიკური მონაცემები;

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC, 2 წერილი)

- სტატისტიკური ინფორმაცია;

- ადვოკატის დანიშვნისა და ადვოკატის დანიშვნაზე უარის თქმის რაოდენობა საფუძვლების მითითებით;
- გადახდისუუნარო პირთათვის, მხარდაჭერის მიმღებისათვის, თავშესაფრის მაძიებლისათვის, არასრულწლოვანისათვის, ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის/სავარაუდო მსხვერპლისათვის იურიდიული დახმარების სტატისტიკა;
- სავალდებულო დაცვის სტატისტიკა;
- დასაქმებულ ადვოკატთა რაოდენობა (რეგიონების გამიჯვნით);
- ადვოკატთა დატვირთულობა;
- გამამართლებელ და გამამტყუნებელ განაჩენების სტატისტიკა;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ ადვოკატთა მუდმივმოქმედ ჯგუფში ადვოკატების რაოდენობა და მათი რეგიონალური გადანაწილება;
- დირექტორის საგამონაკლისო უფლებამოსილების გამოყენების სტატისტიკა;
- 2019-2020 წწ საზოგადოებრივი ადვოკატების და მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების საქმეებში მონაწილეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია.

იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“

- 2019-2020 წლის დევნილთა მომართვიანობის სტატისტიკა (საფუძვლების მითითებით).

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

- თანამდებობის პირებზე დარიცხულ ფულადი ჯილდოებისა და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაცია;
- საშტატო თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ინფორმაცია (სარგო, ფულადი ჯილდო, დანამატი ცალ-ცალკე);
- შტატგარეშე თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ინფორმაცია (სარგო, ფულადი ჯილდო, დანამატი ცალ-ცალკე);
- წარმომადგენლობითი ხარჯი;
- ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯი;
- საშტატო ნუსხა;
- სარეკლამო ხარჯი;
- ადმინისტრაციულ და შრომით ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- მრჩევლის, ექსპერტის და კონსულტანტის პოზიციაზე დასაქმებულ შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- გადაუდებელი აუცილებლობით ან ღონისძიების შეზღუდულ ვადებში ჩატარებისათვის განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვების ფარგლებში სამსახურეობრივი ელექტრონული ფოსტიდან ბაზრის კვლევის მიზნით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები;

- მამხილებელ განცხადებებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- საწვავის ხარჯვა;
- სამსახურში გარკვეულ საკითხებზე შემუშავებულ დოკუმენტებთან (მხილების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, პანდემიის პირობებში სამუშაო პროცესის მართვის ბრძანებები და სხვა დოკუმენტები) დაკავშირებული ინფორმაცია;
- დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადაყვანასთან დაკავშირებული საკითხები;
- ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხები (პანდემიის პირობებში).

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა

- პირის პერსონალური ინფორმაციის გამოთხოვა (პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მოთხოვნილ იქნა შესაბამისი პერსონალური ინფორმაციის მფლობელი პირის ნებართვა).

მოქალაქეთა განცხადებები (4 წერილი):

- დასაქმებულ ადვოკატთა ოდენობა;
- საქმეთა სტატისტიკა 2014-2019 წწ.
- ადვოკატთა დატვირთულობა 2014-2019 წწ.
- სამსახურის ბიუჯეტი 2014-2019 წწ.
- ექსპერტიზის დაფინანსებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- თარჯიმნის მომსახურების ხარჯებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- საგამონაკლისო წესით დირექტორის უფლებამოსილების გამოყენების სტატისტიკა;
- საპროცესო შეთანხმების სტატისტიკური მაჩვენებელი საქმეების საერთო რაოდენობასთან;
- შეფასების სისტემის დოკუმენტთან დაკავშირებული ინფორმაცია.
- ადვოკატის საკონტაქტო და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურში მუშაობის პერიოდთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში პირისათვის მთარგმნელობითი მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- 2019 წლის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში წარმოებული საქმეების სტატისტიკა (მათ შორის მსხვერპლი ქალების დაცვა).

28. სამსახურის ფინანსური ანგარიში

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამსახურის დაფინანსების წყაროებია:

- ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- ბ) შემოწირულებები და გრანტები;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუჯეტი 2020 წელს შეადგენდა სულ 6 895 444.44 ლარს. კერძოდ:

- საბიუჯეტო ასიგნებები 6 800 000 (ლარი);
- გრანტები 95 444.44 (ლარი);

იურიდიული დახმარების სამსახურის ხარჯები 2020 წელს შეადგენდა სულ 6 326 203,01 ლარს - საბიუჯეტო ასიგნებები 6 250 131,42 (ლარი) და გრანტები 76 071,59 (ლარი). მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება 4 010 685.42 (ლარი);
- შრომითი ხელშეკრულების დასაქმებულ პირთა ანაზღაურება 1 307 721.92 (ლარი);
- მივლინების ხარჯები 44 387.04 (ლარი);
- ოფისის ხარჯები 470 114.54 (ლარი);
- წარმომადგენლობითი ხარჯები 12 143.12 (ლარი);
- სამედიცინო ხარჯები 2 169.41 (ლარი);
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები 188 413.17 (ლარი);
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 85 726.46 (ლარი);
- სოციალური უზრუნველყოფა 73 075.86 (ლარი);
- მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 13 210.27 (ლარი);
- არაფინანსური აქტივების ზრდა 118 555.80 (ლარი).

2020 წლის სახელმწიფო შესყიდვები

- 2020 წელს, შესყიდვების გეგმა შესრულდა 94%-ით და გადახდილი იქნა 757 908.94 ლარი.
- სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გაფორმდა 163 ხელშეკრულება და 1 ინტერნეტის გამოწერა (ხელშეკრულების გარეშე), თანხა: სულ 806 247.21 ლარი.

- სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში გაფორმდა 154 ხელშეკრულება და 1 ინტერნეტის გამოწერა (ხელშეკრულების გარეშე), თანხა: 760 559.16 ლარი, ხოლო გრანტის ფარგლებში გაფორმდა 9 ხელშეკრულება, თანხა: 45 688.05 ლარი.
- გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა 125 ხელშეკრულება და 1 ინტერნეტის გამოწერა (ხელშეკრულების გარეშე), თანხა: 409 697.02 ლარი, საიდანაც გრანტით დაფინანსდა 3 ხელშეკრულება, თანხა: 19 775.9 ლარი, ხოლო ბიუჯეტით 122 ხელშეკრულება და 1 ინტერნეტის გამოწერა (ხელშეკრულების გარეშე), თანხა: 389 921.12 ლარი.
- ელექტრონული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 12 ხელშეკრულება, თანხა: 123 603.89 ლარი, საიდანაც გრანტით დაფინანსდა 4 ხელშეკრულება, თანხა: 24 335.9 ლარი, ხოლო ბიუჯეტით 8 ხელშეკრულება თანხა: 99 267.99 ლარი.
- კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 26 ხელშეკრულება, თანხა: 272 946.3 ლარი, საიდანაც გრანტით დაფინანსდა 2 ხელშეკრულება, თანხა: 1 576.25 ლარი, ხოლო ბიუჯეტით 24 ხელშეკრულება, თანხა: 271 370.05 ლარი.

2020 წელს სამსახურის მიერ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული თანხები

სამსახურში მიმდინარე რეფორმებს ფართო მხარდაჭერა აქვს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან (USAID/Prolog, UNHCR, UNDP, UNICEF).

2020 წელს, დონორ ორგანიზაციებთან წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად სამსახურმა მიიღო 115,648.22 აშშ დოლარისა და 79,501.57 ლარის გრანტი.

N	დონორი ორგანიზაცია	აღწერილობა	გრანტის თანხა		დაფინანსების პერიოდი
			აშშ დოლარი	ლარი	
1	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, (USAID) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) - (1950)	იურიდიული სამსახურის პოტენციალის გაზრდა	\$ 15,060.00		2020
2	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, (USAID) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) - (1989/2038)	იურიდიული სამსახურის პოტენციალის გაზრდა	\$ 12,416.00		2020
3	გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF	ბავშვზე მორგებული		15,000	2020

		ვეგვერდის შექმნა			
4	გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF	ბავშვთა ოთახის მოსაწყობი ინვენტარი		1,839	2020
5	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, (USAID) აღმოსავლეთ- დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) - (1989/2038)	Zoom-ის ლიცენზია	\$ 1,800.00		2020
6	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, (USAID) აღმოსავლეთ- დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) - (1989/2038)	პროექტორი		9,619	2020
7	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, (USAID) აღმოსავლეთ- დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) - (1989/2038)	პროექტორის კვრანი		420	2020
8	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, (USAID) აღმოსავლეთ- დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) - (1989/2038)	პროექტორის სადგამი		6,467	2020
9	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, (USAID) აღმოსავლეთ- დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) - (1989/2038)	პლანშეტები		14,736	2020
10	გაეროს განვითარების ფონდი UNDP	ლექტოპები		30,912	2020
11	გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF	მეორადი ლექტოპები	\$ 4,372.22		2020
12	გაეროს განვითარების ფონდი UNDP	ყურსასმენები		509	2020
13	გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF	სამედიცინო საშუალებები		4132,80	2020
14	კანონის უზენაესობის	Case-Bank	\$		2020

	მხარდაჭერა საქართველოში (USAID/Prolog)		82,000.00		
	სულ ჯამი:		\$ 115,648.22	79,501.57	

29. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება

1. 2020 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურში დაინერგა სერვერების ვირტუალიზაციის სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა უფრო ეფექტურად იქნეს გამოყენებული არსებული სერვერების რესურსი, კერძოდ ვირტუალიზაციის სისტემა საშუალებას იძლევა ერთ ფიზიკურ სერვერზე გაეშვას რამდენიმე ვირტუალი სერვერი. კერძოდ, განხორციელდა:

- ვირტუალიზაციის პლათფორმის აწყობა VMWare-ის ბაზაზე და გაშვება მუშა რეჟიმში;
- 2019 წელს შეძენილი სერვერის DL380 Gen 10-ის სამუშაო რეჟიმში გაშვება, ვირტუალიზაციის პლათფორმის დაყენება და საჭირო სერვისების გამართვა.

2. იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტაციის ცხელი ხაზის ნომერი 2920055 და ივლისის თვეში სამთავრობო დადგენილებით გამოყოფილი 4 ნიშნა ცხელი ხაზის ნომერი 1485 გადმოტანილი იქნა და გაეშვა სამსახურის სერვერზე. კერძოდ,

- ცხელი ხაზის ნომერი 1485 იმავე თვეში გაეშვა სამსახურის სერვერის ოთახში განთავსებულ IP ტელეფონის სერვერზე.
- ცხელი ხაზის ნომერი 2 92 00 55 გადმოტანილი იქნა სამსახურის სერვერის ოთახში განთავსებულ IP ტელეფონის სერვერზე.

4. 2020 წელს, განხორციელდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 1 ბიუროს - ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროსა და 16 საკონსულტაციო ცენტრის: ჭიათურის, ლაგოდეხის, ხობის, დუშეთის, დმანისის, ყვარელის, აბაშის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ქედას, ხულოს, ქობულეთის, წყალტუბოს, ბაღდათის ტექნიკური უზრუნველყოფა;

5. შეკეთდა 9 ერთეული კომპიუტერული ტექნიკა და 1 ერთეული პრინტერი;

6. პანდემიის გამოცხადების და დისტანციურ მუშაობაზე გადასვლის შემდეგ განხორციელდა სამსახურის ადვოკატების კომპიუტერებში სასამართლო სხდომებზე დისტანციურად ჩართვისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია და გამართვა.

7. სამსახურის მიერ შეძენილი იქნა ქსელური აპარატურა (მარშრუტიზატორი Cisco ISR 4331) და ფაერვოლი (Next Generation Firewall-ის Fortigate 60F), რომლებიც ინტეგრირებული იყო სამსახურის კომპიუტერულ ქსელში, ამ აპარატურის მეშვეობით პანდემიის გამოცხადების შემდეგ:

- სამსახურის ქოლცენტრის თანამშრომლები სახლიდან დისტანციურად იყვნენ ჩართული სამსახურის ქსელში (VPN კავშირის საშუალებით) და უზრუნველყოფდნენ ცხელ ხაზზე შემოსული მოქალაქეების ზარებზე კონსულტაციების გაწევას;

- აპარატის თანამშრომლები და ბიუროს უფროსები დისტანციურ რეჟიმში იყვნენ ჩართული სამსახურის ქსელში (VPN კავშირის საშუალებით), რაც საშუალებას აძლევდათ სახლიდან მიეღოთ წვდომა საქმიანობისთვის საჭირო ყველა სერვისზე.

30. სამსახურში სტაჟირება, იურიდიული კლინიკა

იურიდიული დახმარების სამსახურში ფუნქციონირებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის შედეგად შექმნილი და მოქმედი სასწავლო პროგრამის პრაქტიკული კურსი - იურიდიული კლინიკა, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ გაიღრმავონ თეორიული ცოდნა, პრაქტიკოს ადვოკატებთან ერთად რეალურ საქმეებზე მუშაობის შედეგად გამოიმუშაონ, განივითარონ ადვოკატისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება.

სწავლების პროცესი მიმდინარეობს საკონტაქტო (პრაქტიკული მუშაობა, კლინიკის ანგარიშის პრეზენტაცია) და დამოუკიდებელი მუშაობის (დასკვნითი გამოცდისათვის კლინიკური სწავლების ანგარიშის მომზადება და სხვა) ფორმატით.

იურიდიული დახმარების სამსახურის კლინიკა ხელმისაწვდომია საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების დამამთავრებელი და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის.

2020 წელს, იურიდიული კლინიკის ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურში სტაჟირება გაიარა საქართველოს 4 უმაღლესი სასწავლებლის 27-მა სტუდენტმა გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრებში.

2020 წლის გაზაფხულის სემესტრი:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 12 სტუდენტი;

2020 წლის შემოდგომის სემესტრი:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 3 სტუდენტი;
- თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის 6 სტუდენტი;
- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 5 სტუდენტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის 1 სტუდენტი.

2020 წელს, სამსახურში პირადი განცხადების საფუძველზე სტაჟირება გაიარა 11-მა სტაჟიორმა;

31. დისციპლინური წარმოებები და სასამართლოში მიმდინარე დავები

დისციპლინური წარმოებები

2020 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა აწარმოა 30 დისციპლინური საქმე საზოგადოებრივი ადვოკატებისა და კონსულტანტების მიმართ.

აღნიშნული წარმოებებიდან 1 საქმეზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება წარმოების შეჩერების შესახებ, 1 შემთხვევაში გამოყენებულ იქნა საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურიდან გათავისუფლების სახდელი, ხოლო 28 საქმეზე არ დადასტურდა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები.

სასამართლოში მიმდინარე დავები

2020 წლის მდგომარეობით, იურიდიული დახმარების სამსახურს სასამართლოში აქვს შემდეგი მიმდინარე დავები:

1. მოსარჩელე: ლ. მ., მოპასუხე: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; დავის საგანი: ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება;

საქმის სტატუსი: მოსარჩელის მოთხოვნის საპასუხოდ წარდგენილია შესაგებელი და შესაბამისი მტკიცებულებები; პროცესი არის მოსამზადებელ ეტაპზე; სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნული არ არის.

2. მოსარჩელე: საქართველოს გენერალური პროკურატურა; მოპასუხე: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; დავის საგანი: იურიდიული დახმარების სამსახურის 2019 წლის 19 დეკემბრის N8 19 00034208 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, 2019 წლის 12 დეკემბრის N0 19 000 33373 წერილის ბათილად ცნობა და ბრალდებული იურიდიული პირისთვის ადვოკატის დანიშვნა.

საქმის სტატუსი: საქართველოს უზანეს სასამართლოში სამსახურის მიერ წარდგენილია საკასაციო საჩივარი.

3. მოსარჩელე: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; მოპასუხე: ნ. გ.; დავის საგანი: ავტოსაგზაო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საქმის სტატუსი: სამსახურის მიერ წარდგენილია სარჩელი. სასამართლო ახორციელებს მოპასუხისთვის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარებას.

4. მოსარჩელე: ვ. გ.; გ. შ.; ი. ნ. და სხვები; მოპასუხე: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; დავის საგანი: იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N 75

გადაწყვეტილების ბათილად ცნობა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ.

საქმის სტატუსი: სამსახურის მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა შესაგებელი. საქმე არის მოსამზადებელ ეტაპზე. სასამართლოს მიერ მთავარი სხდომა დანიშნული არ არის.

5. მოსარჩელე: ვ. გ.; გ. შ.; ი. ნ. და სხვები; მოპასუხე: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; დავის საგანი: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ (დისციპლინური წარმოება) სამსახურის დირექტორის 2020 წლის 7 სექტემბრის LA 3 20 00000965 ბრძანების ბათილად ცნობა;

საქმის სტატუსი: სამსახურის მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა შესაგებელი. საქმე არის მოსამზადებელ ეტაპზე. სასამართლოდ მიერ მთავარი სხდომა დანიშნული არ არის.

შესაგებლის მომზადებისათვის, ხარისხის შეფასების სამმართველოსთვის ფარგლებში დამუშავდა და შესაგებელში მიეთითა შემდეგი დოკუმენტები და მათი მიმოხილვა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- საქმე №ას-368-2019, 31.07.2019;
- საქმე №ას-416-399-2016, 29.06.2016 წ.;
- საქმე №ას-941-891-2015, 29.01.2016წ;
- საქმე №1124-1080-2016, 10.03.2017წ.;
- საქმე №ას-172-2019, 30.06.2020წ.
- საქმე №ას-81-81-2018, 4.10.2019;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება 16.02.2015წ. საქმე №28/3332-14;

3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- Van der Musselle v. Belgium;
- Casado Coca v. Spain;
- Steur v. the Netherlands;
- Veraart v. the Netherlands;
- Coutant v. France;
- Heinisch v. Germany;
- Fuchs v. Germany;
- Peruzzi v. Italy.

4. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) N158 კონვენცია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ;

5. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ადმინისტრაციული ტრიბუნალის 1732-ე გადაწყვეტილება;

(https://www.ilo.org/dyn/triblex/triblexmain.fullText?p_lang=en&p_judgment_no=1732&p_language_code=EN).

6. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ინფორმაციული აქტივების კლასიფიკაციის დოკუმენტი;

(https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---exrel/documents/genericdocument/wcms_191019.pdf).

7. დიდი ბრიტანეთის შრომის კოდექსი;

(http://ilo.org/dyn/natlex/natlex4.detail?p_lang=en&p_isn=100186&p_country=GBR&p_count=3440&p_classification=01.02&p_classcount=15);

8. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით მომზადებული წიგნი „შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები“ (GIZ, 2014);

9. ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- ნიუ იუორკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე: MAJOR, LINDSEY & AFRICA, LLC, vs. SHARON MAHN, CARLO PECORARI, PARKER, LELAND, INC., JOSHUA KAGAN, and KAGAN CONSULTANTS INC., (20.03.2018 წ.), (<https://casetext.com/brief/major-lindsey-africa-llc-v-mahn-et-al-memorandum-of-law-in-opposition-re-28-cross-motion-to-expedite-discovery>);
- ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო გადაწყვეტილება, საქმე: (Warren and Pedowitz, 2011),
- ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე: (Futch v. McAlister Towing Inc., 1999).
- ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე: L-3 Communications Corporation v. Jaxon Engineering & Maintenance, Inc., 2015);
- ნიუ იუორკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე: MAJOR, LINDSEY & AFRICA, LLC, vs. SHARON MAHN, CARLO PECORARI, PARKER, LELAND, INC., JOSHUA KAGAN, and KAGAN CONSULTANTS INC., (20.03.2018 წ.), (<https://casetext.com/brief/major-lindsey-africa-llc-v-mahn-et-al-memorandum-of-law-in-opposition-re-28-cross-motion-to-expedite-discovery>).

10. დიდი ბრიტანეთის სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- დიდი ბრიტანეთის სასამართლოს/დასაქმების სააპელაციო ტრიბუნალის (Employment Appeal Tribunal (EAT)) გადაწყვეტილება, საქმე: (Lafferty v Nuffield Health); (<https://www.gov.uk/employment-appeal-tribunal-decisions/mr-allan-lafferty-v-nuffield-health-ukeats-0006-19-ss>).
- დიდი ბრიტანეთის სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე: Leach v Office of Communications (OFCOM) [2012] IRLR 839 CA, 18.07.2012 წ.;

(<https://www.employmentcasesupdate.co.uk/site.aspx?i=ed12197>).

- დიდი ბრიტანეთის შრომის სააპელაციო რიზუნალის გადაწყვეტილება, საქმე: Q vs. Secretary of State for Justice (10.01.2020წ.);

([https://assets.publishing.service.gov.uk/media/5e20886b40f0b62c4a0b12fe/Q v Secretary of State for Justice UKEAT 0120 19 JOJ.pdf](https://assets.publishing.service.gov.uk/media/5e20886b40f0b62c4a0b12fe/Q_v_Secretary_of_State_for_Justice_UKEAT_0120_19_JOJ.pdf)).

- ირლანდიის სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე: Giblin v Irish Life and Permanent PLC 2010 IEHC 36;

(<https://www.casemine.com/judgement/uk/5da054e94653d07dedfd5a40>).

32. საქველმოქმედო ღონისძიებები

2020 წლის 16 მარტს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი და სამსახურის თანამშრომლები ესტუმრნენ ხანდაზმულთა პანსიონატებს „ბასილიადასა“ და „ჩემი ოჯახის“ მკვიდრებს, რომლებსაც გადაეცათ თანამშრომელთა ფინანსური სახსრებით შეძენილი კვების პროდუქტები და ჰიგიენა-დეზინფექციის საშუალებები. სამსახურის თანამშრომლების მიერ დაცული იყო ყველა უსაფრთხოების წესი.

2020 წლის 25 დეკემბერს, სამსახურის ადმინისტრაციის თანამშრომლები ესტუმრნენ სოფელ სართიჭალაში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახს და გადასცეს საკუთარი ფინანსური სახსრებით შეძენილი კვების პროდუქტები, ჰიგიენური საშუალებები და ტანსაცმელი.

33. წარმატებული საქმეები

სისხლის სამართლის საქმეები

პრეცედენტული გადაწყვეტილება: ზუგდიდში სასამართლო პროცესი ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანით დასრულდა, ვინაიდან საქმე განეკუთვნებოდა სამოქალაქო დავის კატეგორიას

ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი რომან კეიდა თითქმის ერთი წლის განმავლობაში იცავდა ზუგდიდში მცხოვრები მ.ხ.-ს ინტერესებს. მას ბრალი წარდგენილი ჰქონდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 377-ე მუხლის მე-2 ნაწილით (აღწერილ, დაყადაღებულ ან ჩამორთმევას დაქვემდებარებულ ქონებასთან დაკავშირებული უკანონო ქმედება) და ემუქრებოდა თავისუფლების აღკვეთა 2-დან 5 წლამდე ვადით.

ბრალდების მტკიცებით, 2012 წელს მ.ხ.-მ, ზუგდიდში, თ.ბ.-საგან შეიძინა მიწის ნაკვეთი და სახლი, რომელიც საჯარო რეესტრში დაირეგისტრირა კიდეც. თუმცა თანხა ბოლომდე არ გადაუხდია. 2014 წლიდან მხარეებს შორის, სასამართლოში დავა დაიწყო უძრავი ქონების კუთვნილებაზე და ნასყიდობის ფასის გადახდაზე. შემდგომ ეტაპზე, მ.ხ.-მ ქონება ჯერ გააჩუქა, შემდეგ გაასხვისა ნასყიდობის ხელშეკრულებით. ბრალდება თვლიდა, რომ ამის უფლება მ.ხ.-ს არ ჰქონდა და მოითხოვა, ბენეფიციარს პასუხი ეგო საკუთარი ქონებით, მაგრამ გადაწყვეტილების აღსრულება ვერ განხორციელდა, რადგანაც მოვალე მ. ხ.-ს შესაბამისი ქონება არ გააჩნდა.

ადვოკატ რომან კეიდას მიერ გაწეული კონსულტაციის შემდეგ, ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ ცნო, უარი თქვა გირაოს შეფარდებაზე. სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა დაცვის მხარის მოთხოვნა და ბენეფიციარის მიმართ არ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიება. პროკურატურის მიერ გასაჩივრებული განჩინება ქუთაისის სააპელაციო სასამართლომაც ძალაში დატოვა.

საქმის განხილვისას ადვოკატმა სასამართლოს წინაშე წარმატებულად დაასაბუთა, რომ ბრალდების მიერ სისხლის სამართლის მიმართულებით აღძრული საქმე, სინამდვილეში სამოქალაქო დავის კატეგორიას განეკუთვნებოდა.

საქმეში არ მოიპოვებოდა ბენეფიციარის მიერ აღსრულებისთვის თავის არიდების მტკიცებულებები, არ იკვეთებოდა დანაშაული, რომელიც დღეს მოქმედი კანონმდებლობის რომელიმე მუხლში იქნებოდა ასახული. ამიტომ დაცვის მხარემ ბრალდებულ მ.ხ.-ს უდანაშაულოდ ცნობა მოითხოვა.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტები და ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. გადაწყვეტილება სააპელაციო და უზენაესმა სასამართლოებმა უცვლელი დატოვეს.

საპროცესო შეთანხმებაზე უარის შემდეგ ბრალდებული სრულად გამართლდა

ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი დარიკო თორდია სავალდებულო დაცვის წესით იცავდა ნ.ჭ.-ს ინტერესებს, რომელსაც ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 287¹-ე მუხლის (სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნათა დარღვევა) პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

როდესაც საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატი ჩაერთო, ბრალდებული თანახმა იყო საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე თუმცა ადვოკატ დარიკო თორდიასთან კონსულტაციის შემდგომ, ბენეფიციარმა უარი თქვა საპროცესო შეთანხმებაზე.

ადვოკატმა სასამართლო პროცესზე ყურადღება გაამახვილა ბრალდების მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებზე, მოწმეების ჩვენებებსა და საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნაზე და დაასაბუთა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა ბენეფიციარის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რაც გაიზიარა სასამართლომ და ბრალდებული ნ. ჭ. უდანაშაულოდ ცნო.

სამოქალაქო სამართლის საქმეები

სოციალურად დაუცველი პირი თანხის დაბრუნების ვალდებულებისგან გათავისუფლდა

სოციალური მომსახურების სააგენტო მცხეთაში მცხოვრები, სოციალურად დაუცველი ნ. წ.-სგან ითხოვდა სოციალური შემწეობის, ზედმეტად გადახდილი 6714 ლარის დაკისრებას იმ მოტივით, რომ მან დაუმალა სოციალურ სამსახურს მიწის ნაკვეთის მის სახელზე რეგისტრაციის ფაქტი.

მცხეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატმა ირმა ჯიმშიაშვილმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოითხოვა შესაბამისი დოკუმენტები და სასამართლოზე დაასაბუთა, რომ მოთხოვნა იყო უსაფუძვლო. მიწის რეგისტრაცია განხორციელდა ბენეფიციარის მამის მიერ მიწის სპორადული აღრიცხვის წესით და ვინაიდან ბენეფიციარი იყო მამის კომლის წევრი, მის სახელზე ავტომატურად მოხდა მიწის ნაკვეთის წილობრივ თანასაკუთრებად აღრიცხვა. მიწის რეგისტრაციის თაობაზე ბენეფიციარს არ მიუმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის და არც დოკუმენტი არ წარუდგენია.

სასამართლომ სრულად გაიზიარა დაცვის მხარის მოსაზრებები და სოციალური მომსახურების სააგენტოს უარი უთხრა ნ.წ.-სათვის თანხის გადახდის დაკისრებაზე.

საფინანსო ორგანიზაციას პენსიონერისთვის თანხის გადახდა დაეკისრა

თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს მიმართა პენსიონერმა ე.გ.-მ, რომელიც საფინანსო კომპანია "ს.-ს" არაკეთილსინდისიერი ფინანსური ქმედებების მსხვერპლი აღმოჩნდა. საფინანსო კომპანიის დამფუძნებლებმა ბენეფიციარის თანხები გაფლანგეს. შესაბამისად, ბენეფიციარს სურდა დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება - ხელშეკრულების საფუძველზე დაგროვილი მისი კუთვნილი თანხის - 40 000-მდე ლარის მიღება. ბენეფიციარს კონსულტაცია გაუწია ლევან ცალუღელაშვილმა ხოლო სასამართლოში მის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ინგა ნოზაძე.

სასამართლოში სარჩელი წარდგენილ იქნა საფინანსო კომპანიის დამფუძნებლების თ.ლ-ს, თ.მ-ს და მ.ფ-ს წინააღმდეგ. სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხეებს ბენეფიციარის ე.გ.-ს სასარგებლოდ დაეკისრათ ზიანის ანაზღაურება 35 000 ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საქმეში თანხის გადახდა დაეკისრათ მსჯავრდებულ პირებს-კომპანიის დამფუძნებლებს და არა თვით საფინანსო კომპანიას.

ადმინისტრაციული სამართლის საქმეები

ეგვიპტელ ქრისტიან კოპტს საქართველოში ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა

თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი თეა ყაულაშვილი ხუთი წლის განმავლობაში იცავდა საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი, ეგვიპტელი კოპტი ქრისტიანის ნ.მ.დ.გ.-ს ინტერესებს.

სახელმწიფო ენის არმცოდნე ბენეფიციარი რელიგიური მრწამსის გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი სამშობლო.

ადვოკატმა თეა ყაულაშვილმა მოიძია და სასამართლოს წარუდგინა ყველა ის მტკიცებულება, რაც ნამდვილად ადასტურებდა ქრისტიანების დევნას ეგვიპტეში, და დაარწმუნა სასამართლო, რომ ნ.მ.დ.გ. ნამდვილად იმსახურებდა თავშესაფრის მიღებას ჩვენს ქვეყანაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნ.მ.დ.გ. -ს მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი საქართველოში.

სოციალურად დაუცველ ოჯახებს საცხოვრებელი სახლი საკუთრებაში გადაეცათ

წარმატებით დასრულდა სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის საქმე ადიგენის რაიონის სოფელ ფარეხაში.

საქმეს ახალციხის რაიონულ სასამართლოში უძღვებოდა ახალციხის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი თინათინ დიაკონაშვილი, რომელმაც გაარკვია, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი ოჯახები მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ სოფელ ფარეხაში მდებარე ყოფილი მეურნეობის შენობაში არსებულ ფართში.

ბენეფიციარებს არ გააჩნდათ დოკუმენტი, რომლითაც დადგინდებოდა მათ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართის კანონისმიერ სარგებლობაში გადაცემის ფაქტი, შესაბამისად ვერ ახდენდნენ უძრავი ქონების საკუთრებაში რეგისტრაციას.

ადვოკატმა შეაგროვა ყველა საჭირო მტკიცებულება და წარმატებით დაასრულა დაცვის განხილვა სასამართლოში, რომლის საფუძველზეც ბენეფიციარებმა მოახდინეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

იურიდიული კონსულტაციები

პანდემიის დროს დაწესებული შეზღუდვების გამო დაჯარიმებული მოქალაქეები ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლდნენ

ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტ ნინო მინჯიას მიერ გაწეული კონსულტაცია და შედგენილი დოკუმენტების შედეგად, პირველივე ინსტანციის სასამართლომ ორ სხვადასხვა საქმეზე 3000 ლარიანი ჯარიმისაგან გაათავისუფლა ზუგდიდში მცხოვრები ბენეფიციარები.

პენსიონერებს სოლიდური კომპენსაციის მიღების შანსი გაუჩნდათ

თბილისის ბიუროს კონსულტანტ ლალი ეუაშვილის მიერ გაწეული კონსულტაციისა და შედგენილი სარჩელის შესაბამისად, ააიპ „მ.-ა. ე. ს.-ში“ სხვადასხვა პოზიციებზე დასაქმებული საპენსიო ასაკის მოქალაქეებმა მ. ბ.-მ, ქ.ა.-მ, გ.ლ.-მ და ი.წ.-მ სოლიდური კომპენსაცია მიიღეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელების მიმართ გამოტანილი ბრძანებები და სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაცვლად მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელების სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.

34. მადლობის წერილები

2020 წელს 17-მა ბენეფიციარმა მომართა იურიდიული დახმარების სამსახურს მადლობის წერილით.

- მ. შ.-მ სამსახურს მომართა მადლობის წერილით ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსის ნათია ბოჯგუას, ადვოკატების მაია დარასელიასა და ქეთი გვაზავას მიერ განხორციელებულ მომსახურებასთან დაკავშირებით;
- ზ. ნ.-მ სამსახურს მომართა მადლობის წერილით ცაგერის საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტ ნინო ურთმელიძის მიერ განხორციელებულ მომსახურებასთან დაკავშირებით;
- ა.ვ.-მ სამსახურს მომართა მადლობის წერილით თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს მიერ განხორციელებულ მომსახურებასთან დაკავშირებით;
- ბრალდებულმა ზ. კ.-მ სამსახურს მომართა მადლობის წერილით თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის თინათინ მეგრელაძის მიერ განხორციელებულ მომსახურებასთან დაკავშირებით;
- ი. პ.-მ და ქ. ბ.-მ სამსახურს მომართა მადლობის წერილით ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის ელისო ბოგვერაძის მიერ განხორციელებულ მომსახურებასთან დაკავშირებით;

მცხეთის იურიდიული დახმარების ბიუროში განთავსებული „შთაბეჭდილებების წიგნში“ 2020 წელს ბენეფიციარებმა გამოხატეს მადლიერება მიღებული მომსახურების გამო.

- მთლიანად სამსახურისადმი მადლობას გამოხატავს ბენეფიციარი ნ. ბ.კ.-ი;
- კონსულტანტ გიორგი თოთაძეს მადლობას უხდის ბენეფიციარები: ნ . გ., ე. ხ., ვ. ს. და ვ. მ.;
- კონსულტანტ ირინა ბარბაქაძეს მადლობას უხდის ბენეფიციარი ნ. ბ., ასევე დუშეთის საკონსულტაციო ცენტრში მიღებული კონსულტაციისთვის გ. ყ.;
- ირინა ბარბაქაძეს, მურმან ნიკოლეიშვილს, ირმა ჯიმშიაშვილს, ლელა ჭანკოტაძეს, ნათია ბერძენიშვილს და ქეთევან თალაკვაძეს მადლობას უხდის ბენეფიციარი ჯ.;
- კონსულტანტებს მადლობას უხდის ბენეფიციარი თ. ე.;

მადლიერი ბენეფიციარები თავიანთ დამოკიდებულებას ასევე გამოხატავენ სამსახურის ფეისბუქ-გვერდზე არსებულ "მიმოხილვებსა და რეკომენდაციებში":

ამონარიდები წერილებიდან:

- „მოგმართავთ თქვენ და გიხდით მადლობას იურიდიული დახმარების სამსახურის შექმნისათვის, ამ სამსახურის შექმნით დასტურდება, თუ როგორ ზრუნავს სახელმწიფო და თქვენი სამსახური, რათა დახმარება გაეწიოთ ადამიანებს, რომლებსაც მაღალი ფინანსური შემოსავალი არ აქვთ. თქვენი სამსახურის საშუალებით, მინდა მადლობა გადავუხადო ზესტაფონის ბიუროს ადვოკატს, ქალბატონ ელისო ბოგვერაძეს, რომელმაც მაღალი პროფესიონალიზმით უანგაროდ გაუწია დახმარება ჩემს ოჯახს და კეთილსინდისიერებით, ადამიანური თბილი ურთიერთობების დამყარებით დაგვიბრუნა რწმენა და იმედი იმისა, რომ სახელმწიფო და კერძოდ იურიდიული დახმარების სამსახური უანგაროდ ემსახურება მოქალაქეებს და ზრუნავს მათზე. კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა ქალბატონ ელისო ბოგვერაძეს.“ - ბენეფიციარები ქ. ბ. და ი.პ.;
- „ჩემს ინტერესებს იცავს ქალბატონი თინათინ მეგრელაძე. მინდა გამოვხატო, რომ დიდად მადლობელი ვარ თქვენი დახმარებით. ... ქალბატონმა თინათინმა ნამდვილად გამოიჩინა პროფესიონალური ქმედებები, ობიექტური და სამართლიანი. გაწეული დახმარებისთვის დიდ მადლობას ვუხდით მას. ვუსურვებ ჯანმრთელობას და წარმატებას. უფალი გფარავდეთ.“ - პატივისცემით, ბრალდებული ნ. კ.;
- „მე ა. ვ. გამოვხატავ მადლიერებას თქვენი სამსახურის მიმართ. ძალიან კმაყოფილი ვარ თქვენი ბიუროს მომსახურებით. 2020 წელი ბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის“. - ბენეფიციარი ა. ვ.;
- „პირველ რიგში მთელი გულით ვუხდით მადლობას თქვენს მიერ გამოგზავნილ იურისტებს დახმარების მხრივ და კონსულტაციის გაწევისთვის. მოხარული ვარ ესეთი მცოდნე და კეთილსინდისიერი თანამშრომლები რომ გყავთ ეს ბიჭები არიან. ბატონი გოჩა ხაჩიური და ბატონი ირაკლი კანდელაკი. ყველას მადლობას ვუხდით ყურადღებისთვის.“ - მსჯავრდებული ი. ვ.;
- „მოგმართავთ სამადლობელი წერილითა და მადლიერების გამოხატვით, თქვენი კერძოდ ფოთის ბიუროს სამსახურის მისამართით, ჩვენი ოჯახის სახელით კიდევ ერთხელ, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ქ.ნ ნათია ბოჯგუასა და ადვოკატ ქეთი გვაზავას, მათა დარასელიას, რომლებმაც განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინეს, დაგვიდგინეს გვერდში და პროფესიონალურად გვეხმარებიან ჩვენთვის მნიშვნელოვანი პრობლემის მოსაგვარებლად და ქონებრივ დავასთან დაკავშირებით, რაც ჩვენი ოჯახისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. უფალი გფარავდეთ, გისურვებთ წარმატებას თქვენს პროფესიულ საქმიანობაში და ღმერთმა ბევრი

სასიკეთო საქმე გაკეთებინოთ, როგორც ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ გამოიჩინეთ“ -
ბენეფიციარი მ. შ.;

35. სამსახურის ოფისები და საკონტაქტო ინფორმაცია

იურიდიული დახმარების სამსახური (სამსახურის აპარატი)

სამსახურის საიდენტიფიკაციო კოდი: 204534058
 მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ №140ა, თბილისი 0102, საქართველო
 ტელეფონი: +995 (32) 293 20 90; +995 (32) 2988493
 ელ-ფოსტა: info@legalaid.ge
 ვებ-გვერდი: www.legalaid.ge
 Facebook: www.facebook.com/legalaid.ge
 Skype: [legalaid.ge](https://www.skype.com/legalaid.ge)

იურიდიული დახმარების ბიუროები

<p>თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო ბიუროს უფროსი: სულხან კომახიძე მისამართი: თამარ მეფის გამზ. №14, თბილისი 0112, საქართველო ტელეფონი: +995 (32) 2954474; 2920055; მობილური: +995 (595) 364410 ელ-ფოსტა: skomakhidze@legalaid.ge</p>	<p>მცხეთის იურიდიული დახმარების ბიურო ბიუროს უფროსი: ალუდა ბუჩუკური მისამართი: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №51 ტელეფონი: +995 (32) 2513873 მობილური: +995 (595) 901705 ელ-ფოსტა: abuchukuri@legalaid.ge</p>
<p>თელავის იურიდიული დახმარების ბიურო ბიუროს უფროსი: ლიანა ჭუნიაშვილი მისამართი: თელავი, ვარდოშვილის ქ. №7 ტელეფონი: +995 (350) 271538 მობილური: +995 (595) 901707 ელ-ფოსტა: ltchuniashvili@legalaid.ge</p>	<p>სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიურო ბიუროს უფროსი: თამაზ გურაშვილი მისამართი: სიღნაღი, აღმაშენებლის ქ. №7 ტელეფონი: +995 (355) 231082 მობილური: +995 (599) 937973 ელ-ფოსტა: tgurashvili@legalaid.ge</p>
<p>რუსთავის იურიდიული დახმარების ბიურო ბიუროს უფროსი: მაია ნოზაძე მისამართი: რუსთავი, ზოსტანქალაქის ქ. №6, ტელეფონი: +995 (341) 241425 მობილური: +995 (595) 901706 ელ-ფოსტა: mnozadze@legalaid.ge</p>	<p>გორის იურიდიული დახმარების ბიურო ბიუროს უფროსი: გიორგი ჯეირანაშვილი მისამართი: გორი, სამეფოს ქ. №54 ტელეფონი: +995 (370) 279556 მობილური: +995 (595) 901704 ელ-ფოსტა: gjeiranashvili@legalaid.ge</p>
<p>ახალციხის იურიდიული დახმარების ბიურო ბიუროს უფროსი: დავით ზარიძე მისამართი: ახალციხე, თაბუკაშვილის ქ. №17 ტელეფონი: +995 (362) 220735 მობილური: +995 (599) 722176 ელ-ფოსტა: dzaridze@legalaid.ge</p>	<p>ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო ბიუროს უფროსი: გელა ბერაძე მისამართი: ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11 ტელეფონი: +995 (492) 253637 მობილური: +995 (595) 364441 ელ-ფოსტა: gberadze@legalaid.ge</p>
<p>ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო ბიუროს უფროსი: გელა სიორდია მისამართი: ქუთაისი, სადგურის მოედანი №3ა ტელეფონი: +995 (431) 253411; 253412 მობილური: +995 (595) 901700 ელ-ფოსტა: gsiordia@legalaid.ge</p>	<p>ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო ბიუროს უფროსი: რომან კეიდა მისამართი: ზუგდიდი, კოსტავას ქ. №24 ტელეფონი: +995 (415) 220040 მობილური: +995 (595) 901702 ელ-ფოსტა: rkeidia@legalaid.ge</p>

<p>ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო ბიუროს უფროსი: ნათია ბოჯგუა მისამართი: ფოთი, ვახტანგ გორგასლის ქ. №22 ტელეფონი: +995 (493) 223234 მობილური: +995 (595) 901703 ელ-ფოსტა: nbodjgua@legalaid.ge</p>	<p>ბათუმის იურიდიული დახმარების ბიურო ბიუროს უფროსი: იამზე ზანდარაძე მისამართი: ბათუმი, პუშკინის №145 მობილური: +995 (595) 901701 ელ-ფოსტა: izandaradze@legalaid.ge</p>
<p>ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიურო ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: იამზე მემარნიშვილი მისამართი: ოზურგეთი, ილია ჭავჭავაძის ქ. №12 ტელეფონი: +995 (496) 275992 მობილური: +995 (595) 308850 ელ-ფოსტა: imemarnishvili@legalaid.ge</p>	
<p>საკონსულტაციო ცენტრები</p>	
<p>ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: თეა ჩიკვაძე მისამართი: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24 მობილური: +995 (595) 308847 ელ-ფოსტა: tchikvaidze@legalaid.ge</p>	<p>მესტიის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: ავთანდილ ჯაფარიძე მისამართი: მესტია, სეტის მოედანი №19 მობილური: +995 (551) 201947; +995 (599) 294477 ელ-ფოსტა: ajaparidze@legalaid.ge</p>
<p>საჩხერის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: სალომე გიორგაძე მისამართი: საჩხერე, თავისუფლების ქ. №4 მობილური: +995 (558) 194637 ელ-ფოსტა: sgiorgiadze@legalaid.ge</p>	<p>ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: ინგა გვარამაძე მისამართი: ახალქალაქი, თამარ მეფის №44 მობილური: +995 (599) 358585 ელ-ფოსტა: igvaramadze@legalaid.ge</p>
<p>წალკის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: დავით გოგიჩაიშვილი მისამართი: წალკა, არისტოტელეს №22 მობილური: +995 (599) 090091 ელ-ფოსტა: dgogichaishvili@legalaid.ge</p>	<p>მარნეულის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: ლალი ალუდაური მისამართი: მარნეული, რუსთაველის №73 მობილური: +995 (551) 424400 ელ-ფოსტა: laludauri@legalaid.ge</p>
<p>დუისის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: ნუნუ გელდიაშვილი მისამართი: ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელი დუისი მობილური: +995 (599) 161076 ელ-ფოსტა: ngeldiashvili@legalaid.ge</p>	<p>შუახევის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: ირინა ცინცაძე მისამართი: დაბა შუახევი, ხიმშიაშვილის ქ # 2 მობილური: +995 (577) 420943 ელ-ფოსტა: itsintsadze@legalaid.ge</p>
<p>ცაგერის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: ნინო ურთმელიძე მისამართი: ცაგერი, რუსთაველის ქუჩა # 65 მობილური: +995 (595) 097660 ელ-ფოსტა: nurtmelidze@legalaid.ge</p>	<p>ჭიათურის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: სალომე გიორგაძე მისამართი: ჭიათურა, ნინოშვილის ქუჩა #5 მობილური: +995 (558) 194637 ელ-ფოსტა: sgiorgadze@legalaid.ge</p>
<p>ლაგოდეხის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: გიორგი ევსტაფიშვილი</p>	<p>დუშეთის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: ირინა ბარბაქაძე</p>

<p>მისამართი: ლაგოდეხი, მერაბ კოსტავას ქუჩა # 1 მობილური: +995 (557) 750 374 ელ-ფოსტა: gevstapishvili@legalaid.ge</p>	<p>მისამართი: დუშეთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა #27 მობილური: +995 (595) 337 177 ელ-ფოსტა: ibarbakadze@legalaid.ge</p>
<p>დმანისის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: ლალი ალუდაური მისამართი: დმანისი, წმინდა ნინოს ქუჩა #39 მობილური: +995 (551) 424 400 ელ-ფოსტა: laludauri@legalaid.ge</p>	<p>ყვარლის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: მერი ხაჩიძე მისამართი: ყვარელი, კუდიგორის ქუჩა # 2 მობილური: +995 (595) 901 753 ელ-ფოსტა: mkhachidze@legalaid.ge</p>
<p>ბაღდათის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: მაია ხვადაგიანი მისამართი: ბაღდათი, შოთა რუსთველის ქ.# 21 მობილური: +995 (595) 901 722 ელ-ფოსტა: mkhvadagiani@legalaid.ge</p>	<p>წყალტუბოს საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი მაია ხვადაგიანი მისამართი: ბაღდათი, შოთა რუსთველის ქ. # 25 ტელეფონი: +995 595 901 722; ელ-ფოსტა: mkhvadagiani@legalaid.ge</p>
<p>ხულოს საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: ირინა ცინცაძე მისამართი: ხულო, დავით აღმაშენებლის ქ. # 3 ტელეფონი: +995 555 250 247; ელ-ფოსტა: itsintsadze@legalaid.ge</p>	<p>ქედის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი ირინა ცინცაძე მისამართი: ქედა, 26 მაისის ქ. # 2 ტელეფონი: +995 555 253 274; ელ-ფოსტა: itsinstadze@legalaid.ge</p>
<p>ქობულეთის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი ინგა ყიფიანი მისამართი: ქობულეთი, თავისუფლების ქ. # 13; ტელეფონი: +995 555 253 274; ელ-ფოსტა: ikipiani@legalaid.ge</p>	<p>აბაშის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი მაია რობაქიძე მისამართი: აბაშა, უჩა კაჭარავას ქ.# 1 ტელეფონი: +995 599 98 42 99; ელ-ფოსტა: mrobakidze@legalaid.ge</p>
<p>მარტვილის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: მაია რობაქიძე მისამართი: მარტვილი, თავისუფლების ქ # .10 ტელეფონი: +995 599 98 42 99; ელ-ფოსტა: mrobakidze@legalaid.ge</p>	<p>ჩხოროწყუს საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: ნინო მინჯია მისამართი: ჩხოროწყუ, დავით აღმაშენებლის ქ # .1 ტელეფონი: +995 595 901 724; ელ-ფოსტა: nminjia@legalaid.ge</p>
<p>წალენჯიხის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: ნინო მინჯია მისამართი: წალენჯიხა, სალიას ქ # 5 ტელეფონი: +995 595 901 724; ელ-ფოსტა: nminjia@legalaid.ge</p>	<p>სენაკის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: მაია რობაქიძე მისამართი: სენაკი, აკაკი წერეთლის ქ # 1 ტელეფონი: +995 599 98 42 99; ელ-ფოსტა: mrobakidze@legalaid.ge</p>
<p>ხობის საკონსულტაციო ცენტრი კონსულტანტი: სალომე ჯანჯღავა მისამართი: ხობი, ცოტნე დადიანის ქ # 185 ტელეფონი: +995 591 911 304; ელ-ფოსტა: sjanjgava@legalaid.ge</p>	